საქართველოს დედაქალაქი თბილისი ერთ-ერთი უძველესი ქალაქია. მისი ტერიტორია და შემოგარენი ჯერ კიდევ ძვ. წ. მესამე ათასწლეულიდან ყოფილა დასახლებული, ხოლო ახ. წ. მეოთხე საუკუნიდან უკვე ციხე-ქალაქად ითვლებოდა. თბილისი თავისი დაარსებიდანვე აღმოჩნდა მნიშვნელოვან სავაჭრო გზაგასაყარზე. იგი საუკუნეების მანძილზე საკმაოდ მდიდარ ქალაქად ითვლებოდა, ამას მოწმობს არქეოლოგიური გათხრებით აღმოჩენილი უამრავი ნივთი, სხვადასხვა ქვეყანაში მოჭრილი მონეტა და მნიშვნელოვანი წერილობითი წყაროები. თბილისი თავისი სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული მაღალი მნიშვნელობის გამო მუდმივად იყო არა მხოლოდ ქართველების საცხოვრებელი ქალაქი, არამედ აქ თავს იყრიდნენ სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენლები. ქალაქი ზოგიერთი მათგანისთვის იყო დროებითი სამყოფელი, ზოგიერთისთვის კი მუდმივი საცხოვრებელი. თბილისში ჩამოდიოდნენ ევროპელი მოგზაურები, ვაჭრები, ჩრდილო-კავკასიელი და მახლობელი აღმოსავლეთის მუსლიმი მოსახლეობის, საქართველოს მეზობლად მცხოვრები სხვა ეთნოსების წარმომადგენლები. მშვიდობიან პერიოდში მოსახლეობა მატულობდა და ეკონომიკურად მომძლავრებული ქალაქი კიდევ უფრო დიდი მიზიდულობის არეალს წარმოადგენდა. მტრის შემოსევებისა და ომიანობის პერიოდში მოსახლეობა თბილისის მიმდებარე ტერიტორიაზე ხშირად იხიზნებოდა, რაც ქალაქის ეკონომიკის შემცირებას და სოციალური ყოფის გაუარესებას იწვევდა. რუსეთის იმპერიის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა და აღმოსავლეთ საქართველოს დაკავების შემდეგ, XIX საუკუნის დასაწყისიდან, თბილისში მეტნაკლებად მშვიდობამ დაისადგურა, რამაც კვლავ ეკონომიკის მოძლიერება გამოიწვია და მოსახლეობამაც იმატა. ქალაქში ქართველებთან ერთად სხვა ეთნოსის წარმომადგენლებიც მომრავლდნენ, მათ შორის აზერბაიჯანელი მოსახლეობა. მათი დემოგრაფიული მდგომარეობის დადგენის მიზნით მრავალი საარქივო და ისტორიული დოკუმენტები არის შესწავლილი. აზერბაიჯანულ მოსახლეობას იმ ხანად თათრებად მოიხსენიებდნენ. ამ ტერმინის დამკვიდრებას სამხრეთ კავკასიაში რუსეთის იმპერიის შემოსვლამ შეუწყო ხელი. ეს ყოველივე განპირობებული იყო ენობრივი ნათესაობით და რელიგიური ერთიანობით. ცარიზმის დამყარების შემდეგ თბილისი ახლადშემოერთებული მხარის ადმინისტრაციულ და სამხედრო ცენტრს წარმოადგენდა, ამიტომაც პერიოდულად ტარდებოდა მოსახლეობის აღწერა. ასეთი პირველი აღწერა 1803 წელს ჩატარდა, საიდანაც ცხადი ხდება, რომ თბილისის მოსახლეობა 20 000-მდე სულს უდრიდა. საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული და კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტებში გამოქვეყნებული სტატისტიკით, მუსლიმი მოსახლეობის ხვედრითი წილი ორ პროცენტს შეადგენდა (საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 16, ანაწ. 1, საქმ. 2141; ასევე, Ю. Анчабадзе, Н. Волкова, Старый Тбилисию Город и горожане в XIX веке, М., 1989, с. 29).

თბილისის მოსახლეობის დემოგრაფიის დადგენისთვის საჭიროა სხვადასხვა ავტორის მოსაზრებას გავეცნოთ. ერთ-ერთი ასეთი მკვლევარი იყო შოთა კაკურია, რომლის გამოთვლითაც 1803 წელს თბილისის მუდმივი მცხოვრები უნდა ყოფილიყო არა 20 000, არამედ 16 000-მდე, ვინაიდან გარკვეული რაოდენობა იყო თავადაზნაურობა და რუსული ჯარი, რომელიც ქალაქის მუდმივ მცხოვრებლებს არ წარმოადგენდნენ. თავადაზნაურობა დიდ დროს ატარებდა საკუთარ მამულში, ხოლო თბილისში საცხოვრებლად ზამთრობით ჩამოდიოდა, სამხედრო დანაყოფები კი პერიოდულად იცვლიდნენ დისლოკაციის ადგილს სხვადასხვა სამხედრო დავალებების შესასრულებლად. ავტორი თბილისის მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობაზეც მსჯელობს, სადაც მუსლიმი მოსახლეობა ოთხ პროცენტს შეადგენს (შ. კაკურია, ქ. თბილისის მოსახლეობა, 1803-1870 წწ. თბ., 1979, გვ. 16-18). ორივე წყაროს გაანალიზება გვაფიქრებინებს, რომ XIX საუკუნის დასაწყისში აზერბაიჯანელი მოსახლეობა თბილისში 400-დან 550 სულამდე უნდა მერყეობდეს. ბუნებრივია, დასახელებულ პერიოდში მოსახლეობის სტატისტიკური აღწერა ბევრ უზუსტობას შეიცავდა. ხშირი იყო ოჯახების გამორჩენა, ასევე დროებით საცხოვრებლად გადმოსული მოსახლეობის აღწერა. საგულისხმოა ისიც,

რომ კამერალური აღწერის სიებში თავიდან არ შეჰყავდათ მუსლიმი ქალები (Ю. Анчабадзе, Н. Волкова, Старый Тбилисию Город и горожане в XIX веке, М., 1989, с. 11), ამიტომაც ზუსტი სულადობის დადგენა შეუძლებელი აღმოჩნდა.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში როგორც მთელ საქართველოში, ისე თბილისში, მეტ-ნაკლებად მშვიდობიანი პერიოდი დადგა. რაც გამოიხატა ეკონომიკის განვითარებაში, მოსახლეობის ზრდასა და თბილისის მშენებლობა-გაფართოებაში. ამ პერიოდში თბილისს გარეშე მტრების შემოსევა, ნგრევა და აოხრება არ განუცდია. ცარიზმის თვითმპყრობელურმა პოლიტიკამ სამხრეთ კავკასიაში თბილისი აქცია თავისი საქონლის მთავარ ბაზრად. აქედან გამომდინარე, კიდევ უფრო გაძლერდა ქართველი და სხვა ეთნიკური უმცირესობების ლტოლვა თბილისის მიმართ. საქართველოს დედაქალაქში ხელსაყრელი პირობები იყო ვაჭრობა-ხელოსნობისთვის. აქ ბაზრებში თავს იყრიდა სხვადასხვა ქვეყნაში წარმოებული პროდუქცია და ადგილობრივი წარმოებაც მრავალფეროვანი იყო.

მრავალი უცხოელი მოგზაური თუ ვაჭარი აღნიშნავდა თბილისის ეთნიკურ სიჭრელეს. აქ ცხოვრობდნენ ებრაელები, რუსები, გერმანელები, აზერბაიჯანელები, ბერძნები, ირანელები და სხვ. თბილისი ეთნიკური უმცირესობებისთვის იმითაც იყო საცხოვრებლად საინტერესო და მიმზიდველი, რომ მათ საკუთარი თვითმყოფადი კულტურის და ადათ-წესების სრული დაცვით შეეძლოთ ცხოვრება და არავინ უშლიდა ხელს თავისუფალ ყოფაში.

1811 წლის ეპიდემიის გამო თბილისის მოსახლეობამ იკლო, მაგრამ მომდევნო წლებში იგი სწრაფად მატულობს, რისი დასტურიცაა იმ პერიოდის სტატისტიკური მასალა, თბილისის ტერიტორიის შეუქცევადი მატება და ახალი უბნების დაარსება.

1825 წელს ფრანგი მოგზაური და თბილისში საფრანგეთის კონსული ჟაკ ფრანსუა გამბა თბილისის აღწერისას მოგვითხრობს, რომ ქალაქის მოსახლეობა სულ მცირე 33 000-ს შეადგენდა. თბილისსა და მის შემოგარენში იყო „500 თათრისა და სპარსელის ოჯახი, თითოეულ ოჯახში სულ მცირე ექვსი სული ცხოვრობდა“ (ლ. მიქიაშვილი, ჟაკ ფრანსუა გამბა, თბილისის მოსახლეობის შესახებ, თბ. 2006, გვ 34). ეს საინტერესო ცნობა კიდევ ერთი დასტურია თუ როგორ მატულობდა თბილისში აზერბაიჯანული მოსახლეობა. 22 წლის მანძილზე შობადობის მატებით ვერ მოხდებოდა მუსლიმი მოსახლეობის ასეთი გამრავლება. ცხადია, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს გარე მიგრაციის გააქტიურებასთან, რაც გამოიხატებოდა თბილისში აზერბაიჯანული მოსახლეობის გადმოსახლებით.

თბილისში 1864-1865 წლებში მოსახლეობის ერთდღიანი კამერალური აღწერა ჩატარდა. 1864 წლის აღწერა ზამთრის პერიოდს დაემთხვა, რომელიც გარკვეულ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. სწორედ ამ აღწერის სიზუსტის შესამოწმებლად და იმის დასადგენად, თუ ვინ იყო ქალაქში დროებით ჩამოსული, 1865 წლის ზაფხულში ჩატარდა განმეორებითი კვლევა. 1864 წლის მოსახლეობის აღწერის თანახმად, თბილისის მცხოვრებთა რაოდენობა 6085 სული იყო. ამ აღწერის მიხედვით, მუსლიმი მოსახლეობის საერთო რაოდენობა 14083 ადამიანს შეადგენდა. როგორც აღვნიშნეთ, რამდენიმე თვის შემდეგ კვლავ გადამოწმდა მოსახლეობის რაოდენობა, რის შედეგადაც თბილისში 71051 მცხოვრები აღირიცხა. აქედან 1523 „თათარი“ (აზერბაიჯანელი) მოსახლეობა იყო (ნ. გელოვანი, თბილისის მუსლიმური თემი, თბ. 2021, გვ. 131). როგორც ვხედავთ, ამ ორ აღწერას შორის დიდი სხვაობაა. ცხადია, თბილისში სეზონურ სამუშაოებზე მოსახლეობა მუდმივად გადაადგილდებოდა. ქალაქში სხვადასხვა რეგიონებიდან ჩამოდიოდნენ მშენებლობებზე სამუშაოდ, ასევე, სავაჭროდ აქტიური მიმოსვლა იყო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მყოფი ტერიტორიებიდან. ამ აღწერებს ერთი მნიშვნელოვანი ხარვეზი ჰქონდა – მოსახლეობის რაოდენობის შესახებ მონაცემებს სპეციალური ბარათების მეშვეობით თვით სახლის მფლობელები აგროვებდნენ. ცხადია, ამ შემთხვევაში სახლის მესაკუთრეებს არ აწყობდათ მათთან მცხოვრები ადამიანების დიდი რაოდენობა ეჩვენებინათ, ვინაიდან საგადასახადო ვალდებულებები არ წარმოქმნილიყო. ამიტომაც ქალაქის მცხოვრებთა როგორც საერთო, ისე ეთნიკური უმცირესობების რიცხვი უფრო მეტი უნდა ვიგულისხმოთ. მიუხედავად ასეთი უზუსტობებისა, ამ კვლევიდანაც ცხადად ჩანს, რომ თბილისში აზერბაიჯანული მოსახლეობა წლიდან-წლამდე მატულობდა.

XIX საუკუნის ბოლოს, 1897 წელს, რუსეთის იმპერიაში მოსახლეობის საყოველთაო აღწერა ჩატარდა. რასაკვირველია, ეს აღწერა თბილისსაც შეეხო. როგორც ზემოთ ვთქვით, მთელი XIX საუკუნის განმავლობაში თბილისის მოსახლეობის შეუქცევადი მატება აღინიშნებოდა, რისი მიზეზიც მეტ-ნაკლებად მშვიდობიანი ცხოვრების რიტმი და ეკონომიკის განვითარება იყო. 1897 წლის აღწერით, თბილისის მოსახლეობის საერთო რაოდენობამ 159,6 ათასი სული შეადგინა, რაც დაახლოებით 11-ჯერ აღემატება საუკუნის დასაწყისში არსებულ რაოდენობას. ცხადია, ასეთი მატება ბუნებრივი გამრავლების გზით ვერ მოხდებოდა. მატების ძირითადი მიზეზი შიდა და გარე მიგრაცია იყო. თბილისი კვლავაც რჩებოდა სამხრეთ კავკასიაში მოსახლეობისთვის მიზიდულობის ცენტრად. მოსახლეობის მატება, ბუნებრივია, ეთნიკურ უმცირესობებსაც შეეხო. მეცხრამეტე საუკუნის 30-იანი წლებიდან, გასულ პერიოდთან შედარებით, ქალაქი კიდევ უფრო ფართოვდება, თბილისს ემატება ახალი უბნები, იხსნება ფაბრიკა-ქარხნები, ასევე შეიქმნა რკინიგზის დეპო და მისი მომსახურების სახელოსნოები. თბილისში ამუშავდა 26 საფაბრიკო-საწარმო, რასაც, ცხადია, მუშახელი სჭირდებოდა. აქედან გამომდინარე, აზერბაიჯანული მოსახლეობა კვლავ იმატებს თბილისში.

აღწერის მასალების საფუძველზე რთულია მოსახლეობის, მათ შორის აზერბაიჯანელი ეთნოსის სოციალური სტატუსის ზუსტი სურათის დადგენა. ირკვევა, რომ XIX საუკუნის პირველ ნახევარში თბილისის მცხოვრებთა რიცხვში გლეხობა ჭარბობდა, მნიშვნელოვანი იყო ვაჭართა კატეგორია, თანდათან იზრდებოდა თავადაზნაურთა და მოქალაქის სტატუსის მქონე პირთა რაოდენობა. რეფორმის შემდგომ პერიოდში იმატა ხელოსანთა, მუშათა და „რაზნოჩინცების“ ფენის – სხვადასხვა წოდებიდან გამოსული, განათლებული ადამიანების რიცხვმაც. აზერბაიჯანელთა შორის გამოირჩეოდნენ ხალიჩების ოსტატები. დეკორატიული და გამოყენებითი ხელოვნების ეს უძველესი აზერბაიჯანული ტრადიციული სახეობა ახლა იუნესკოს არამატერიალური მემკვიდრეობის სიაშია შეტანილი.

1897 წლის შემდეგ თბილისში მოსახლეობის აღწერა 1917 წლამდე არ ჩატარებულა, რასაც პირველი მსოფლიო ომიც განაპირობებდა. მცირე გამონაკლისი იყო საპოლიციო უწყების ცნობები მოსახლეობის შესახებ, რომელიც ზუსტი და სანდო არ უნდა იყოს. პირველი მსოფლიო ომის პერიოდში თბილისის მოსახლეობა შემცირდა ახალგაზრდობის ომში გაწვევის გამო.

1917 წელს, ბოლო საყოველთაო აღწერიდან 20 წლის შემდეგ, თბილისის მოსახლეობის საერთო რაოდენობა მაშინდელი აღწერის და გამოქვეყნებულ დოკუმენტებზე დაყრდნობით 246 910 იყო (შ. კაკურია, ქ. თბილისის მოსახლეობა, 1803-1870 წწ. თბ., 1979, გვ. 61). მათ რიცხვში ქართველებთან ერთად სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის ხალხი შედიოდა. ამ მონაცემებზე დაყრდნობით, თბილისში მუდმივად მცხოვრები აზერბაიჯანელი მოსახლეობა 7613 ადამიანს შეადგენდა. ამ რაოდენობაში არ შედის სეზონური მიგრანტები, რომლებიც მრავლად იყვნენ.

1918 წელს საქართველომ მოიპოვა დამოუკიდებლობა და მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე ახალი სახელმწიფო გაჩნდა. ამ მნიშვნელოვანი მონაპოვარის შემდეგ თბილისის საქალაქო ცხოვრებაში ახალი ხანა დაიწყო. გატარდა არაერთი რეფორმა. მიუხედავად იმისა, რომ მოხდა განათლების ნაციონალიზაცია, ეთნიკურ უმცირესობებს მიეცათ საშუალება, საკუთარ ენაზე მიეღოთ განათლება. დემოკრატიული საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლება ეთნიკურ უმცირესობებს, მათ შორის აზერბაიჯანელებს, ხელს უწყობდა ეთნიკური კულტურის წარმოჩენაში და რელიგიურ თავისუფლებაში.

დამოუკიდებლობის მოკლე პერიოდში თბილისი კვლავ სამხრეთ კავკასიის უმნიშვნელოვანეს ქალაქად რჩებოდა. მან კიდევ უფრო დიდი მიმზიდველობა შეიძინა სხვადასხვა ეროვნებებისთვის. ქალაქს თავს აფარებდნენ რუსეთის რევოლუციას გამოქცეული სახელოვნებო წრეების წარმომადგენლები, მათ შორის, აზერბაიჯანული ინტელიგენციის დიდმა ნაწილმა საკუთარი ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი თბილისში გაატარა და აქტიურად მონაწილეობდა ქალაქის სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. მათთვის რომ თბილისი საცხოვრებლად კომფორტული ქალაქი იყო იმითაც დასტურდება, რომ ისინი

ქმნიან სამრეწველო-სავაჭრო ობიექტებს, საგანმანათლებლო დაწესებულებებს, გამოსცემენ პერიოდულ პრესას და ბეჭდავენ წიგნებს. თბილისის აზერბაიჯანული მოსახლეობის რიცხვი ხშირად იცვლებოდა სეზონური მუშახელის ხარჯზე. ისინი დიდი რაოდენობით იყრიდნენ თავს თბილისში სხვადასხვა მშენებლობებზე.

ეთნიკური აზერბაიჯანელები თბილისის საქალაქო ცხოვრებაშიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ. სამწუხაროდ, საქართველოს და შესაბამისად, თბილისის დამოუკიდებელმა არსებობამ მცირე ხანს გასტანა. ბოლშევიკებმა 1921 წლის თებერვალში ქვეყნის დედაქალაქის ოკუპაცია მოახდინეს. შეწყდა თბილისის განვითარების მნიშვნელოვანი ეტაპი, რამაც ქართველებთან ერთად უარყოფითი გავლენა იქონია აზერბაიჯანელებზეც. მულტიკულტურული თბილისი მისთვის აქამდე უცხო, ურთულესი ცხოვრების რითმზე გადაერთო.

AZERBAIJANI POPULATION IN TBILISI

The capital of Georgia, Tbilisi, is one of the oldest cities. Its territory and surroundings date back to BC. It has been inhabited since the third millennium BC. From the fourth century, it was considered a fortress city. Tbilisi has been at an important trade crossroads since its inception. It was considered to be quite a rich city for centuries, as evidenced by the numerous items found during archeological excavations, coins minted in various countries, and important written sources. Due to its high socio-economic and cultural importance, Tbilisi has always been not only a residence of Georgians but also representatives of different ethnic groups. The city was a temporary residence for some of them, and a permanent residence for others. European travelers, merchants, representatives of the Muslim population of the North Caucasus and the Near East, as well as other ethnic groups living in neighboring Georgia arrived in Tbilisi. In peacetime, the population grew and the economically prosperous city became an even greater area of attraction. During the enemy invasions and war, the population often moved to the vicinity of Tbilisi, which reduced the city's economy and deteriorated social life. After the abolition of the Kingdom of Kartli-Kakheti by the Russian Empire and the occupation of eastern Georgia, more or less peace was established in Tbilisi at the beginning of the 19th century, which again strengthened the economy and increased the population. Along with Georgians, representatives of other ethnic groups also increased in numbers in the city, including the Azerbaijani population. Numerous archival and historical documents have been studied to determine their demographic status. The Azerbaijani population was referred to as Tatars at that time. The introduction of this term was facilitated by the entry of the Russian Empire into the South Caucasus. It was all due to linguistic kinship and religious unity. After the establishment of Tsarism, Tbilisi was the administrative and military center of the newly annexed country, so a census was conducted periodically. The first such census was conducted in 1803, from which it becomes clear that the population of Tbilisi was equal to 20,000 people. According to the statistics preserved in the National Archives of Georgia and published in the Acts collected by the Caucasian Archaeographic Commission, the share of the Muslim population was two percent (National Archives of Georgia, Central Historical Archive, Fund 16, Volume 1, Case 2141; Tbilisi City and citizens in XIX c, M., 1989, p. 29).

To determine the demographics of the population of Tbilisi, we need to get acquainted with the opinions of different authors. One such researcher was Shota Kakuria, who calculated that in 1803 there should have been not 20,000 but 16,000 permanent residents of Tbilisi, as there were a number of noble families and Russian troops who did not make the permanent residents of the city. The nobility spent a lot of time on their land, coming to live in Tbilisi in the winter, and military units periodically changed the location of the dislocation to perform various military tasks. The author also discusses the ethnic composition of the population of Tbilisi, where the Muslim population is four percent (Sh. Kakuria, the population of Tbilisi, 1803-1870, Tbilisi, 1979, pp. 16-18). Analysis of both sources suggests that at the beginning of the 19th century, the Azerbaijani population in Tbilisi should have ranged from 400 to 550 people. Naturally, the statistical description of the population in the named period contained many inaccuracies. Families were often omitted, as well as descriptions covered temporarily relocated populations. It is also noteworthy that Muslim women (Y. Anchabadze, N. Volkova, Old Tbilisi and citizens in the 19th century, M., 1989, p. 11) were not counted in the lists of the cameral census, it was therefore impossible to determine the exact number of the population.

In the first half of the XIX century, a more or less peaceful period took place both in Georgia and in Tbilisi. Which was reflected in the development of the economy, population growth, and the construction and expansion of Tbilisi. During this period, Tbilisi did not experience either invasions, destructions, or any kind of damage by enemies. Tsarist self-imposed policies have made Tbilisi the main market for its goods in the South Caucasus. As a result, the attraction of Georgians and other ethnic minorities to Tbilisi was intensified. There were favorable conditions for trade and handicrafts in the capital of Georgia. Products from different countries flocked to the markets here, also local

production was varied.

Many foreign travelers and merchants celebrated the ethnic diversity of Tbilisi. Jews, Russians, Germans, Azerbaijanis, Greeks, Iranians, etc. lived here. Tbilisi was also interesting and attractive for ethnic minorities to live in so that they could live in full compliance with their own unique culture and customs, and no one interfered with their free life.

Due to the epidemic of 1811, the population of Tbilisi decreased, but in the following years, it increased rapidly, as evidenced by the statistical material of that period, the irreversible increase of the territory of Tbilisi and the establishment of new districts took place here.

In 1825, a French traveler and French consul in Tbilisi, Jacques François Gamba, described Tbilisi as having a population of at least 33,000. There were "families of 500 Tatars and Persians in and around Tbilisi, with at least six souls living in each family" (L. Mikiashvili, Jacques François Gamba, On the Population of Tbilisi, Tbilisi, 2006, p. 34). This interesting information is another proof of how the Azerbaijani population was growing in Tbilisi. Such a multiplication of the Muslim population would not have been possible with the increase in the birth rate over 22 years. Clearly, in this case, we are dealing with the intensification of external migration, which was manifested in the resettlement of the Azerbaijani population in Tbilisi.

A one-day cameral census was conducted in Tbilisi in 1864-1865. The 1864 census coincided with the winter period, which was associated with some difficulties. It was in the summer of 1865 that a repeat survey was conducted to verify the accuracy of this description and to determine who had temporarily arrived in the city. According to the 1864 census, the population of Tbilisi was 6085 people. According to this census, the total population of Muslims made 14083 people. As we mentioned, a few months later the population was checked again, as a result of which 71051 people were registered in Tbilisi. 1523 of them were the "Tatar" (Azerbaijani) population (N. Gelovani, Tbilisi Muslim Community, Tbilisi 2021, p. 131). As we can see, there is a big difference between these two surveys. Obviously, the population was constantly moving around Tbilisi for seasonal work. People came to the city from different regions to work on the constructions, as well as to trade actively from the territories within the Russian Empire. These censuses had one major drawback - the population data were collected by the house owners themselves through special cards. Clearly, in this case, the house owners did not want to show a large number of people living with them, so that tax liabilities would not arise for them. That is why we need to understand that the numbers of both general and ethnic minorities living in the city were much bigger. Despite such inaccuracies, this study also shows that the Azerbaijani population in Tbilisi was growing from year to year.

At the end of the XIX century, in 1897, a general census was conducted in the Russian Empire. Of course, this description took place also in Tbilisi. As we have said above, throughout the nineteenth century there was an irreversible increase in the population of Tbilisi, which was due to the more or less peaceful rhythm of life and the development of the economy. According to the 1897 census, the total population of Tbilisi was 159.6 thousand, which is about 11 times more than at the beginning of the century. Clearly, such an increase could not have occurred through natural reproduction. The main reason for the increase was internal and external migration of people. Tbilisi remained the center of attraction for the population in the South Caucasus. The increase in population, naturally, also affected ethnic minorities. From the 30s of the nineteenth century, compared to the previous period, the city expanded, even more, new districts were added to Tbilisi, factories were opened, as well as a railway depot and its service workshops were opened here. There were 26 factories in Tbilisi, which obviously needed workers. Therefore, the Azerbaijani population increased in Tbilisi again.

Based on the census materials, it is difficult to determine what the exact picture of the social status of the population was, including the Azerbaijani ethnos. It turns out that in the first half of the XIX century the peasantry was predominant among the residents of Tbilisi, the category of merchants was important, and the number of nobles and citizens with the status of citizens was gradually increasing. In the post-reform period, the number of artisans, workers, and "raznochints"

- the number of educated people from various ranks - also increased. Carpet masters stood out among the Azerbaijanis. This ancient Azerbaijani traditional form of decorative and applied arts is now included in the UNESCO World Heritage List.

After 1897, the census in Tbilisi was not conducted until 1917, which was due to the First World War. A small exception was police reports about the population, which should not be accurate and reliable. During the First World War, the population of Tbilisi decreased due to the conscription of young people into the war.

In 1917, 20 years after the last general census, the total population of Tbilisi based on the then census and published documents was 246,910 (Sh. Kakuria, Tbilisi population, 1803-1870, Tbilisi, 1979, p. 61). Among them, along with Georgians, were the people of different ethnic backgrounds. Based on these data, the Azerbaijani population permanently living in Tbilisi was 7613 people. This number does not include numerous seasonal migrants.

In 1918, Georgia gained independence and a new state appeared on the world political map. After this important achievement, a new era began in the city life of Tbilisi. There were numerous reforms carried out there. Although education has been nationalized, ethnic minorities became able to receive education in their own language. The government of the Democratic Republic of Georgia supported ethnic minorities, including Azerbaijanis, by promoting ethnic culture and religious freedom.

During the short period of independence, Tbilisi remained the most important city in the South Caucasus. It became even more attractive to different nationalities. Representatives of art circles fleeing the Russian Revolution took refuge in the city, including a large part of the Azerbaijani intelligentsia who spent a significant part of their lives in Tbilisi and actively participated in the social, economic, cultural, and political life of the city. For them, Tbilisi was a comfortable city to live in, as evidenced by the fact that they set up industrial and commercial facilities, educational institutions, published periodicals, and printed books. The Azerbaijani population of Tbilisi often changed at the expense of seasonal labor, as they were flocking to various constructions in Tbilisi in large numbers.

Ethnic Azerbaijanis also play an important role in the urban life of Tbilisi. Unfortunately, the independent existence of Georgia and, consequently, of Tbilisi lasted for a short time. The Bolsheviks occupied the country's capital in February 1921. An important stage in the development of Tbilisi was stopped, which had a negative impact on Azerbaijanis as well as Georgians. Multicultural Tbilisi switched to a strange and the most complicated for its rhythm of life.

TBİLİSİNİN AZƏRBAYCANLI ƏHALİSİ

Gürcüstanın paytaxtı Tbilisi yalnız Gürcüstan üçün deyil, eləcə də Şərqi Avropa və Yaxın Şərq üçün də xüsusi bir hadisədir. Onun haqqında bir çox söz deyilmiş və yazılmış, o cümlədən, bədii, sənədli, publisist, elmi, məşhur və ya digər xarakterli əsərlər yazılmışdır ki, hansıların sayı bir neçə yüzlük təşkil edir. Tbilisi öz xüsusi yerləşməsi və iqtisadi əhəmiyyəti səbəbindən daima xarici dünya tərəfindən diqqəti cəlb edirdi. Şəhər tarixin bütün mərhələlərində gürcülərin siyasi, iqtisadi və mədəni həyatının mərkəzi olmuşdur. Onun tarixi bizə yaxşı göstərir ki, Tbilisi təsis edildiyi gündən xarici düşmənlərin hücumları nəticəsində dəfələrlə talan və məhv edilmişdir. Tez-tez başına gələn bədbəxtliklərə baxmayaraq, bu şəhər möcüzəvi şəkildə yenə də bərpa edilə-inkişaf edə bilmişdir.

Tbilisi daima polietniklik və etnoslararası münasibətlərin yüksək mədəniyyəti ilə seçilirdi. Buna gürcü, eləcə də xarici dilli yazılı mənbələr, məişət mədəniyyəti və ya digər tarixi-etnoloji sənədlər şahidlik edir.

Əcnəbi səyyahları o hal təəccübləndirirdi ki, şəhərin mərkəzində, bir-birinin yanında pravoslav və qriqoryan kilsələri, sinaqoq və məscid tikilmişdir. Daha sonra protestant məbədi də tikiləcək, Didube və Kukiada isə almanların koloniyalarının əsası qoyulacaqdır. Ümumi olaraq məlumdur ki, gürcülərin tarixində Tbilisidə, onun vətəndaşları arasında etnik əlamət ilə qarşıdurmanı əks etdirən heç bir fakt mövcud deyildir.

Paytaxtın əhalisinin etnik tərkibi barədə söhbət edərkən onu qeyd etmək arzu olunur ki, bütün on doqquzuncu əsr ərzində gürcü zadəganları burada daima yaşamırdı. Tbilisi ərazisində yaşayış evləri olan əsilzadələrin əksəriyyəti eyni zamanda əsasən kənddə, öz malikanəsində yaşayırdı. Belə ki, elə bir hal mövcuddur ki, zadəgan öz ailəsi və qulluqçuları ilə birlikdə bəzən Tbilisidə və bəzən də öz malikanəsində yaşayırdı. Ehtimal olaraq, onlar müxtəlif zamanlarda Tbilisi siyahıya alınarkən şəhərin əhalisini təşkil edən ev təsərrüfatlarının sayına düşə bilməmişlər. Gürcü və qeyri-gürcü əhali arasında say baxımından ifadə edilmiş fərq bununla izah olunmalıdır.

Tbilisinin məişəti və onun multimədəni mühiti barədə bir çox əcnəbi alim və ya səyyah yazmışdır. Bir çox qonaq onun özünəməxsusluğu və xüsusi həyat tərzi ilə heyrətə gəlmişdir. 1842-1878-ci illərdə Gürcüstanda yaşamış və qulluq etmiş Rusiya İmperiyasının məmuru Arnold Zisserman Tbilisi barədə yazır: "Bu Asiya və Avropa idi, indi şərq xüsusiyyətlərini axtarmalı oluruq, o zaman isə o, sadəcə nəzərəçarpan idi. Hər addımda bir çox rəngarəngliyə və diqqəti cəlb edən bir çox gəlmiş insana rast gəlirdik, bizim şəhərlərimizlə müqayisədə çox kiçik bir fərq olardı, şərq və qərbin o qədər qarışığı vardır ki, yalnız istedadlı fırça bu şəkli aydın şəkildə təsvir edə bilərdi. Ən aydın şəkildə təsvir zamanı da nəyisə unuda bilərsən ki, bu ilk baxışdan çətin görünür, lakin şəhəri aydın şəkildə, rəngarəng əhalisi, orijinal adət-ənənələri və şən, özünəməxsus şəkildə səs-küylü həyatı ilə səciyyələndirir. Uzaqdan elə bilirdim ki, dar cığırları, dar xiyabanları ilə, meydanları olmayan, daş hasarların arxasında gizlənən kiçik evləri ilə tamamilə Asiya şəhərini görəcəyəm" (А. Зиссерман, Двадцать пять лет на Кавказе (1842-1867), часть первая 1842-1851, СПб., 1879, с. 11.). Bu xatirədən də öz multietnik əhalisi ilə on doqquzuncu əsrin şəhərinin rəngarəng məişəti aydın görünür. Bu şəhərin xüsusi görünüşünü məhz Tbilisinin çoxetnikli əhalisi yaradırdı.

Şəhərdə, qalan Gürcüstanda olduğu kimi, müxtəlif inanclı və milliyyətli sakinlər daima bərabər hüquqlardan istifadə edirdilər. Gürcü reallığı milli və ya dini əlamət ilə ayrı-seçkiliyi tanımır. Tbilisidə azərbaycanlılar və türklər, ruslar və almanlar, yəhudilər və digər etnik azlıqlar uzun müddət ərzində özünün özünəməxsus mədəniyyətini itirmədən, bir-biri ilə yan-yana yaşamış və çalışmışlar.

Hal-hazırda Gürcüstanda yaşayan bir çox etnos arasında ən çoxsaylı etnik azlıq azərbaycanlılardır. Onları Gürcüstan ilə yaşadıqları böyük bir dövr əlaqələndirir. Azərbaycanlıların əcdadları Kartli-Kaxetidə və konkret olaraq Tbilisidə İkinci Ereklenin çarlığı dövründə fəal şəkildə üzərə çıxırlar. Çar Erekle döyüşlərdə və eləcə də iqtisadi fəaliyyəti gücləndirmək üçün tez-tez onların köməyindən istifadə edirdi. Azərbaycanlılar qədim zamanlardan bəri əkinçilik və köçəri heyvandarlıqla məşğul olurdular, onlar üçün əsas kənd təsərrüfatı bitkiləri: arpa, buğda, düyü və pambıq idi. Əkinçiliyin daha bir aparıcı

istiqaməti bostançılıq-bağçılıq idi. Onlar fəal olaraq ipəkçiliklə məşğul olurdular. Tut ağaclarının əkilməsi və ipəkqurdunun artırılması on doqquzuncu əsrin əvvəllərindən xüsusilə aktivləşmişdir. Onlar üçün üzümçülük də yad deyildi, yerli iqlim ilə yaxşı uyğunlaşdırılmış üzüm yetişdirirdilər. Heyvandarlıq əsasən köçəri xarakter daşıyırdı. Heyvandarlar daha çox yay və qış otlaqlarında otarma təsərrüfatı ilə məşğul idilər. Qoyunçular müəyyən vergilər müqabilində mal-qaranı qonşu qafqazlı xalqın dağlarında saxlayırdılar. İribuynuzlu mal-qara da onların heyvandarlığının əhəmiyyətli bir hissəsi idi. Uzaq səyahətlər və ticarət yüklərinin daşınması üçün dəvə və uzunqulaqlardan istifadə edirdilər. Azərbaycanlılar üçün sənaye də yad deyildi, onlar xüsusilə keçə və xalçaların istehsalı ilə məşğul idilər. Azərbaycanın etnik və dini səciyyələndiriciləri ilə tərtib edilmiş parçalar bütün dünyada məşhur idi. Rəngarəng ornamentlərlə bəzədilmiş rəngli xalçalar bütün Yaxın Şərqdə çox məşhur idi, buna görə də xalçaçılıq kifayət qədər iqtisadi faydanı əldə etdikləri aparıcı bir sahə idi, demək olar ki, bütün azərbaycanlı ailələrin qadınları bu fəaliyyətlə məşğul olurdu. Eləcə də müxtəlif ipək və mahud məhsullarını istehsal edirdilər, onların şirlənmiş keramikası da çox maraqlı və orijinal bir məhsul idi ki, hansının kommersiya məqsədləri ilə istehsal edilməsi əlverişli bir iş idi.

Azərbaycanlıların məişəti və mədəniyyəti barədə söhbət edərkən onların ailə fəaliyyətindən yan keçə bilmərik ki, hansında güclü patriarxal ənənələr üstünlük təşkil edirdi. Müsəlman hüquq və adət, xalq ənənəvi hüquq normalarına əsasən, ailənin həyat tərzi bütövlüklə böyük kişinin təsirindən asılı idi. Qadınlar isə ailə işinin əhəmiyyətli qərarlarında praktiki olaraq iştirak etmirdilər.

Azərbaycan adətlərinin hüquq normalarında ağsaqqallar xüsusi yer tuturdular. Onlar arasında çox arvadlılıq az-çox yayılmışdı. Gənclərin evlənməsi və gələcək taleyi barədə böyüklər qərar verirdilər. Onların ciddi şəkildə riayət etdikləri öz ənənələrinə qarşı münasibəti xüsusilə diqqətəlayiqdir. Onların qida rasionuna bitki və heyvan məhsulları əlavə edilmişdi ki, hansında Qafqaz və Orta Asiya təamları da gündəlik rasionun bir hissəsini təşkil edirdi. Yeməklər arasında qoyun əti xüsusi yer tuturdu, eləcə də fəal olaraq süd məhsullarından istifadə edir və müxtəlif növ sıyıqları hazırlayırdılar, lakin qeyd edilməlidir ki, rasion onların məskunlaşdıqları arealdan və təbii iqlim şəraitindən asılı idi.

Dini bayramlar azərbaycanlıların həyatında olduqca əhəmiyyətli bir yer tuturdu. Müvafiq olaraq, bayram yeməklərinin hazırlanması ritualın bir hissəsini təşkil edirdi.

Yuxarıda qeyd etdiyimiz kimi, Azərbaycan əhalisi Tbilisidə XVIII əsrin sonu və XIX əsrin əvvəllərində fəal olaraq meydana gəlmişdir. Onlar Gürcüstanın paytaxtında, demək olar ki, tam şəkildə öz adət-ənənələrinə riayət edir və dini rituallarını yerinə yetirirdilər. Onların məişəti və mədəniyyəti bir tərəfdən öz avtentikliyini saxlayırdı, digər tərəfdə isə Gürcüstanın paytaxtının həyat tərzi ilə qarışmışdı. Tbilisili müsəlmanlar məhdudiyyətsiz hüquqlardan istifadə edirdilər. Onlar müxtəlif ənənəvi dini bayramları (Novruz, Qurban Bayramı, Məhərrəmlik və sair) keçirirdilər. Onların bəzi bayramları təxminən, gürcü Berikaoba-Keenoba kimi, teatralizasiya edilmiş bir tamaşa idi.

Azərbaycanlı əhali Qədim Tbilisidə yığcam yaşayış məntəqələrini yaradırdı ki, hansılarda onlar öz bayramlarında küçələri parlaq əşyalar, qızıl rəngli zınqırovlar və rəngli parçalar ilə bəzəyirdilər. Tatar meydanında, onların məscidində Məhərrəmlik bayramını qeyd edirdilər. Eləcə də Tbilisinin başqa məhəllələrində, məsələn, Zemo Vedzisi, Soğanlıq və Msxaldidə bayram keçirirdilər. Məhərrəmlik bayramı hər il ay təqviminin birinci ayının əvvəlində keçirilirdi. Azərbaycanlılar onlar üçün bu əhəmiyyətli günü qarşılamaq üçün müvafiq şəkildə hazırlaşırdılar: yeni paltar tikdirir, ərzaq alır, köhnə ailə qablarını dəyişir, müxtəlif növ şirniyyat və plov bişirirdilər. Həmin zaman evlənmə və digər bayram tədbirləri qadağan edilirdi (Q. Qotsiridze, Tbilisidə müsəlman bayramı "Məhərrəmlik", Tb., 1988, 11-ci səh.). Eləcə də müntəzəm olaraq yeni il bayramını, Novruzu qeyd edirdilər. Tatar meydanında toplaşaraq çiçəklərin və musiqinin müşayiəti ilə yürüş təşkil edirdilər. Həmin bayramda süfrəyə meyvə və şirniyyat qoyaraq qonaqları qarşılayırdılar. Səciyyəvidir ki, müsəlman bayramlarında tez-tez etnik gürcülər də iştirak edirdilər. Bayram iştirakçıları bir-birini bayram tarixi münasibətilə təbrik edir və müxtəlif ənənəvi təamları dadırdılar. Yerli mətbuatda tez-tez bu cür bayramları qeyd etmə ənənələri işıqlandırılırdı. "Bazar günü, martın 9-da şiə müsəlmanları öz yeni ilinin ilk gününü keçirirdilər. Bu bayram adətən hər zaman üç gün davam edir... Bu il də, hər zaman olduğu kimi, müsəlmanlar öz yeni

ilini böyük bayram ilə keçirdilər. ...Bəziləri gəzmək üçün Müştəhid, bəziləri isə Nəbatat bağına getdilər. Onlar Konka vaqonlarına dolurdular. Hər addımda üzü gülən və bəzənmiş müsəlmana rast gəlirdik" ("İveria" qəzeti, 1886-cı il, 11 mart).

Dəfələrlə qeyd edildiyi kimi, Tbilisi qədim zamanlardan bəri Cənubi Qafqazın əhəmiyyətli sosial-iqtisadi mərkəzi olubdur ki, burada sülh dövründə xarici və tranzit ticarəti inkişaf edirdi. Şəhərin ticarət münasibətlərinə yerli azərbaycanlı əhali də qoşulmuşdu. Onlar Tbilisi bazarlarında müəyyən yer tuturdular. Bir çox halda kənd təsərrüfatı məhsulları ilə ticarət edirdilər. Burada onların mülkiyyətində olan bir neçə ticarət obyekti (məsələn, Karvasla), çayxana və qəhvəxana var idi. Onlar sənətkarlıqda da məharətli idilər, bir çox azərbaycanlı usta mis qabların düzəldilməsində ustalaşmışdır. Qədim Tbilisinin bazarları və digər tcarət obyektlərində onlar tərəfindən toxunmuş çox gözəl xalça və palazlar xüsusi yer tuturdu.

Tbilisi bir çox digər görməli yerləri ilə yanaşı, termal sular və kükürdlü hamamları ilə məşhur idi ki, hansılarda kisəçilərin bir hissəsi azərbaycanlı idi. Bu fəaliyyət, əlbəttə ki, müəyyən biliyi nəzərdə tuturdu. Bununla bağlı Aleksandr Düma Tbilisiyə səyahətdən sonra kisəçilərin xüsusi biliyini heyranlıqla xatırlayır. "Tezliklə kisəçi qərara gəldi ki, adi su kifayət deyildir və torbanı götürdü. Qəflətən, gördüm ki, torba köpürdü və sabun köpüyünü buraxdı ki, hansına başdan ayağa büründüm. Biraz gözlərim yanırdı, yoxsa bu cür xoş hissi hələ keçirməmişdim. Necə baş verdi ki, Parisdə, bu cismani həzzlər şəhərində hələ heç kim Tbilisi hamamını təşkil etməyib? Ola bilərmi ki, heç bir spekulyant Tbilisidən iki kisəçini dəvət edə bilmədi? O, həm filantrop məqsədini həyata keçirərdi, və daha şübhəsiz ki, saysız-hesabsız sərvəti toplayardı. Tbilisidə keçirdiyim ay yarım ərzində hər ikinci gün fars hamamına gedirdim" (A. Düma, Qafqaz, fransız dilindən tərcümə: Tinatin Kikodzenin, İa Bersenadze və Qiorqi Ekizaşvilinindir, Tb., 2009, 209-cu səh.).

Tbilisidə azərbaycanlı əhali xalq universitetlərinin müsəlman şöbəsini təsis etmişdir ki, hansılarda müxtəlif istiqamətli cəmiyyətləri yaradırdılar. Məsələn, 1910-cu ildə Tbilisidə nizamnaməsini qəbul etmiş "Qafqaz Müsəlman Qadın Xeyriyyə Cəmiyyəti" formalaşmışdır. Həmin cəmiyyətə 45 üzv qadın daxil idi. Təşkilat şəhərdə Yetim Evini təsis etmişdir (N. Qelovani, Tbilisi müsəlman icması (1801-1917) Tb., 2021, 275-ci səhifə). Tbilisidə eləcə də müxtəlif tamaşaları təşkil edən Müsəlman Dram Cəmiyyəti yaradılmışdır.

Gürcüstan paytaxtının müsəlman əhalisini şiə və sünnülər təşkil edirdilər. Azərbaycanlıların əksəriyyəti şiə idi. Onların Qədim Tbilisidə, Narınqalanın yanında məscidi var idi ki, burada bütün müsəlmanlar birlikdə namaz qılırdı, bu da dünyada nadir bir hal idi.

Tbilisidə azərbaycanlı əhalinin ayrıca qəbristanlığı (Gorxana) var idi. O, Narınqala qalasının dibində, Nəbatat bağının yanında yerləşirdi. Gorxana Vaxuşti Batonişvilinin Tiflis planında da qeyd edilib. Gürcüstanın sovetləşməsindən öncə qəbristanlıq kifayət qədər böyük və geniş bir ərazini əhatə edirdi, onun hüdudlarında məscid də yerləşirdi. Lakin Sovet rejimi zamanı məscidi dağıtdılar və ərazinin böyük bir hissəsini düzləşdirdilər.

Bu gün Gorxananın böyük bir hissəsi Nəbatat bağının ərazisinə məxsusdur, lakin oradaca Azərbaycanın ictimai və siyasi xadimlərinin panteonu yerləşir.

Panteonda Mirzə Fətəli Axundov, Mirzə Şəfi Vazeh, Abdulla ağa Bakıxanov, Fətəli xan Xoyski, Həsən bəy Ağayev, İbrahim İsfahanlı, Hüseyn Əfəndi Qayıbov, Nazlı xanım Məmmədquluzadə, Həmzət bəy Qayıbov, Müzəffər Nərimanov, Fərəc bəy Sultanov, Mirzəli Abbasov, Abbas Qurbanov, Ənvər Xudaverdiyev, Mustafa Vəliyev, Hüseyn Bəhmənov və başqaları dəfn edilib.

Müsəlmanların daha bir qəbristanlığı Qədim Tbilisidə Navtluği dərəsinin sol tərəfində də mövcud idi. Bu yer müsəlmanlar üçün, xristianlar üçün olduğu kimi, xüsusi, mərasimi əhəmiyyət kəsb edirdi, buna görə də Gorxanaya daima qulluq edir və böyük diqqət yetirirdilər.

Tbilisidə yaşayan azərbaycanlıların xristian bayramlarına qarşı münasibəti də laqeyd deyildi. Bir çox xalq rəvayəti və ya tarixi fakt mövcuddur ki, bütün XIX əsr ərzində və XX əsrin əvvəlində bolşevik işğalından əvvəl xristian bayramları münasibətilə sinif yoldaşlarını təbrik edir və hətta onlarla birlikdə bayramı qeyd edirdilər. Etnoqrafik materiala istinad edərək, elə bir faktlar mövcuddur ki,

şəhərin müsəlman əhalisi xüsusi çətinlik və ya xəstəlik zamanı xristian müqəddəslərinə dua edirdi. Səciyyəvidir ki, bu iki xalq arasında kifayət qədər tez-tez qarışıq nikahlar baş tuturdu ki, bu da onların daha da yaxınlaşmasına dəstək olurdu.

Rusiya İmperiyasının istibdadına baxmayaraq, təhsil əsasən rus dilində aparıldığı zaman Tbilisidə bir neçə təhsil müəssisəsi təsis edilmişdir ki, hansılarda azərbaycanlı şagirdlər öz dilində təhsil ala bilirdilər. Eləcə də şəhərin müsəlman cəmiyyətində çox məşhur olan xüsusi müsəlman təhsil müəssisəsi mövcud idi. XIX əsrin 30-cu illərindən etibarən fəal olaraq təhsil müəssisələri üçün Azərbaycan dili dərsliklərinin yaradılması başlayır. Tbilisidə eləcə də yalnız müsəlman oğlanların təhsil aldığı xəzinə təhsil müəssisəsi açılır.

Gürcüstan Demokratik Respublikası dövründə təhsil islahatı aparılmış və imperiyanın dili olaraq, rus dilini gürcü dili əvəz etmiş, Tbilisidə xüsusi olaraq on beş şöbəyə malik olan iki Azərbaycan xalq məktəbi yaradılmışdır. Respublikanın hökuməti etnik azlıqların ictimai vəziyyətinə böyük diqqət yetirir, onların mədəniyyəti və dilinin qorunması-inkişaf etdirilməsinə dəstək olurdu. Həmçinin etnik azlıqların dövlət qulluğuna qoşulmasına dəstək olurdu. Onlar tam dini inanc azadlığına malik idilər. 1921-ci ilin fevral ayında, Rusiyanın qızıl ordusu Gürcüstana hücum etdiyi zaman Tbilisinin müdafiəçiləri arasında yerli azərbaycanlılar da var idi. Qədim Tbilisidə yerli əhali o dərəcədə bir-biri ilə uyğunlaşmışdı ki, bir-birinin dilində danışırdılar. Gürcülər Azərbaycan mahnılarını, azərbaycanlılar isə gürcü mahnılarını oxuyurdular. Onların birgə yaşaması müəyyən Tbilisisayağı gözəlliyi yaradırdı ki, bu da bir-birindən fərqli olan mədəniyyətlərin birgə mövcud olmasının yaxşı bir nümunəsi olmuşdu.

თავი II
FƏSİL II
CHAPTER II



თბილისში მცხოვრებ აზერბაიჯანელთა ყოფა და ეროვნული ტრადიციები

საქართველოს დედაქალაქი თბილისი განსაკუთრებული მოვლენაა არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ აღმოსავლეთ ევროპისა და მახლობელი აღმოსავლეთისთვის. მასზე ბევრი თქმულა და დაწერილა, მათ შორის მხატვრული, დოკუმენტური, პუბლიცისტური, სამეცნიერო, პოპულარული თუ სხვა ხასიათის ნაშრომები, რომელთა რაოდენობა რამდენიმე ასეულს მოითვლის. თბილისი მისი განსაკუთრებული მდებარეობისა და ეკონომიკური მნიშვნელობის გამო მუდმივად იქცევდა ყურადღებას გარე სამყაროს მხრიდან. ქალაქი ისტორიის ყველა ეტაპზე, ქართველთა პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების ცენტრს წარმოადგენდა. მისი ისტორია კარგად გვიჩვენებს, რომ დაარსების დღიდან თბილისი გარეშე მტრების თავდასხმებით არაერთხელ აოხრებულა და განადგურებულა. მიუხედავად ხშირად თავს დატეხილი უბედურებისა, ეს ქალაქი სასწაულებრივ მაინც ახერხებდა აღდგენა-განვითარებას.

თბილისი მუდამ გამოირჩეოდა პოლიეთნიკურობით და ეთნოსთაშორის ურთიერთობის მაღალი კულტურით. ამას მოწმობს როგორც ქართული, ისე უცხოენოვანი წერილობითი წყაროები, ყოფითი კულტურა თუ სხვა ისტორიულ-ეთნოლოგიური დოკუმენტები.

უცხოელი მოგზაურების გაკვირვებას იწვევდა ის გარემოება, რომ ქალაქის ცენტრში, ერთმანეთის გვერდით აგებული იყო მართლმადიდებლური და გრიგორიანული ეკლესიები, სინაგოგა და მეჩეთი. მოგვიანებით პროტესტანტული ტაძარიც აშენდება, ხოლო დიდუბესა და კუკიაზე გერმანელების კოლონიებს ჩაეყრება საფუძველი. საზოგადოდ ცნობილია, რომ ქართველთა ისტორიაში არ არსებობს ფაქტი, რომელიც თბილისში, მის მოქალაქეებს შორის ეთნიკური ნიშნით დაპირისპირებას ასახავდეს.

დედაქალაქის მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობაზე საუბრისას, სასურველია აღინიშნოს, რომ მთელი მეცხრამეტე საუკუნის მანძილზე ქართველი თავადაზნაურობა აქ მუდმივად არ ცხოვრობდა. დიდგვაროვანთა უმრავლესობა, ვისაც თბილისის ტერიტორიაზე საცხოვრებელი სახლები ჰქონდა, იმავდროულად, ძირითადად სოფლად, საკუთარ მამულში ცხოვრობდა. ასე რომ, საქმე გვაქვს იმ მოვლენასთან, როდესაც თავადი თავისი ოჯახობით და მოსამსახურეებით ზოგჯერ თბილისშიც ცხოვრობდა და ზოგჯერ – თავის მამულში. სავარაუდოდ, თბილისის აღწერისას სხვადასხვა დროს ისინი იმ კომლთა რაოდენობაში ვერ მოხვდნენ, რომელიც ქალაქის მოსახლეობას შეადგენდა. ამით უნდა აიხსნას ქართველ და არაქართველ მოსახლეობას შორის რაოდენობრივი თვალსაზრისით გამოხატული სხვაობა.

თბილისის ყოფასა და მის მულტიკულტურულ გარემოზე ბევრი უცხოელი მეცნიერი თუ მოგზაური წერდა. ბევრი სტუმარი განცვიფრებულა მისი თვითმყოფადობითა და განსაკუთრებული ცხოვრების წესით. რუსეთის იმპერიის ჩინოვნიკი არნოლდ ზისერმანი, რომელიც 1842-1878 წლებში საქართველოში ცხოვრობდა და მსახურობდა, თბილისის შესახებ წერს: „ეს იყო აზია და ევროპა, ახლა გვიხდება აღმოსავლური თვისებების ძებნა ხოლო მაშინ ის უბრალოდ თვალში საცემი იყო. ყოველ ნაბიჯზე უამრავი მრავალფეროვნება გვხვდებოდა და უამრავი ჩამოსული ადამიანი, რომელიც იქცევდა ყურადღებას, ძალიან მცირე სხვაობა თუ იქნებოდა ჩვენს ქალაქებთან შედარებით, იმდენი ნაზავია აღმოსავლეთისა და დასავლეთის, რომ მხოლოდ ნიჭიერ ფუნჯს შეეძლო ამ სურათის ნათლად გამოსახვა. ყველაზე მკვეთრად აღწერის დროსაც შესაძლებელია გამოგრჩეს ისეთი რამ, რაც ერთი შეხედვით რთულად შესამჩნევია, მაგრამ მკვეთრად ახასიათებს ქალაქს, მრავალფეროვანი მოსახლეობით, ორიგინალური წეს-ჩვეულებებითა და მხიარულად, თავისებურად ხმაურიანი ცხოვრებით. შორიდან მეგონა, რომ ვიხილავდი სრულიად აზიურ ქალაქს, ვიწრო ბილიკებით, ვიწრო ხეივნებით მოედნების გარეშე, პატარა სახლებით, რომლებიც ქვის ღობეების მიღმა იმალებიან“ (А. Зиссерман, Двадцать пять лет на Кавказе (1842-1867), часть первая 1842-1851, СПб., 1879, с. 11.) ამ მოგონებიდანაც ცხადი ხდება მეცხრამეტე საუკუნის ქალაქის მრავალფეროვანი ყოფა

თავისი მულტიეთნიკური მოსახლეობით. სწორედ თბილისის მრავალეთნიკური მოსახლეობა ქმნიდა განსაკუთრებულ იერსახეს ამ ქალაქისა.

ქალაქში ისევე როგორც დანარჩენ საქართველოში, მუდმივად თანასწორი უფლებებით სარგებლობდნენ სხვადასხვა სარწმუნოების და ეროვნების მცხოვრებნი. ქართული რეალობა არ იცნობს ეროვნული ან რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციას. თბილისში დიდი ხნის მანძილზე ერთმანეთის გვერდიგვერდ ცხოვრობდნენ და შრომობდნენ აზერბაიჯანელები და თურქები, რუსები და გერმანელები, ებრაელები და სხვა ეთნიკური უმცირესობები, ისე რომ საკუთარი თვითმყოფადი კულტურა არ დაუკარგავთ.

დღეისათვის საქართველოში მცხოვრებ მრავალ ეთნოსთა შორის ყველაზე მრავალრიცხოვანი ეთნიკური უმცირესობა აზერბაიჯანელია. მათ საქართველოსთან ცხოვრების არც თუ მცირე პერიოდი აკავშირებთ. აზერბაიჯანელთა წინაპრები ქართლ-კახეთში და კონკრეტულად თბილისში, აქტიურად ჩნდებიან ერეკლე მეორის მეფობის პერიოდში. მეფე ერეკლე მათ დახმარებას ხშირად იყენებდა ბრძოლებში და ასევე ეკონომიკური საქმიანობის გასაძლიერებლად. აზერბაიჯანელები ოდითგანვე მიწათმოქმედებას და მომთაბარე მესაქონლეობას მისდევდნენ, მათთვის მთავარი სასოფლო-სამეურნეო კულტურები იყო: ქერი, ხორბლი, ბრინჯი და ბამბა. მიწათმოქმედების კიდევ ერთ წამყვან მიმართულებას მებოსტნეობა-მებაღეობა წარმოადგენდა. აქტიურად ეწეოდნენ მეაბრეშუმეობას. თუთის ხეების დარგვა და აბრეშუმის ჭიას მომრავლება მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდან განსაკუთრებით გააქტიურდა. მათთვის არც მევენახეობა იყო უცხო, მოჰყავდათ ადგილობრივ კლიმატთან კარგად შეგუებული ყურძენი. მესაქონლეობა ძირითადად მომთაბარე ხასიათისა იყო. მესაქონლეები უფრო საზაფხულო და საზამთრო საძოვრებზე გადარეკვით მეურნეობას ეწეოდნენ. მეცხვარეები მეზობელი კავკასიელი ხალხის მთებში გარკვეული გადასახადების სანაცვლოდ ინახავდნენ საქონელს. მსხვილფეხა პირუტყვიც მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდა მათ მესაქონლეობაში. შორეული მოგზაურობებისათვის და სავაჭრო ტვირთების გადასატანად იყენებდნენ აქლემებს და სახედრებს. აზერბაიჯანელთათვის არც მრეწველობა ყოფილა უცხო, განსაკუთრებით მისდევდნენ თექისა და ხალიჩების წარმოებას. აზერბაიჯანული ეთნიკური და რელიგიური მახასიათებლებით გაფორმებული ქსოვილები საქვეყნოდ იყო ცნობილი. მრავალფეროვანი ორნამენტებით მორთული ფერად-ფერადი ხალიჩები მთელ მახლობელ აღმოსავლეთში დიდი პოპულარობით სარგებლობდა, ამიტომაც იყო მეხალიჩეობა წამყვანი დარგი, საიდანაც საკმაო ეკონომიკურ სარგებელს იღებდნენ, აზერბაიჯანელთა თითქმის ყველა ოჯახის ქალი ამ საქმიანობით იყო დაკავებული. ასევე აწარმოებდნენ აბრეშუმისა და მაუდის სხვადასხვა ნაწარმს, მათი მოჭიქული კერამიკაც ძალიან საინტერესო და ორიგინალური პროდუქცია იყო, რომლის წარმოებაც კომერციული მიზნებით სარფიან საქმეს ნამოადგენდა.

აზერბაიჯანელთა ყოფასა და კულტურაზე საუბრისას გვერდს ვერ ავუვლით მათ საოჯახო საქმიანობას, სადაც ძლიერი პატრიარქალური ტრადიციები დომინირებდა. მუსლიმური სამართლისა და ჩვეულებითი, ხალხური ტრადიციული სამართლის ნორმების საფუძველზე, ოჯახის ყოფა-ცხოვრება მთლიანად უფროსი მამაკაცის გავლენაზე იყო დამოკიდებული. ქალები კი პრაქტიკულად არ მონაწილეობდნენ საოჯახო საქმის მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებში.

აზერბაიჯანულ ჩვეულებათა სამართლის ნორმებში განსაკუთრებული ადგილი ეკავა უხუცესებს (აღსაყალებს). მათში მეტ-ნაკლებად იყო გავრცელებული მრავალცოლიანობა. ახალგაზრდების დაქორწინებას და სამომავლო ბედს უფროსები წყვეტდნენ. განსაკუთრებით ყურადსაღებია მათი დამოკიდებულება საკუთარი ტრადიციებისადმი, რომელსაც მკაცრად იცავდნენ. მათი საკვების რაციონი შეზავებული იყო მცენარეული და ცხოველური ნაწარმით რომელშიც კავკასიური და შუაზიური კერძებიც ყოველდღიური რაციონის ნაწილი იყო. კერძებში განსაკუთრებული ადგილი ეკავა ცხვრის ხორცს, ასევე აქტიურად მოიხმარდნენ რძის პროდუქტებს და ამზადებდნენ ნაირგვარ ფაფებს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ რაციონი დამოკიდებული იყო მათსავე განსახლების არეალზე და ბუნებრივ კლიმატურ პირობებზე.

რელიგიური დღესასწაულები აზერბაიჯანელთა ცხოვრებაში უმნიშვნელოვანეს ადგილს იკავებდა. შესაბამისად, საზეიმო კერძების მომზადება რიტუალის ნაწილს შეადგენდა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აზერბაიჯანული მოსახლეობა თბილისში აქტიურად XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის დასაწყისში გამოჩნდა. ისინი საქართველოს დედაქალაქში თითქმის სრულად იცავდნენ საკუთარ ადათ-წესებს და რელიგიურ რიტუალებს. მათი ყოფა და კულტურა ერთის მხრივ ინარჩუნებდა ავთენტურობას, ხოლო მეორეს მხრივ შეზავებული იყო საქართველოს დედაქალაქის ცხოვრების სტილთან. თბილისელი მაჰმადიანები სარგებლობდნენ შეუზღუდავი უფლებებით. ისინი მართავდნენ სხვადასხვა ტრადიციულ რელიგიურ დღესასწაულებს (ნოვრუზ, ყურბან-ბაირამს, მოჰრამს და სხვ.). ზოგიერთი მათი დღესასწაული გარკვეულ თეატრალიზებულ სანახაობას წარმოადგენდა, დაახლოებით ისეთივეს, როგორიც ქართული ბერიკაობა-ყეენობა იყო.

აზერბაიჯანელი მოსახლეობა ძველ თბილისში კომპაქტურ დასახლებებს ქმნიდა, სადაც ისინი საკუთარ დღესასწაულებზე ქუჩებს ბრჭყვიალა ნივთებით, ოქროსფერი ზანზალაკებითა და ფერად-ფერადი ქსოვილებით რთავდნენ. თათრის მოედანზე, მათსავე მეჩეთში აღნიშნავდნენ მოჰრამის დღესასწაულს. ზეიმობდნენ ასევე თბილისის სხვა უბნებში, მაგალითად, ზემო ვეძისში, სოღანლუღსა და მსხალდიდში. მოჰრამის დღესასწაული ყოველწლიურად იმართებოდა მთვარის კალენდრის პირველი თვის დასაწყისში. მათთვის ამ მნიშვნელოვან დღესთან შესახვედრად აზერბაიჯანელები სათანადოდ ემზადებოდნენ: იკერავდნენ ახალ ტანსაცმელს, ყიდულობდნენ სურსათ-სანოვაგეს, ცვლიდნენ ძველ საოჯახო ჭურჭელს, აცხობდნენ სხვადასხვა სახის ტკბილეულსა და ამზადებდნენ ფლავს. ამ დროს იკრძალებოდა ქორწინება და სხვა საზეიმო ღონისძიებები (გ. გოცირიძე, მუსლიმანური დღესასწაული „მოჰარავი" თბილისში, თბ., 1988, გვ. 11). ასევე რეგულარულად აღნიშნავდნენ ახალი წლის დღესასწაულს, ნოვრუზს. იკრიბებოდნენ თათრის მოედანზე და აწყობდნენ მსვლელობას ყვავილებისა და მუსიკის თანხლებით. ამ დღესასწაულზე მაგიდაზე შლიდნენ ხილეულობას და ტკბილეულს, რითიც უმასპინძლდებოდნენ სტუმრებს. ნიშანდობლივია, რომ მუსლიმურ დღესასწაულებს ხშირად ეთნიკური ქართველებიც ესწრებოდნენ. მოზეიმეები ულოცავდნენ ერთმანეთს საზეიმო თარიღს და მიირთმევდნენ სხვადასხვა ტრადიციულ კერძს. ადგილობრივ პრესაში ხშირად შუქდებოდა ასეთ დღესასწაულთა აღნიშვნის ტრადიციები. „კვირას, 9 მარტს მუსულმან-შიიტები თავიანთ ახალ-წლის პირველს დღესა დღესასწაულობდნენ. ეს დღესასწაული ყოველთვის სამის დღით არის ხოლმე. ...წლეულსაც, როგორც ყოველთვის, დიდის ამბით იდღესასწაულეს მუსულმანებმა თავიანთი ახალ-წელინდი. ...ზოგი მუშტაიდის, ზოგი საბატანიკო ბაღში გაემგზავრნენ სასეირნოდ. კონკის ვაგონები გაჭედილი იყო მათგან. ყოველს ნაბიჯზე შეხვდებოდით პირ-მცინარს და მორთულს მაჰმადიანს" (გაზ. „ივერია", 1886 წ., 11 მარტი).

როგორც არაერთხელ აღინიშნა, თბილისი ოდითგანვე იყო მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური ცენტრი სამხრეთ კავკასიისა, სადაც მშვიდობიანობის პერიოდში ვითარდებოდა საგარეო და სატრანზიტო ვაჭრობა. ქალაქის სავაჭრო ურთიერთობებში ადგილობრივი აზერბაიჯანული მოსახლეობაც იყო ჩართული. მათ თბილისის ბაზრებში გარკვეული ნიშა ეკავათ. ხშირად სოფლის მეურნეობის პროდუქტებით ვაჭრობდნენ. აქ იყო მათ საკუთრებაში არსებული რამდენიმე სავაჭრო ობიექტი (მაგალითად, ქარვასლა), ჩაიხანა და ყავახანა. ისინი ხელოსნობაშიც განაფულები იყვნენ, ბევრი აზერბაიჯანელი ოსტატი დახელოვნებული იყო სპილენძის ჭურჭლის დამზადებაში. ძველი თბილისის ბაზრებსა და სხვა სავაჭრო ობიექტებში მათ მიერ დამზადებული ულამაზესი ხალიჩები და ფარდაგები განსაკუთრებულ ადგილს იკავებდა.

თბილისი ბევრ სხვა ღირსშესანიშნაობასთან ერთად განთქმული იყო თერმული წყლებითა და გოგირდის აბანოებით, სადაც მექისეების ნაწილი აზერბაიჯანელი იყო. ეს საქმიანობა, რა თქმა უნდა, გარკვეულ ცოდნას გულისხმობდა. ამასთან დაკავშირებით ალექსანდრე დიუმა თბილისში მოგზაურობის შემდეგ აღფრთოვანებით იხსენებს მექისეების განსაკუთრებულ ცოდნას. „მალე მექისემ გადაწყვიტა, ჩვეულებრივი წყალი საკმარისი აღარ არისო და

აიღო პარკი. უეცრად, დავინახე, რომ პარკი გაიბერა და გამოუშვა საპნის ქაფი, რომელშიც თავით ფეხებამდე გავეხვიე. ოდნავ თვალები მეწვოდა, თორემ ამგვარი სასიამოვნო გრძნობა ჯერაც არ განმიცდია. როგორ მოხდა, რომ პარიზში, ამ გრძნობიერ სიტკბოებათა ქალაქში ჯერ არავინ შემოიღო თბილისური აბანო? ნუთუ ვერც ერთმა სპეკულიანტმა ვერ გამოიწერა თბილისიდან ორი მექისე? თან ფილანტროპიულ მიზანს განახორციელებდა, და რაც უფრო უეჭველია, აურაცხელ სიმდიდრეს დააგროვებდა. იმ თვე-ნახევრის განმავლობაში, რაც თბილისში დავყავი, ყოველ მეორე დღეს სპარსულ აბანოში დავდიოდი" (ა. დიუმა, კავკასია, თარგმანი ფრანგულიდან: თინათინ ქიქოძისა, ია ბერსენაძისა და გიორგი ეკიზაშვილისა, თბ., 2009, გვ. 209).

თბილისში აზერბაიჯანულმა მოსახლეობამ დააფუძნა სახალხო უნივერსიტეტების მაჰმადიანური განყოფილება, სადაც ქმნიდნენ სხვადასხვა მიმართულების საზოგადოებებს. მაგალითად, 1910 წელს თბილისში ჩამოყალიბდა „მუსლიმ ქალთა საქველმოქმედო საზოგადოება კავკასიაში", რომელმაც მიიღო წესდება. ამ საზოგადოებაში შედიოდა 45 წევრი ქალი. ორგანიზაციამ ქალაქში დააარსა ობოლთა სახლი (ნ. გელოვანი, თბილისის მუსლიმური თემი (1801-1917) თბ., 2021, გვ. 275). თბილისში ასევე შეიქმნა მუსლიმური დრამატული საზოგადოება, რომელიც ორგანიზებას უწევდა სხვადასხვა სპექტაკლების მოწყობას.

საქართველოს დედაქალაქის მუსლიმურ მოსახლეობას შიიტები და სუნიტები წამოადგენდნენ. აზერბაიჯანელთა უმრავლესობა შიიტები იყო. მათ ძველ თბილისში, ნარიყალასთან, მეჩეთი ჰქონდათ, სადაც ყველა მუსლიმი ერთად ლოცულობდა, რაც მსოფლიოში იშვიათი მოვლენა იყო.

თბილისში აზერბაიჯანელ მოსახლეობას ცალკე სასაფლაო (გორხანა) ჰქონდა. იგი მდებარეობდა ნარიყალას ციხის ძირში, ბოტანიკურ ბაღთან. გორხანა აღნიშნულია ვახუშტი ბატონიშვილის ტფილისის გეგმაზეც. საქართველოს გასაბჭოებამდე სასაფლაო საკმაოდ დიდ და ვრცელ ტერიტორიას მოიცავდა, მის ფარგლებში მეჩეთიც იდგა. თუმცა, საბჭოთა რეჟიმის დროს, მეჩეთი დაანგრიეს და ტერიტორიის დიდი ნაწილი მოასწორეს.

დღეს გორხანას დიდი ნაწილი ბოტანიკური ბაღის ტერიტორიას ეკუთვნის, თუმცა, იქვე მდებარეობს აზერბაიჯანელ საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწეთა პანთეონი.

პანთეონში დაკრძალული არიან: მირზა ფათალი ახუნდოვი, მირზა შაფი ვაზეჰი, აბდულა აღა ბაქიხანოვი, ფათალი ხან ხოისკი, ჰასან ბეი აღაევი, იბრაჰიმ ისპახანლი, ჰუსეინ ეფენდი გაიბოვი, ნაზლი ხანუმ მამედკულიზადე, ჰამზათ-ბეკ გაიბოვი, მუზაფარ ნარიმანოვი, ფარაჯ-ბეკ სულთანოვი, მირზალი აბასოვი, აბას კურბანოვი, ენვერ ხუდავერდიევი, მუსტაფა ველიევი, ჰუსეინ ბახმანოვი და სხვ.

მუსლიმთა კიდევ ერთი სასაფლაო ძველ თბილისში ნავთლუღის ხევის მარცხენა მხარესაც არსებულა. მუსლიმთათვის ეს ადგილი, ისევე როგორც ქრისტიანთათვის, განსაკუთრებულ, საკრალურ, მნიშვნელობას ატარებდა. ამიტომაც იყო, რომ გორხანას მუდმივად უვლიდნენ და დიდ ყურადღებას აქცევდნენ.

თბილისში მცხოვრებ აზერბაიჯანელებს არც ქრისტიანული დღესასწაულებისადმი ჰქონდათ გულგრილი დამოკიდებულება. მრავალი ხალხური თქმულება თუ ისტორიული ფაქტი არსებობს, რომ მთელი XIX საუკუნის მანძილზე და XX საუკუნის დასაწყისში, ბოლშევიკურ ოკუპაციამდე ქრისტიანულ დღესასწაულებს ულოცავდნენ თანაქალაქელებს და მათთან ერთად ზეიმობედნენ კიდეც. ეთნოგრაფიულ მასალაზე დაყრდნობით, არსებობს ფაქტები, როდესაც ქალაქის მუსლიმი მოსახლეობა ქრისტიან წმინდანებს ავედრებდნენ თავს განსაკუთრებული გაჭირვებისა თუ ავადობის დროს. საგულისხმოა, რომ არსებობდა საკმაოდ ხშირი შერეული ქორწინებები ამ ორ ხალხს შორის, რაც მათ კიდევ უფრო დაახლოებას უწყობდა ხელს.

რუსული იმპერიის თვითმპყრობელობის მიუხედავად, მაშინ როდესაც განათლება ძირითადად რუსულ ენაზე მიმდინარეობდა, თბილისში დაარსდა რამდენიმე სასწავლებელი, სადაც აზერბაიჯანელ მოსწავლეებს საკუთარ ენაზეც შეეძლოთ სწავლა-განათლების მიღება. ასევე, არსებობდა სპეციალური მუსლიმური სასწავლებელი, რომელიც ქალაქის მუსლიმ სა-

ზოგადოებაში დიდი პოპულარობით სარგებლობდა. XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან აქტიურად იწყება აზერბაიჯანული ენის სახელმძღვანელოების შექმნა სასწავლებლებისთვის. თბილისში აგრეთვე იხსნება სახაზინო სასწავლებელი მუსლიმთათვის, სადაც მხოლოდ ვაჟები სწავლობდნენ.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში ჩატარდა განათლების რეფორმა და რუსული, როგორც იმპერიის ენა ჩაანაცვლა ქართულმა სახელმწიფო ენამ, თბილისში სპეციალურად შეიქმნა ორი აზერბაიჯანული სახალხო სკოლა თხუთმეტი განყოფილებით. რესპუბლიკის მთავრობა დიდ ყურადღებას უთმობდა ეთნიკური უმცირესობების საზოგადოებრივ მდგომარეობას, ხელს უწყობდა მათი კულტურისა და ენის დაცვა-განვითარებას. ასევე, ხელს უწყობდა ეთნიკური უმცირესობების ჩართულობას საჯარო სამსახურში. ისინი სარგებლობდნენ რელიგიური აღმსარებლობის სრული თავისუფლებით. 1921 წლის თებერვალში, როდესაც საბჭოთა რუსეთის წითელი არმა თავს დაესხა საქართველოს, თბილისის დამცველთა შორის ადგილობრივი აზერბაიჯანელებიც იყვნენ. ძველ თბილისში ადგილობრივი მოსახლეობა იმდენად იყო შეთვისებული ერთმანეთს, რომ ერთმანეთის ენაზე საუბრობდნენ. ქართველები მღეროდნენ აზერბაიჯანულ სიმღერებს, ისევე როგორც აზერბაიჯანელები ქართულს. მათი თანაცხოვრება გარკვეულ თბილისურ პეწს ქმნიდა, რაც ერთმანეთისაგან განხვავებული კულტურების თანაარსებობის კარგი მაგალითი იყო.

EVERYDAY LIFE AND NATIONAL TRADITIONS OF AZERBAIJANIS LIVING IN TBILISI

The capital of Georgia, Tbilisi, is a special phenomenon not only for Georgia, but also for Eastern Europe and the Middle East. Much has been said and written about this city, including works of fiction, documentary, journalism, science, popular, and other works, numbering in the hundreds. Due to its special location and economic importance, Tbilisi was constantly attracting attention from the outside world. At all stages of history, the city has been the center of the political, economic, and cultural life of Georgians. Its history shows well that from the day of its establishment Tbilisi has been repeatedly ravaged and destroyed by the attacks of outside enemies. Despite the frequent catastrophes, this city still miraculously managed to recover and develop.

Tbilisi has always been distinguished by its polyethnicity and high culture of inter-ethnic relations. This is evidenced by both Georgian and foreign written sources, culture, or other historical-ethnological documents.

Foreign travelers were surprised by the fact that in the center of the city, Orthodox and Gregorian churches, a synagogue, and a mosque were built next to each other. Later a Protestant cathedral would also be built here, and German colonies were founded in Didube and Kukia. It is well known that there is not a single fact in the history of Georgians that reflects the ethnic confrontation between its citizens in Tbilisi.

Speaking of the ethnic composition of the population of the capital, it is desirable to note that the Georgian nobility did not live here permanently throughout the nineteenth century. Most of the nobles who had houses on the territory of Tbilisi, meanwhile, lived mainly in rural areas on their land. So, we are dealing with the event when a prince with his family and servants sometimes lived in Tbilisi and sometimes - in his estate. Presumably, at the time of the census of Tbilisi, they could not be included in the number of households that made up the population of the city. This should explain the difference between the Georgian and non-Georgian populations expressed in quantitative terms.

Many foreign scholars and travelers have written about the life of Tbilisi and its multicultural environment. Many guests were amazed by its originality and special lifestyle. Arnold Zisserman, an official of the Russian Empire who lived and served in Georgia from 1842 to 1878, writes about Tbilisi: "It was Asia and Europe, now we have to look for oriental features, and then it was just striking. At every step we encountered a lot of diversity and lots of foreigners attracting our attention, there was very little difference compared to our cities, there is so much mix of East and West that only a talented brush could paint this picture clearly. At the sharpest description, it is possible to notice something that is difficult to notice at first glance, but something that precisely characterizes the city, with its diverse population, original customs, and cheerful, noisy life. From afar I thought I could see a completely Asian city, with narrow streets and alleys without squares, with small houses hiding behind stone fences." (A. L. Zisserman, Twenty-Five Years in the Caucasus, 1842-1867, part one1842-1851, SPb., 1879, p. 11). Even from these recollections, it becomes clear what kind of diverse existence of the nineteenth-century city there was, with its multiethnic population. It was the multiethnic population of Tbilisi that created a special look for this city.

In the city, as in the rest of Georgia, people of different faiths and nationalities have always enjoyed equal rights. Georgian reality does not recognize discrimination on national or religious grounds. Azerbaijanis and Turks, Russians and Germans, Jews and other ethnic minorities have lived and worked side by side in Tbilisi for a long time, without losing their own natural culture.

Among the many ethnic groups living in Georgia today, Azerbaijanis are the most numerous ethnic minority. They are connected with Georgia by not a single period of life. The ancestors of the Azerbaijanis appear actively in Kartli-Kakheti and specifically in Tbilisi during the reign of Erekle II. King Erekle often used their help in battles as well as to boost economic activity. The Azerbaijanis have long pursued agriculture and nomadic livestock, for them, the main agricultural crops were:

barley, wheat, rice, and cotton. Another leading field of agriculture was horticulture. They were actively engaged in silkworm breeding. The planting of mulberry trees and the breeding of silkworms have been particularly active since the early nineteenth century. Viticulture was not unfamiliar to them either, they brought grapes well adapted to the local climate. Livestock was mainly nomadic in nature. The herdsmen engaged in cattle breeding by switching to summer and winter pastures. Shepherds kept cattle in the mountains of the neighboring Caucasian peoples in exchange for certain taxes. Cattle were also an important part of their livestock. Camels and horses were used for long journeys and to transport trade goods. The Azerbaijanis were also good in the industry, especially in the pursuit of the production of felt and carpets. Fabrics decorated with Azerbaijani ethnic and religious patterns were known to the world. Colorful carpets decorated with a variety of ornaments were very popular throughout the Middle East, so weaving was a leading field from which they received considerable economic benefits, almost all women of Azerbaijani families were engaged in this activity. They also produced a variety of silk and wooden products, and their glazed pottery was also a very interesting and original product, the production of which was a lucrative business for commercial purposes.

When talking about the life and culture of Azerbaijanis, we cannot ignore their family activities, where strong patriarchal traditions dominated. Based on Muslim law and customary, traditional folk law, family life depended entirely on the influence of the oldest man in the family. Women were practically not involved in important decisions about family affairs.

Elderly committees (aghsakals) had a special place in the norms of Azerbaijani norms of customary law. Polygamy was more or less common among them. The marriage of young people and their future fate were decided by the elders. Particularly noteworthy is their attitude towards their own traditions, which they strictly adhered to. Their food ration was mixed with vegetarian and animal products and Caucasian and Central Asian dishes were also part of their daily ration. Mutton had a special place in the dishes, they also actively consumed dairy products and prepared various porridges, although it should be noted that the ratio depended on the area of residence and natural climatic conditions.

Religious holidays played an important role in the lives of Azerbaijanis. Accordingly, the preparation of ceremonial dishes was part of the ritual.

As mentioned above, the Azerbaijani population actively appeared in Tbilisi in the late eighteenth and early nineteenth centuries. They almost completely observed their customs and religious rituals in the capital of Georgia. Their everyday life and culture on the one hand maintained their authenticity, and on the other hand, were mixed with the lifestyle of the capital of Georgia. Muslims in Tbilisi enjoyed unlimited rights. They celebrated various traditional religious holidays (Nowruz, Kurban-Bayram, Muharram, etc.). Some of their festivals were a kind of theatrical spectacle, much like the Georgian Berikaoba-Keenoba.

The Azerbaijani people made compact settlements in old Tbilisi, where they used to decorate the streets with glitter items, golden bells, and colorful fabrics on their holidays. On Tatris Moedani (Tatar square), in the mosque, they celebrated the feast of Muharram. It was also celebrated in other districts of Tbilisi, such as Zemo Vedzisi, Soghanlughi, and Mskhaldidi. The festival of Muharram was held annually at the beginning of the first month of the lunar calendar. To meet this important day for them, the Azerbaijanis were properly prepared: they sewed new clothes, bought groceries, changed old household utensils, baked a variety of sweets, and prepared pilaf. Marriage and other ceremonies were forbidden during that period (G. Gotsiridze, Muslim holiday "Muharram" in Tbilisi, Tbilisi, 1988, p. 11). They also regularly celebrated the New Year holiday, Nowruz. They gathered in Tatar Square and organized a procession carrying flowers and playing music. On this holiday, fruit and sweets were put on the table, as a treat for guests. It is noteworthy that ethnic Georgians often attended Muslim holidays. The celebrants greeted each other on a festive day and enjoyed a variety of traditional dishes. The local press often covered the traditions of celebrating such holidays. "On Sunday, March 9, the Muslim Shiites celebrated their first day of the new year. This holiday continued for three days at a time. ... This year, as always, Muslims celebrated their New Year with a big joy. ... Some went for a walk

in the garden of Mushtaid, some in the Botanical Garden. Konka wagons (A horsecar) were packed with them. "Every step of the way, we would meet smiling and dressed up Muslims" (Newspaper „Iveria", March 11, 1886).

As it has been mentioned many times, Tbilisi has always been an important socio-economic center of the South Caucasus, where foreign and transit trade developed during the peace periods. The local Azerbaijani population was also involved in the city's trade relations. They occupied a certain niche in the markets of Tbilisi. They often traded in agricultural products. Here they owned several trade facilities (e.g., caravanserai), teahouses, and cafes (chai khana and kava khanas). They were also skilled in handicrafts; many Azerbaijani craftsmen were skilled in making copperware. The beautiful carpets and rugs made by them had a special place in the markets and other shops of Old Tbilisi.

Tbilisi, along with many other sights, was famous for its thermal waters and sulfur baths, where some of the bathhouse massage therapists-mekise were Azerbaijani. This activity, of course, required certain knowledge. In this regard, after a trip to Tbilisi, Alexandre Dumas recalls with admiration the special knowledge of the mekises. "Soon the mekise decided that ordinary water was no longer enough and took a sac. Suddenly, I noticed that the sac swelled and released a lather of soap into which I was covered from head feet. My eyes were slightly burning, otherwise, I had never experienced such a pleasant feeling. How did it happen that no one has introduced a Tbilisi bath in Paris, this city of sensual sweetness? Could not any speculator have invited two mekises from Tbilisi? At the same the person would pursue a philanthropic goal, and, no doubt, would accumulate innumerable riches. During the month and a half that I spent in Tbilisi, I went to the Persian bath every other day" (A. Dumas, Caucasus, translated from French by Tinatin Kikodze, Ia Bersenadze and Giorgi Ekizashvili, Tbilisi, 2009, p. 209).

In Tbilisi, the Azerbaijani population established a Muslim branch of the People's Universities, where they formed societies of various directions. For example, in 1910, the "Muslim Women's Charitable Society in the Caucasus" was established in Tbilisi, which adopted a charter. This community included 45 female members. The organization established an orphanage in the city (N. Gelovani, Tbilisi Muslim Community (1801-1917), Tbilisi, 2021, p. 275). A Muslim Drama Society was also established in Tbilisi, which organized various performances.

The Muslim population of the Georgian capital was both Shiites and Sunnis. Most of the Azerbaijanis were Shiites. They had a mosque in old Tbilisi, near Narikala, where all Muslims prayed together, which was a rare occurrence in the world.

The Azerbaijani population had a separate cemetery (Gorkhana) in Tbilisi. It was located at the foot of Narikala Fortress, near the Botanical Garden. Gorkhana is also mentioned in the Vakhushti Batonishvili plan of Tbilisi. Before the Sovietization of Georgia, the cemetery covered a large area, including a mosque. However, during the Soviet regime, the mosque was demolished and a large part of the territory was razed.

Today, a large part of Gorkhana belongs to the Botanical Garden, however, there is a pantheon of Azerbaijani public and political figures near there.

Buried in the Pantheon are Mirza Fatali Akhundov, Mirza Shafi Vazehi, Abdullah Agha Bakikhanov, Fatali Khan Khoiski, Hasan Bey Aghayev, Ibrahim Ispakhanli, Hussein Efendi Gaibov, Nazli Khanum Mamedkulizav, Hamarbo Sulboz, Abbas Kurbanov, Enver Khudaverdiev, Mustafa Veliyev, Hussein Bakhmanov, and others.

Another Muslim cemetery was located on the left side of the Navtlughi gorge in old Tbilisi. For Muslims, this place, as well as for Christians, was of special, sacral importance, which is why Gorkhana was constantly cared for and given great attention.

Azerbaijanis living in Tbilisi did not have an indifferent attitude towards Christian holidays either. There are many folk tales or historical facts that throughout the nineteenth and early twentieth centuries, before the Bolshevik occupation, they congratulated their compatriots with Christian holidays and even celebrated them together with them. Based on ethnographic material, there are

facts that the Muslim population of the city worshiped Christian saints in times of special hardship or illness. It is noteworthy that there were quite frequent mixed marriages between these two peoples, which brought them even closer.

Despite the self-rule of the Russian Empire, while education was mainly in Russian, several schools were established in Tbilisi, where Azerbaijani students could receive education in their own language. Also, there was a special Muslim school that was very popular in the Muslim community of the city. The creation of Azerbaijani language textbooks for schools actively started in the 1930s. Also, a treasury school for Muslims opened in Tbilisi, where there were educated only boys.

During the period of the Democratic Republic of Georgia, education reform was carried out and Russian, as the language of the empire, was replaced by the Georgian state language, and two Azerbaijani public schools with fifteen departments were specially established in Tbilisi. The Government of the Republic paid great attention to the social condition of ethnic minorities, promoting the protection and development of their culture and language. It also supported the involvement of ethnic minorities in public service. They enjoyed complete freedom of religion. In February 1921, when Soviet Red Army invaded Georgia, local Azerbaijanis were among the defenders of Tbilisi. In old Tbilisi, the locals were so absorbed in each other that they spoke each other's language. Georgians sang Azerbaijani songs, as did Azerbaijanis sing Georgian. Their coexistence created a certain attractive Tbilisi style, which was a good example of the cohabitation of different cultures.

TBİLİSİDƏ YAŞAYAN AZƏRBAYCANLILARIN MƏİŞƏTİ VƏ MİLLİ ƏNƏNƏLƏRİ

Gürcüstanın paytaxtı Tbilisi yalnız Gürcüstan üçün deyil, eləcə də Şərqi Avropa və Yaxın Şərq üçün də xüsusi bir hadisədir. Onun haqqında bir çox söz deyilmiş və yazılmış, o cümlədən, bədii, sənədli, publisist, elmi, məşhur və ya digər xarakterli əsərlər yazılmışdır ki, hansıların sayı bir neçə yüzlük təşkil edir. Tbilisi öz xüsusi yerləşməsi və iqtisadi əhəmiyyəti səbəbindən daima xarici dünya tərəfindən diqqəti cəlb edirdi. Şəhər tarixin bütün mərhələlərində gürcülərin siyasi, iqtisadi və mədəni həyatının mərkəzi olmuşdur. Onun tarixi bizə yaxşı göstərir ki, Tbilisi təsis edildiyi gündən xarici düşmənlərin hücumları nəticəsində dəfələrlə talan və məhv edilmişdir. Tez-tez başına gələn bədbəxtliklərə baxmayaraq, bu şəhər möcüzəvi şəkildə yenə də bərpa edilə-inkişaf edə bilmişdir.

Tbilisi daima polietniklik və etnoslararası münasibətlərin yüksək mədəniyyəti ilə seçilirdi. Buna gürcü, eləcə də xarici dilli yazılı mənbələr, məişət mədəniyyəti və ya digər tarixi-etnoloji sənədlər şahidlik edir.

Əcnəbi səyyahları o hal təəccübləndirirdi ki, şəhərin mərkəzində, bir-birinin yanında pravoslav və qriqoryan kilsələri, sinaqoq və məscid tikilmişdir. Daha sonra protestant məbədi də tikiləcək, Didube və Kukiada isə almanların koloniyalarının əsası qoyulacaqdır. Ümumi olaraq məlumdur ki, gürcülərin tarixində Tbilisidə, onun vətəndaşları arasında etnik əlamət ilə qarşıdurmanı əks etdirən heç bir fakt mövcud deyildir.

Paytaxtın əhalisinin etnik tərkibi barədə söhbət edərkən onu qeyd etmək arzu olunur ki, bütün on doqquzuncu əsr ərzində gürcü zadəganları burada daima yaşamırdı. Tbilisi ərazisində yaşayış evləri olan əsilzadələrin əksəriyyəti eyni zamanda əsasən kənddə, öz malikanəsində yaşayırdı. Belə ki, elə bir hal mövcuddur ki, zadəgan öz ailəsi və qulluqçuları ilə birlikdə bəzən Tbilisidə və bəzən də öz malikanəsində yaşayırdı. Ehtimal olaraq, onlar müxtəlif zamanlarda Tbilisi siyahıya alınarkən şəhərin əhalisini təşkil edən ev təsərrüfatlarının sayına düşə bilməmişlər. Gürcü və qeyri-gürcü əhali arasında say baxımından ifadə edilmiş fərq bununla izah olunmalıdır.

Tbilisinin məişəti və onun multimədəni mühiti barədə bir çox əcnəbi alim və ya səyyah yazmışdır. Bir çox qonaq onun özünəməxsusluğu və xüsusi həyat tərzi ilə heyrətə gəlmişdir. 1842-1878-ci illərdə Gürcüstanda yaşamış və qulluq etmiş Rusiya İmperiyasının məmuru Arnold Zisserman Tbilisi barədə yazır: "Bu Asiya və Avropa idi, indi şərq xüsusiyyətlərini axtarmalı oluruq, o zaman isə o, sadəcə nəzərəçarpan idi. Hər addımda bir çox rəngarəngliyə və diqqəti cəlb edən bir çox gəlmiş insana rast gəlirdik, bizim şəhərlərimizlə müqayisədə çox kiçik bir fərq olardı, şərq və qərbin o qədər qarışığı vardır ki, yalnız istedadlı fırça bu şəkli aydın şəkildə təsvir edə bilərdi. Ən aydın şəkildə təsvir zamanı da nəyisə unuda bilərsən ki, bu ilk baxışdan çətin görünür, lakin şəhəri aydın şəkildə, rəngarəng əhalisi, orijinal adət-ənənələri və şən, özünəməxsus şəkildə səs-küylü həyatı ilə səciyyələndirir. Uzaqdan elə bilirdim ki, dar cığırları, dar xiyabanları ilə, meydanları olmayan, daş hasarların arxasında gizlənən kiçik evləri ilə tamamilə Asiya şəhərini görəcəyəm" (А. Зиссерман, Двадцать пять лет на Кавказе (1842-1867), часть первая 1842-1851, СПб., 1879, с. 11.). Bu xatirədən də öz multietnik əhalisi ilə on doqquzuncu əsrin şəhərinin rəngarəng məişəti aydın görünür. Bu şəhərin xüsusi görünüşünü məhz Tbilisinin çoxetnikli əhalisi yaradırdı.

Şəhərdə, qalan Gürcüstanda olduğu kimi, müxtəlif inanclı və milliyyətli sakinlər daima bərabər hüquqlardan istifadə edirdilər. Gürcü reallığı milli və ya dini əlamət ilə ayrı-seçkiliyi tanımır. Tbilisidə azərbaycanlılar və türklər, ruslar və almanlar, yəhudilər və digər etnik azlıqlar uzun müddət ərzində özünün özünəməxsus mədəniyyətini itirmədən, bir-biri ilə yan-yana yaşamış və çalışmışlar.

Hal-hazırda Gürcüstanda yaşayan bir çox etnos arasında ən çoxsaylı etnik azlıq azərbaycanlılardır. Onları Gürcüstan ilə yaşadıqları böyük bir dövr əlaqələndirir. Azərbaycanlıların əcdadları Kartli-Kaxetidə və konkret olaraq Tbilisidə İkinci Ereklenin çarlığı dövründə fəal şəkildə üzərə çıxırlar. Çar Erekle döyüşlərdə və eləcə də iqtisadi fəaliyyəti gücləndirmək üçün tez-tez onların köməyindən istifadə edirdi. Azərbaycanlılar qədim zamanlardan bəri əkinçilik və köçəri heyvandarlıqla məşğul olurdular, onlar üçün əsas kənd təsərrüfatı bitkiləri: arpa, buğda, düyü və pambıq idi. Əkinçiliyin daha bir aparıcı

istiqaməti bostançılıq-bağçılıq idi. Onlar fəal olaraq ipəkçiliklə məşğul olurdular. Tut ağaclarının əkilməsi və ipəkqurdunun artırılması on doqquzuncu əsrin əvvəllərindən xüsusilə aktivləşmişdir. Onlar üçün üzümçülük də yad deyildi, yerli iqlim ilə yaxşı uyğunlaşdırılmış üzüm yetişdirirdilər. Heyvandarlıq əsasən köçəri xarakter daşıyırdı. Heyvandarlar daha çox yay və qış otlaqlarında otarma təsərrüfatı ilə məşğul idilər. Qoyunçular müəyyən vergilər müqabilində mal-qaranı qonşu qafqazlı xalqın dağlarında saxlayırdılar. İribuynuzlu mal-qara da onların heyvandarlığının əhəmiyyətli bir hissəsi idi. Uzaq səyahətlər və ticarət yüklərinin daşınması üçün dəvə və uzunqulaqlardan istifadə edirdilər. Azərbaycanlılar üçün sənaye də yad deyildi, onlar xüsusilə keçə və xalçaların istehsalı ilə məşğul idilər. Azərbaycanın etnik və dini səciyyələndiriciləri ilə tərtib edilmiş parçalar bütün dünyada məşhur idi. Rəngarəng ornamentlərlə bəzədilmiş rəngli xalçalar bütün Yaxın Şərqdə çox məşhur idi, buna görə də xalçaçılıq kifayət qədər iqtisadi faydanı əldə etdikləri aparıcı bir sahə idi, demək olar ki, bütün azərbaycanlı ailələrin qadınları bu fəaliyyətlə məşğul olurdu. Eləcə də müxtəlif ipək və mahud məhsullarını istehsal edirdilər, onların şirlənmiş keramikası da çox maraqlı və orijinal bir məhsul idi ki, hansının kommersiya məqsədləri ilə istehsal edilməsi əlverişli bir iş idi.

Azərbaycanlıların məişəti və mədəniyyəti barədə söhbət edərkən onların ailə fəaliyyətindən yan keçə bilmərik ki, hansında güclü patriarxal ənənələr üstünlük təşkil edirdi. Müsəlman hüquq və adət, xalq ənənəvi hüquq normalarına əsasən, ailənin həyat tərzi bütövlüklə böyük kişinin təsirindən asılı idi. Qadınlar isə ailə işinin əhəmiyyətli qərarlarında praktiki olaraq iştirak etmirdilər.

Azərbaycan adətlərinin hüquq normalarında ağsaqqallar xüsusi yer tuturdular. Onlar arasında çox arvadlılıq az-çox yayılmışdı. Gənclərin evlənməsi və gələcək taleyi barədə böyüklər qərar verirdilər. Onların ciddi şəkildə riayət etdikləri öz ənənələrinə qarşı münasibəti xüsusilə diqqətəlayiqdir. Onların qida rasionuna bitki və heyvan məhsulları əlavə edilmişdi ki, hansında Qafqaz və Orta Asiya təamları da gündəlik rasionun bir hissəsini təşkil edirdi. Yeməklər arasında qoyun əti xüsusi yer tuturdu, eləcə də fəal olaraq süd məhsullarından istifadə edir və müxtəlif növ sıyıqları hazırlayırdılar, lakin qeyd edilməlidir ki, rasion onların məskunlaşdıqları arealdan və təbii iqlim şəraitindən asılı idi.

Dini bayramlar azərbaycanlıların həyatında olduqca əhəmiyyətli bir yer tuturdu. Müvafiq olaraq, bayram yeməklərinin hazırlanması ritualın bir hissəsini təşkil edirdi.

Yuxarıda qeyd etdiyimiz kimi, Azərbaycan əhalisi Tbilisidə XVIII əsrin sonu və XIX əsrin əvvəllərində fəal olaraq meydana gəlmişdir. Onlar Gürcüstanın paytaxtında, demək olar ki, tam şəkildə öz adət-ənənələrinə riayət edir və dini ritullarını yerinə yetirirdilər. Onların məişəti və mədəniyyəti bir tərəfdən öz avtentikliyini saxlayırdı, digər tərəfdən isə Gürcüstanın paytaxtının həyat tərzi ilə qarışmışdı. Tbilisili müsəlmanlar məhdudiyyətsiz hüquqlardan istifadə edirdilər. Onlar müxtəlif ənənəvi dini bayramları (Novruz, Qurban Bayramı, Məhərrəmlik və sair) keçirirdilər. Onların bəzi bayramları təxminən, gürcü Berikaoba-Keenoba kimi, teatralizasiya edilmiş bir tamaşa idi.

Azərbaycanlı əhali Qədim Tbilisidə yığcam yaşayış məntəqələrini yaradırdı ki, hansılarda onlar öz bayramlarında küçələri parlaq əşyalar, qızıl rəngli zınqırovlar və rəngli parçalar ilə bəzəyirdilər. Tatar meydanında, onların məscidində Məhərrəmlik bayramını qeyd edirdilər. Eləcə də Tbilisinin başqa məhəllələrində, məsələn, Zemo Vedzisi, Soğanlıq və Msxaldididə bayram keçirirdilər. Məhərrəmlik bayramı hər il ay təqviminin birinci ayının əvvəlində keçirilirdi. Azərbaycanlılar onlar üçün bu əhəmiyyətli günü qarşılamaq üçün müvafiq şəkildə hazırlaşırdılar: yeni paltar tikdirir, ərzaq alır, köhnə ailə qablarını dəyişir, müxtəlif növ şirniyyat və plov bişirirdilər. Həmin zaman evlənmə və digər bayram tədbirləri qadağan edilirdi (Q. Qotsiridze, Tbilisidə müsəlman bayramı "Məhərrəmlik", Tb., 1988, 11-ci səh.). Eləcə də müntəzəm olaraq yeni il bayramını, Novruzu qeyd edirdilər. Tatar meydanında toplaşaraq çiçəklərin və musiqinin müşayiəti ilə yürüş təşkil edirdilər. Həmin bayramda süfrəyə meyvə və şirniyyat qoyaraq qonaqları qarşılayırdılar. Səciyyəvidir ki, müsəlman bayramlarında tez-tez etnik gürcülər də iştirak edirdilər. Bayram iştirakçıları bir-birini bayram tarixi münasibətilə təbrik edir və müxtəlif ənənəvi təamları dadırdılar. Yerli mətbuatda tez-tez bu cür bayramları qeyd etmə ənənələri işıqlandırılırdı. "Bazar günü, martın 9-da şiə müsəlmanları öz yeni ilinin ilk gününü keçirirdilər. Bu bayram adətən hər zaman üç gün davam edir... Bu il də, hər zaman olduğu kimi, müsəlmanlar öz yeni

ilini böyük bayram ilə keçirdilər. ...Bəziləri gəzmək üçün Müştəhid, bəziləri isə Nəbatat bağına getdilər. Onlar Konka vaqonlarına dolurdular. Hər addımda üzü gülən və bəzənmiş müsəlmana rast gəlirdik" ("İveria" qəzeti, 1886-cı il, 11 mart).

Dəfələrlə qeyd edildiyi kimi, Tbilisi qədim zamanlardan bəri Cənubi Qafqazın əhəmiyyətli sosial-iqtisadi mərkəzi olubdur ki, burada sülh dövründə xarici və tranzit ticarəti inkişaf edirdi. Şəhərin ticarət münasibətlərinə yerli azərbaycanlı əhali də qoşulmuşdu. Onlar Tbilisi bazarlarında müəyyən yer tuturdular. Bir çox halda kənd təsərrüfatı məhsulları ilə ticarət edirdilər. Burada onların mülkiyyətində olan bir neçə ticarət obyekti (məsələn, Karvasla), çayxana və qəhvəxana var idi. Onlar sənətkarlıqda da məharətli idilər, bir çox azərbaycanlı usta mis qabların düzəldilməsində ustalaşmışdır. Qədim Tbilisinin bazarları və digər ticarət obyektlərində onlar tərəfindən toxunmuş çox gözəl xalça və palazlar xüsusi yer tuturdu.

Tbilisi bir çox digər görməli yerləri ilə yanaşı, termal sular və kükürdlü hamamları ilə məşhur idi ki, hansılarda kisəçilərin bir hissəsi azərbaycanlı idi. Bu fəaliyyət, əlbəttə ki, müəyyən biliyi nəzərdə tuturdu. Bununla bağlı Aleksandr Düma Tbilisiyə səyahətdən sonra kisəçilərin xüsusi biliyini heyranlıqla xatırlayır. "Tezliklə kisəçi qərara gəldi ki, adi su kifayət deyildir və torbanı götürdü. Qəflətən, gördüm ki, torba köpürdü və sabun köpüyünü buraxdı ki, hansına başdan ayağa büründüm. Biraz gözlərim yanırdı, yoxsa bu cür xoş hissi hələ keçirməmişdim. Necə baş verdi ki, Parisdə, bu cismani həzzlər şəhərində hələ heç kim Tbilisi hamamını təşkil etməyib? Ola bilərmi ki, heç bir spekulyant Tbilisidən iki kisəçini dəvət edə bilmədi? O, həm filantrop məqsədini həyata keçirərdi, və daha şübhəsiz ki, saysız-hesabsız sərvəti toplayardı. Tbilisidə keçirdiyim ay yarım ərzində hər ikinci gün fars hamamına gedirdim" (A. Düma, Qafqaz, fransız dilindən tərcümə: Tinatin Kikodzenin, İa Bersenadze və Qiorqi Ekizaşvilinindir, Tb., 2009, 209-cu səh.).

Tbilisidə azərbaycanlı əhali xalq universitetlərinin müsəlman şöbəsini təsis etmişdir ki, hansılarda müxtəlif istiqamətli cəmiyyətləri yaradırdılar. Məsələn, 1910-cu ildə Tbilisidə nizamnaməsini qəbul etmiş "Qafqaz Müsəlman Qadın Xeyriyyə Cəmiyyəti" formalaşmışdır. Həmin cəmiyyətə 45 üzv qadın daxil idi. Təşkilat şəhərdə Yetim Evini təsis etmişdir (N. Qelovani, Tbilisi müsəlman icması (1801-1917) Tb., 2021, 275-ci səhifə). Tbilisidə eləcə də müxtəlif tamaşaları təşkil edən Müsəlman Dram Cəmiyyəti yaradılmışdır.

Gürcüstan paytaxtının müsəlman əhalisini şiə və sünnülər təşkil edirdilər. Azərbaycanlıların əksəriyyəti şiə idi. Onların Qədim Tbilisidə, Narınqalanın yanında məscidi var idi ki, burada bütün müsəlmanlar birlikdə namaz qılırdı, bu da dünyada nadir bir hal idi.

Tbilisidə azərbaycanlı əhalinin ayrıca qəbristanlığı (Gorxana) var idi. O, Narınqala qalasının dibində, Nəbatat bağının yanında yerləşirdi. Gorxana Vaxuşti Batonişvilinin Tiflis planında da qeyd edilib. Gürcüstanın sovetləşməsindən öncə qəbristanlıq kifayət qədər böyük və geniş bir ərazini əhatə edirdi, onun hüdudlarında məscid də yerləşirdi. Lakin Sovet rejimi zamanı məscidi dağıtdılar və ərazinin böyük bir hissəsini düzləşdirdilər.

Bu gün Gorxananın böyük bir hissəsi Nəbatat bağının ərazisinə məxsusdur, lakin oradaca Azərbaycanın ictimai və siyasi xadimlərinin panteonu yerləşir.

Panteonda Mirzə Fətəli Axundov, Mirzə Şəfi Vazeh, Abdulla ağa Bakıxanov, Fətəli xan Xoyski, Həsən bəy Ağayev, İbrahim İsfahanlı, Hüseyn Əfəndi Qayıbov, Nazlı xanım Məmmədquluzadə, Həmzət bəy Qayıbov, Müzəffər Nərimanov, Fərəc bəy Sultanov, Mirzəli Abbasov, Abbas Qurbanov, Ənvər Xudaverdiyev, Mustafa Vəliyev, Hüseyn Bəhmənov və başqaları dəfn edilib.

Müsəlmanların daha bir qəbristanlığı Qədim Tbilisidə Navtluği dərəsinin sol tərəfində də mövcud idi. Bu yer müsəlmanlar üçün, xristianlar üçün olduğu kimi, xüsusi, mərasimi əhəmiyyət kəsb edirdi, buna görə də Gorxanaya daima qulluq edir və böyük diqqət yetirirdilər.

Tbilisidə yaşayan azərbaycanlıların xristian bayramlarına qarşı münasibəti də laqeyd deyildi. Bir çox xalq rəvayəti və ya tarixi fakt mövcuddur ki, bütün XIX əsr ərzində və XX əsrin əvvəlində bolşevik işğalından əvvəl xristian bayramları münasibətilə sinif yoldaşlarını təbrik edir və hətta onlarla birlikdə bayramı qeyd edirdilər. Etnoqrafik materiala istinad edərək, elə bir faktlar mövcuddur ki,

şəhərin müsəlman əhalisi xüsusi çətinlik və ya xəstəlik zamanı xristian müqəddəslərinə dua edirdi. Səciyyəvidir ki, bu iki xalq arasında kifayət qədər tez-tez qarışıq nikahlar baş tuturdu ki, bu da onların daha da yaxınlaşmasına dəstək olurdu.

Rusiya İmperiyasının istibdadına baxmayaraq, təhsil əsasən rus dilində aparıldığı zaman Tbilisidə bir neçə təhsil müəssisəsi təsis edilmişdir ki, hansılarda azərbaycanlı şagirdlər öz dilində təhsil ala bilirdilər. Eləcə də şəhərin müsəlman cəmiyyətində çox məşhur olan xüsusi müsəlman təhsil müəssisəsi mövcud idi. XIX əsrin 30-cu illərindən etibarən fəal olaraq təhsil müəssisələri üçün Azərbaycan dili dərsliklərinin yaradılması başlayır. Tbilisidə eləcə də yalnız müsəlman oğlanların təhsil aldığı xəzinə təhsil müəssisəsi açılır.

Gürcüstan Demokratik Respublikası dövründə təhsil islahatı aparılmış və imperiyanın dili olaraq, rus dilini dövlət gürcü dili əvəz etmiş, Tbilisidə xüsusi olaraq on beş şöbəyə malik olan iki Azərbaycan xalq məktəbi yaradılmışdır. Respublikanın hökuməti etnik azlıqların ictimai vəziyyətinə böyük diqqət yetirir, onların mədəniyyəti və dilinin qorunması-inkişaf etdirilməsinə dəstək olurdu. Həmçinin etnik azlıqların dövlət qulluğuna qoşulmasına dəstək olurdu. Onlar tam dini inanc azadlığına malik idilər. 1921-ci ilin fevral ayında, Sovet Rusiyasının qızıl ordusu Gürcüstana hücum etdiyi zaman Tbilisinin müdafiəçiləri arasında yerli azərbaycanlılar da var idi. Qədim Tbilisidə yerli əhali o dərəcədə bir-biri ilə uyğunlaşmışdı ki, bir-birinin dilində danışırdılar. Gürcülər Azərbaycan mahnılarını, azərbaycanlılar isə gürcü mahnılarını oxuyurdular. Onların birgə yaşaması müəyyən Tbilisisayağı gözəlliyi yaradırdı ki, bu da bir-birindən fərqli olan mədəniyyətlərin birgə mövcud olmasının yaxşı bir nümunəsi olmuşdu.

ძველი თბილისი, მეიდანი OLD TBILISI, MAIDAN
QƏDİM TBİLİSİ, MEYDAN

მეჩეთი და ხიდი მეიდანთან MOSQUE AND BRIDGE NEAR MAIDAN
MEYDAN YAXINLIĞINDAKI MƏSCİD VƏ KÖRPÜ



ძველი თბილისი, თათრის მეიდანი OLD TBILISI, TATAR MAIDAN
QƏDİM TBİLİSİ, TATAR MEYDANI



აზერბაიჯანელი ხალიჩის მქსოველები თბილისში
AZERBAIJANI CARPET WEAVERS IN TBILISI
AZƏRBAYCAN XALÇAÇILARI TBİLİSİDƏ



თბილისის აზერბაიჯანელი მოსახლეობა
AZERBAIJANI POPULATION OF TBILISI
TBİLİSİNİN AZƏRBAYCANLI ƏHALİSİ

ძველი თბილისი
OLD TBILISI
QƏDİM TBİLİSİ



თავი III
FƏSİL III
CHAPTER III

აზერბაიჯანელი მხატვრული სიტყვის ოსტატები და აშუღები თბილისში

საუკუნეების განმავლობაში საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკებს შორის (ადრეული ირანის აზერბაიჯანის თურქულენოვანი სამეფო) საკმაოდ მჭიდრო და ინტენსიური კულტურული, პოლიტიკური თუ ეკონომიკური ურთიერთობები არსებობდა.

გეოგრაფიული მდებარეობის გამო, საქართველო ამიერკავკასიის საკვანძო ადგილს წარმოადგენდა. რუსეთის მიერ ჯერ საქართველოს, შემდეგ კი ამიერკავკასიის ანექსიამ და მეფისნაცვლის თბილისში დამკვიდრებამ, მის ცენტრად ქცევას კიდევ უფრო შეუწყო ხელი.

ამ დროიდან მოყოლებული, საქართველოს არაერთი აზერბაიჯანელი სტუმრობს, ზოგიც თბილისში დაბადებული, აქტიურ კულტურულ საქმიანობას იწყებს. მათ შორის შეიძლება დავასახელოთ: პოეტი მირზა შაფი ვაზეჰი; პოეტი და განმანათლებელი აბასყული აღა ბაქიხანოვი; განმანათლებელი და ფილოსოფოსი მირზა ფათალ ახუნდოვი; პოეტი, მწერალი და დრამატურგი აბდულა შაიგი. მათი შემოქმედება და ფილოსოფიური ნააზრევი ორი ქვეყნის ურთიერთობაზეც აისახა.

მირზა შაფი ვაზეჰი (1792/1804-1852). აზერბაიჯანელი პოეტის მირზა შაფის დაბადების ზუსტი თარიღი არ არის დადგენილი. ცნობების მიხედვით, ის 1792 ან 1804 წელს, განჯაში დაიბადა. მირზა შაფიმ ახალგაზრდობა მშობლიურ ქალაქში გაატარა და განათლებაც იქ მიიღო. ადრეული ასაკიდან დაიწყო მუშაობა ჯერ მდივნად, შემდეგ კი აღმოსავლური ენების მასწავლებლად.

პოეტის შესახებ მწირი ინფორმაციაა შემონახული. ცნობილია, რომ კრიტიკული აზროვნებით გამორჩეულს, მშობლიური ქალაქის დატოვება მოუხდა და საცხოვრებლად თბილისში გადმოსახლდა, სადაც თავს მასწავლებლობით ირჩენდა. შექმნა ლიტერატურული წრე, ასწავლიდა აზერბაიჯანულ, სომხურ და სპარსულ ენებს. ასევე გახსნა სალონი, სადაც საუბრობდნენ ფილოსოფიაზე, კულტურასა და პოეზიაზე.

სწორედ ამ ლიტერატურული წრის წყალობით გაიცნო მირზა შაფიმ გერმანელი ლიტერატორი ფრიდრიხ ბოდენშტედტი, რომელიც 1844 წელს მასთან კავკასიური ენების შესასწავლად მივიდა და შემდგომ, მთელ მსოფლიოში გაუთქვა სახელი. მასწავლებელმა მოსწავლეს ხელნაწერი ლექსების რვეული „სიბრძნის გასაღები“ აჩუქა.

გერმანიაში დაბრუნებული ბოდენშტედტისთვის, მირზა შაფის ლექსები გახდა 1850 წელს გამოაქვეყნებული ნაშრომის ინსპირაცია. „ათას ერთი ღამე აღმოსავლეთში“, – ასე ერქვა წიგნს, სადაც ავტორი მირზა შაფთან სწავლის პერიოდს აღწერდა, მასწავლებლის ლექსებსა და მის პიროვნებას მიმოიხილავდა. 1851 წელს კი, ბოდენშტედტმა ცალკე კრებულად გამოსცა მასწავლებლის ლექსები. კრებულს დიდი წარმატება ხვდა წილად და მრავალ ენაზე ითარგმნა.

რუსმა კომპოზიტორმა ანტონ რუბინშტეინმა თორმეტი რომანსი მიუძღვნა მირზა შაფის ტექსტებს, რომლებსაც გერმანულიდან რუსულად პეტრე ჩაიკოვსკი თარგმნიდა.

მირზა შაფი 1852 წლის 16 ნოემბერს თბილისში გარდაიცვალა და მუსლიმთა სასაფლაოზე - გორხანაზე დაკრძალეს (Акты, собранные Кавказской археографической комиссией, Тифлис, 1885, с. 832).

მირზა შაფი ცნობილი იყო ფსევდონიმით „ვაჰეზი“ („განჯელი ბრძენი“). მისი პოეზია ძირითადად სატირული ჟანრის ნაწარმოებებს, სატრფიალო ლექსებსა და ფილოსოფიურ ლირიკას აერთიანებდა. უპირისპირდებოდა რელიგიურ ფანატიზმს, ამხელდა ფეოდალური მმართველობის მანკიერ მხარეებს და ადამიანებს თავისუფლებისაკენ უბიძგებდა.

აბასყული აღა ბაქიხანოვი (1797-1847). აზერბაიჯანელი განმანათლებელი, მეცნიერი და მწერალი აბასყული აღა ბაქიხანოვი 1794 წლის 21 ივნისს ბაქოს სოფელ ამირაჯინში, მირზა

მუჰამედ ხან II-ის ოჯახში დაიბადა. დედა – სოფია ბექ ქიზი გამაჰმადიანებული ქართველი იყო. ბავშვობა აფშერონის სოფლებში გაატარა: ამირაჯანში, ბალახანში, მაშტაგში და რამანაში.

1803 წელს ოჯახი სოფელ სამსარაში დამკვიდრდა და მომავალმა მოღვაწემ სწავლა ყუბაში განაგრძო. მიუხედავად იმისა, რომ აბასყულის ბავშვობა ხანებს შორის დაპირისპირებასა და ძალაუფლებისათვის სასტიკ ბრძოლებს დაემთხვა, მან სრულყოფილად შეისწავლა აზერბაიჯანული, სპარსული და არაბული ენები, აღმოსავლური ლიტერატურა და ფილოსოფია. აბასყული იგონებდა: „მართალია, სწავლა 7 წლის ასაკიდან დავიწყე, მაგრამ მუდმივი ომებისა და სხვადასხვა პრობლემების გამო მხოლოდ სპარსული ენის შესწავლა მოვახერხე. როდესაც პოლიტიკური არეულობა შეწყდა და ჩვენი ოჯახი ყუბაში გადავიდა, 10 წელი არაბული ენისა და სხვადასხვა მეცნიერებების შესწავლას მივუძღვენი. მიუხედავად ფინანსური და სხვა დაბრკოლებებისა, გარკვეულ წარმატებებს მეცნიერებაში მაინც მივაღწიე“ (Э. Ахмедов, А. К. Бакиханов: эпоха, жизнь, деятельность, Баку, 1989).

1819 წელს კავკასიის მთავარმმართებელმა ალექსანდრ ერმოლოვმა ბაქიხანოვი თბილისში, თარჯიმნად მიიწვია. 1820 წელს ირიცხებოდა გენერალ ვ. მადათოვის რაზმში. მონაწილეობდა რუსული არმიის ბრძოლებშიც – ყაზიყუმუხის სახანოს მმართველის სურხაი-ხანისა და შირვანის მმართველის მუსტაფა-ხანის წინააღმდეგ. ხოსრეს ბრძოლაში პირველი ოფიცრის წოდება – პროპორშიკი მიიღო.

1822 წლის 9 იანვარს ბაქიხანოვი საქართველოს მთავარმმართებლის კანცელარიაში აღმოსავლური ენების მთარგმნელად რეგისტრირდება. მომდევნო წელს კი, გულისტანის ზავის შედეგად შექმნილი – სპარსეთთან საზღვრის დელიმიტიზაციისა და სადემარკაციო კომისიის შემადგენლობაში მუშაობს. ჩართულია ყარაბაღის აღწერაშიც. 1826-1829 წლებში ბაქიხანოვი მონაწილეობს სპარსეთისა და ოსმალეთის წინააღმდეგ ომებში, როგორც დიპლომატიური, ასევე საბრძოლო კუთხით. პასკევიჩი ბაქიხანოვის შესახებ საგარეო საქმეთა მინისტრს, გრაფ კარლ ნესელროდეს წერდა: „საქართველოში ჩამოსვლისას გავიცანი მისი კეთილშობილური თვისებები და შესაძლებლობები, ამიტომ სრული ნდობით დიპლომატიურ მისიაში განვაწესე. სპარსეთის ომში აბას ყული აღას საქმიანობით განსაკუთრებით კმაყოფილი ვიყავი. მისმა სპარსული ენის სრულყოფილად ცოდნამ და დაუღალავმა მუშაობამ დიდი სარგებელი მოგვიტანა. შაჰის კართან თითქმის ყველა მიმოწერას ის აწარმოებდა. ამრიგად, მისთვის ცნობილი გახდა ჩვენი მთელი ურთიერთობა სპარსეთთან და სპარსული პოლიტიკის მიმდინარეობა“ (Ц. Агаян, А.Бакиханов, Баку, 1948, с. 50).

დიპლომატიური საქმიანობის პარალელურად, აზერბაიჯანელმა მეცნიერმა და მწერალმა მდიდარი ლიტერატურული, ფილოსოფიური და სამეცნიერო მემკვიდრეობა დატოვა. ის ითვლება XIX საუკუნის აზერბაიჯანული რეალისტური ლიტერატურისა და სამეცნიერო ისტორიოგრაფიის ფუძემდებლად. მისი ავტორობით შეიქმნა გეოგრაფიის, ფიზიკის და ისტორიის სახელმძღვანელოები. მის მიერ რუსულად შედგენილი სპარსული ენის გრამატიკა დიდი ხნის განმავლობაში ისწავლებოდა თბილისის გიმნაზიაში. მუშაობდა ჟურნალისტად, რედაქტორობდა გაზეთ „Тифлисские ведомости“-ს სპარსულ გამოცემას.

ბაქიხანოვი იკვლევდა აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ხალხთა მატერიალური და სულიერი კულტურის ისტორიას. პირველმა სცადა აზერბაიჯანის ლიტერატურისა და მეცნიერების შესწავლა მე-XII-დან მე-XIX საუკუნემდე. ბაქიხანოვის გამორჩეული ნაშრომია “Gülüstani-İrəm“ – „სამოთხის ყვავილნარი“ – „კავკასიის აღმოსავლეთი ნაწილის ისტორია“, რომელზე მუშაობისას ავტორი ქართულ წყაროებსაც იყენებდა. 1841 წელს სპარსულ ენაზე დაწერილი ამ ნაშრომით ბაქიხანოვმა საფუძველი ჩაუყარა აზერბაიჯანულ ისტორიოგრაფიას. ასევე, ბაქიხანოვის ნაშრომებია: „Kəşfül-qəraib“ (საოცრებათა აღმოჩენა); „Əsrar ül-mələkut“ (ცათა სამეფოს საიდუმლოებები); „Ümumi coğrafiya“ (ზოგადი გეოგრაფია), რომელიც მსოფლიოს ფიზიკური, პოლიტიკური და ეკონომიკური რუკის აღწერას ეძღვნება.

ცალკე ხაზგასმის ღირსია, ბაქიხანოვის პოეტური ენა, რომელშიც მართალია, იგრძნობა შუა საუკუნეების აღმოსავლური ლიტერატურის გავლენა, თუმცა, ინდივიდუალიზმითა და

ნატიფი პოეტური სტილით გამოირჩევა. საგანმანათლებლო იდეებითა და სუფიური პოეტური სიმბოლოებით გაჟღენთილი ნაწარმოებების სიუჟეტი ცხოვრებისეული რეალობიდანაა აღებული. მის კალამს ეკუთვნის: „Riyazül-Güds“ – „სამოთხის ყვავილნარი“ – პირველი პოეტური ნაწარმოები, რომანტიულ-ჰიპერბოლიზირებული ტექსტი, რომელიც აზერბაიჯანულ ენაზეა დაწერილი (1820 წლით დათარიღებული ხელნაწერის ერთადერთი ნუსხა ბაქოში, აზერბაიჯანის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება); „Kitabi-Əsgəriyyə“ – „ასკერის წიგნი“; „ტიფლისი“, „ქართველთა შორის“ – ლექსები ქართული ქალაქური ცხოვრების შესახებ; „მიმართვა თავრიზელებს“ და ა.შ.

ბაქიხანოვი წერდა ფსევდონიმით „გუდსი“. ცნობილია, რომ მწერალი მეგობრობდა გრიგოლ ორბელიანთან, ალექსანდრე ჭავჭავაძესთან, მირზა ფათალი ახუნდოვთან, ხაჩატურ აბოვიანთან და სხვ. პირადად იცნობდა ნიკოლოზ ბარათაშვილსა და ალექსანდრ პუშკინს.

აზერბაიჯანელი მწერლისა და მეცნიერის შესახებ არაერთი ლეგენდა არსებობს. მათ შორის, ერთ-ერთი გამორჩეულია ბაქიხანოვის შეხვედრა რუსეთის იმპერატორ ნიკოლაი I-თან და მის მეუღლესთან – დედოფალ ალექსანდრასთან. ლეგენდის მიხედვით, იმპერატორის ოჯახს აცნობეს, რომ კავკასიის ცნობილი პოეტი რელიგიის გამო ალკოჰოლურ სასმელს არ სვამდა, დედოფალმა კი გამოცდა მოინდომა და პოეტს სასმელით სავსე ჭიქა შესთავაზა. ბაქიხანოვმა თურმე დედოფალს ჭიქა გამოართვა, დაიჩოქა და იმპერატორს მიუბრუნდა: – „უფალი მთავაზობს სასმელს, ჩემმა უფალმა მითხრა არ დალიო, ვის უნდა დავემორჩილო?“ ლეგენდის თანახმად, იმპერატორმა ნიკოლაიმ უპასუხა: – „შენს უფალს, რა თქმა უნდა“.

მირზა ფათალი ახუნდოვი (1812-1878). „აზერბაიჯანელ მოლიერად“ წოდებული მწერალი, ფილოსოფოსი და აზერბაიჯანული დრამატურგიის ფუძემდებელი მირზა ფათალი ახუნდოვი 1812 წლის 9 მარტს ნუხაში (შაქი) დაიბადა.

ახუნდოვს ტრადიციული სპარსულ-არაბული განათლება ჰქონდა მიღებული. რაღაც პერიოდი სასულიერო მოღვაწეობასაც გეგმავდა, მაგრამ მისი მასწავლებლის მირზა შაფი ვაჰეზის გავლენით, თავი მწერლობას მიუძღვნა.

22 წლის ასაკში, მირზა ფათალი თავისი „მეორე მამის“ – ჰაჯი ალესქერის თხოვნის საფუძველზე, თბილისში აღმოჩნდა, სადაც ცხოვრების უმეტესი ნაწილი გაატარა. 1834 წლიდან მუშაობდა აღმოსავლური ენების თარჯიმნად მთავარმმართებლის კანცელარიაში, პარალელურად კი, თურქულ და სპარსულ ენებს ასწავლიდა თბილისის სამაზრო სასწავლებელში.

სწორედ ამ პერიოდში იწყება მისი ლიტერატურული საქმიანობაც. პირველი ნაწარმოები, რომელმაც სახელი გაუთქვა, იყო ელეგიური კასიდა, რომელიც საბუჰის ფსევდონიმით, 1837 წელს ალექსანდრ პუშკინის გარდაცვალებას მიუძღვნა. ლექსის თარგმანი 1938 წელს იოსებ გრიშაშვილმა გამოაქვეყნა.

მირზა ფათალის თბილისში ცხოვრების პერიოდს ემთხვევა მისი მასწავლებლის, მირზა შაფის მიერ ლიტერატურულ-ფილოსოფიური ჯგუფის – „სიბრძნის წრე“ დაარსება, რომელსაც ხშირად სტუმრობდნენ აზერბაიჯანელი თუ ქართველი მწერლები. სალონში კითხულობდნენ რუსული და აღმოსავლური პოეზიის კლასიკოსთა თხზულებებს, მსჯელობდნენ მწერლობასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

M. Şahtaxtinskinin hər üç kitabı Gürcülər arasında yazıb-oxumağı yayan cəmiyyətin fondunun nüsxəsidir və Gürcüstan Milli Kitabxanasında 1937-ci ildən, həmin fond kitabxanaya daxil olduğu vaxtdan saxlanılır.

Növbəti əhəmiyyətli nəşr olaraq A. Petrosyan tərəfindən tərtib edilmiş Azərbaycan dilinin özüöyrədəni hesab edilir. Həmin kitab 1890-cı ildə Tbilisidə nəşr edilib. Onda Azərbaycan dilinin qrammatik hissəsi və eləcə də bir neçə praktiki danışıq dialoqu verilib. Gürcüstan Parlamentinin Milli Kitabxanasında kitabın üç nüsxəsi saxlanılır. Həmin kitablar kitabxanaya bağışlama şəklində 1958-ci ildən daxil olub.

Петросиан, А. Самоучитель татарского языка / Сост. А. Петросиан. - Тифлис: тип. М. Вартанянца, 1890. - 59 с.; 21 см.

- Kitab saxlancı: R 543.772/3

Arxiv fondu: T 7.123/3; P 52/1890.

İxtisasca filologq, türk-Azərbaycan dilinin müəllimi, yazıçı və eyni zamanda Azərbaycan xalq xadimi olan Sultan Qəniyev 1891-ci, 1904-cü, 1907-ci, 1909-cu və 1912-ci illərdə Tbilisi və Bakıda dilin tədrisi üçün dərslik kimi Qafqaz-Azərbaycan dialektinin tatar dilinin tam özüöyrədənini nəşr etmişdir. O, yazıb-oxumağı, fonetikanı, müxtəlif mövzularda danışıq dialoqlarını və lüğəti ehtiva edir. Müxtəlif illərdə bir neçə dəfə düzəliş edilmiş və tamamlanmış versiyalarla dörd hissə olaraq nəşr edilmişdir.

Gürcüstan Milli Kitabxanasında S. Qəniyevin dərsliyinin tam kolleksiyası saxlanılmır. Fondda Tbilisi və Bakıda çap edilmiş müxtəlif illərin nəşrlərinin ayrıca fəsilləri mühafizə olunur.

Qeyd edilməlidir ki, özüöyrədənin 3-cü hissəsi rus-Azərbaycan lüğətidir. O, 5 050 sözü ehtiva edir, rus əlifbasının ardıcıllığı ilə Vladimer Dalın izahlı lüğəti üzrə tərtib edilib. Bu Sultan Məcid Qəniyev tərəfindən tərtib edilmiş ilk nəşrdir.

Ганиев, Султан-Меджид. Полнейший самоучитель татарского языка кавказско-адербеджанского наречия, как руководство учить: чтению, письму и разговорной речи : [В 4 ч.]. Ч. 1-4 / Сост. Султан-Меджид Ганиев. - Баку: тип. А.К. Касабова, 1890-1913. - 23. - Загл. ч. 1 и 2 изд. 2-го и 4-го, ч. 4-й изд. 1-го и 2-го с незначит. изм.; Загл. ч. 4 изд. 4-го: Самоучитель татарского

языка.

Ч. 3 Русско-татарский словарь, заключающий в себе 5050 слов, выпис. в порядке рус. алфавита с толковаго словаря Владимира Даля. - 1-е изд.. - Тифлис, 1891. - [4], 124 с.

Arxiv fondu: T 7.512/3.

Bundan əlavə, Milli Kitabxanada aşağıdakılar saxlanılır: 2-ci nəşrin birinci və 2-ci hissəsi (1904-cü il); 3-cü nəşrin birinci və 2-ci hissəsi (1907-ci il); 5-ci nəşrin 3-cü hissəsi (1909-cu il) və [5-ci nəşrin-?] 4-cü hissəsi (1912-ci il). Qeyd edilən nəşrlər Milli Kitabxanaya satın alınma və bağışlama şəklində 1961-ci, 1963-cü və 1968-ci illərdə daxil olub.

Arxiv fondu: T 15.685/3

Kitab saxlancı: R 700. 220/3; R 1.050.282/3; R 804.160/3; R 2. 363.035/3.

Tbilisidə 1901-ci ildə D. Minayskinin müəllifliyi ilə rus dilində tərtib edilmiş "Tatar dilinin yeni özüöyrədəni, yəni tatar dilində yazmağı, oxumağı və danışmağı müəllimsiz necə öyrənməliyik" adlı dərslik nəşr edildi. Həmin nəşrdə əlifba, qrammatika və çalışmalar verilibdir ki, hansılara kiçik danışıq lüğəti əlavə edilib.

Минайский, Д. Новейший самоучитель татарского языка, или руководство научиться без помощи учителя читать, писать и говорить по-татарски: С объясн. произношения букв, образцами для упражнения в чтении (и в разговоре), краткой грамматикой, слов. употребител. в общежитии слов и обществ. разговорами: Необходимая кн. для живущих на Кавказе / Сост. Д. Минайский. - Тифлис: тип. Т.М. Ротинианца, 1901. - 64 с.; 21см.

T. 12.029/3 arxiv fondunda.

Gürcüstan Milli Kitabxanasının fondlarında eləcə də 1911-ci ildə Yerevanda nəşr edilmiş "Azərbaycandilli müsəlmanlar üçün rus dilinin özüöyrədəni" vardır. Bu ilk nəşrdir ki, hansının tərtibçisi Yerevan Tədris Seminariyasının Azərbaycan dili müəllimi M. Məmmədovdur. Kitabda fəsillər qrammatik hissəyə və praktiki çalışmalara bölünüb.

Kitab Gürcüstan Parlamentinin Milli Kitabxanasının kitab saxlancında mühafizə olunur.

Мамедов, М.Д. Самоучитель русского языка для мусульман, говорящих на азербайджанском языке / Сост. М.Д. Мамедов. - 1-е изд.. - Эривань : тип. "Луйс", 1911. – 128 с. староараб. паг.; 22 см.

R 53.026/3 - kitab saxlancı

R 68.615/3 - kitab saxlancı

R 195.905/3 - kitab saxlancı

İnqilabdan əvvəlki dövrdə müxtəlif dillərin köməyi ilə və eyni zamanda eyni müəllif tərəfindən müxtəlif dillərin özüöyrədən dərslikləri çap edilirdi ki, bu da öz-özlüyündə maraqlı bir faktdır. Bənzər tipli dərsliklərin seçilən müəlliflərindən biri D. A. [A. D.] Kazarovdur. O, rus dilinin özüöyrədən kitabından əlavə, gürcü dilinin köməyi ilə eləcə də "Gürcülər üçün tatar dilinin özüöyrədəni, yəni tatar dilində məhz yazmağı, oxumağı və danışmağı müəllimsiz öyrənmək üçün dərslik" yazılı kitabı tərtib edərək nəşr etmişdir. Kitabda Azərbaycan əlifbası, çalışmalar, özünün qeyd etdiyi kimi, "tatar dilində danışmaq üçün ən çox lazım olan sözlər toplanılıb, eləcə də qısa qrammatika və danışıq dialoqları təqdim edilib. Kitab Tiflisdə, 1911-ci ildə çap edilib və 1949-cu ildən Gürcüstan Parlamentinin Milli Kitabxanasının arxiv fondunda mühafizə olunur.

Kazarov, D. Gürcülər üçün tatar dilinin özüöyrədəni, yəni tatar dilində məhz yazmağı, oxumağı və danışmağı müəllimsiz öyrənmək üçün dərslik / D. A. Kazarov [Xazarov] tərəfindən tərtib və nəşr edilib. - Tiflis, 1911 ("Proqres" - S ST.). - 64 səhifə; 21 sm. - 40 k. - "Qafqaz sakinləri üçün çox zəruri olan dərslik".

Arxiv fondu F 10.424/3.

Qeyd edilməlidir ki, Milli Kitabxananın fondlarında eləcə də 1913-cü ildə, Tbilisidə nəşr edilmiş

"Azərbaycan üçün kiçik tərcüməçi" adlı kitab saxlanılır, hansında Azərbaycan-rus-gürcü dialoqları verilir. Onun tərtibçisi kapitan Nikolay Terletskiydir. Kitab 1932-ci ildən Gürcüstan Parlamentinin Milli Kitabxanasının arxiv fondunda mühafizə olunur.

Терлецкий, Николай Васильевич. Краткий толмач для Азербайджана: (Азерб., [рус.] и курд. яз.) / Сост. кап. Н.В. Терлецкий. - Тифлис: тип. Штаба Кавк. воен. окр., 1913. - 20 с. ; 22 см.

Arxiv fondu T 11.844/3.

Eləcə də qeyd edilməlidir ki, Gürcüstan Parlamentinin Milli Kitabxanasının fondları və kitab muzeyində "Molla Nəsrəddin" jurnalının 1906-1917-ci illərinin nəşrləri mühafizə olunur.

Молла Насреддин. -Тифлис, 1906-1931. 1912. N 4, 8, 10, 14.

Arxiv fondu: P 39/1912 N 10, 14

Kitab muzeyi: OR 4376/099 N 4, 8; OR 4376/099 - N 4 nöqsanlıdır.

1913. N 4, 6, 8, 9, 18, 20, 26, 27. Kitab muzeyi: OR 4376/099

1914. N 4, 5, 7, 13. Kitab muzeyi: OR 4376/099

1917. N 1, 3. Kitab muzeyi: OR 4376/099.

Gürcüstan Parlamentinin Milli Kitabxanasının fondlarında 1920-1921-ci illərdə nəşr edilmiş "Vətən" adlı Azərbaycan qəzeti saxlanılır. Ona daxil edilmiş məqalələr ərəb şrifti ilə çap edilib.

Gördüyümüz kimi, Azərbaycanın siyasi-mədəni həyatı, mətbuatı və maarifçilik ədəbiyyatı fəal olaraq Tbilisi ilə bağlı olubdur ki, buna da sovetləşməyə qədər böyük əhəmiyyət verilirdi.

მირზა შაფი ვაზეკის პორტრეტი
მხატვარი: ნ. ბაბაევი
PORTRAIT OF MIRZA SHAFI VAZEH
BY ARTIST N. BABAEV
MİRZƏ ŞƏFİ VAZEHİN PORTRETİ
RƏSSAM N. BABAYEV

მირზა შაფის ხელნაწერი
MANUSCRIPT OF MIRZA SHAFI
MİRZƏ ŞƏFİNİN ƏLYAZMASI



მირზა შაფი ვაზეკი ბოდენშტედტს უკითხავს თავის ლექსებს. ილუსტრაცია ბოდენშტედტის ნიგნისთვის „1001 დღე აღმოსავლეთში“

MIRZA SHAFI WAZEHI READS HIS POEMS TO BODENSTEDT. ILLUSTRATION FOR BODENSTEDT'S BOOK "1001 DAYS IN THE EAST"

MİRZƏ ŞƏFİ VAZEH BODENŞTEDTƏ ŞEİRLƏRİNİ OXUYUR. BODENŞTEDTİN "ŞƏRQDƏ 1001" GÜN KİTABI ÜÇÜN İLLÜSTRASİYA

აბასგულუ აღა ბაქიხანოვი
ABASGULU AGA BAKIKHANOV
ABBASQULU AĞA BAKIXANOV

აბასგულუ აღა ბაქიხანოვის პორტრეტი მხატვარი: ე. ასლანოვი
PORTRAIT OF ABASOGLU AGHA BAKIKANOV BY ARTIST E. ASLANOV
ABBASQULU AĞA BAKIXANOVUN PORTRETİ RƏSSAM E. ASLANOV

„სამოთხის ყვავილნარი"- ფრაგმენტი
"FLOWER OF PARADISE" - FRAGMENT
"GÜLÜSTANİ-İRƏM" - FRAQMENT

„წმინდა ყვავილების ბაღები", ამონარიდი
"HOLY FLOWER GARDENS", EXCERPT
"RİYAZÜL-QÜDS", FRAQMENT



მირზა ფათალი ახუნდოვი
MRZA FATALI AKHUNDOV
MİRZƏ FƏTƏLİ AXUNDOV

მირზა ფათალი ახუნდოვის ძეგლი თბილისში
MONUMENT OF MIRZA FATALI AKHUNDOV IN TBILISI
TBİLİSİDƏ MİRZƏ FƏTƏLİ AXUNDOVUN ABİDƏSİ

ქართველი მწერლები მირზა ფათალ ახუნდოვის საფლავთან
GEORGIAN WRITERS AT THE GRAVE OF MIRZA FATAL AKHUNDOV
GÜRCÜ YAZIÇILARI MİRZƏ FƏTƏLİ AXUNDOVUN MƏZARI BAŞINDA

აბდულა შაიგი
ABDULLAH SHAIGH
ABDULLA ŞAİQ



ევანგულა
EVANGULA
YEVANQULA

სათარა
SATARA
SƏTTAR

მოლა ნასრედინი
MOLLA NASREDDIN
MOLLA NƏSRƏDDİN

მოლა ნასრედინი
MOLLA NASREDDIN
MOLLA NƏSRƏDDİN

აზერბაიჯანული ენის გრამატიკა
GRAMMAR OF THE AZERBAIJANI LANGUAGE
AZƏRBAYCAN DİLİNİN QRAMMATİKASI



АТК

ТАТАРСКАЯ

ГРАММАТИКА,

ВЪ ПОЛЬЗУ

УЧАЩАГОСЯ ЮНОШЕСТВА

Казанской Академии Учителей Татарского языка,

Александромъ Троянскимъ.

Изданная отъ Конскаго Духовнымъ Усыномъ

ВТОРЫМЪ ТИСНЕНІЕМЪ

КАЗАНЬ,

Въ Университетской типографіи

1894.

ЗАФАЗИО #1 COUNTRY #1 VƏTƏN №1

ГРАММАТИКА

ТАТАРСКАГО ЯЗЫКА

сочиненная

Въ Тобольской главной школѣ

Учителемъ Татарскаго языка, Софійскаго Собора

Священникомъ *Іоанномъ Гвоздевымъ*

и

Муллою нѣкоторыми *Татарскими*

ВЪ САНКТПЕТЕРБУРГѢ,

при Императорской Академіи наукъ

1801 годѣ.

ЗАФАЗИО #2 COUNTRY #2 VƏTƏN №2



აზერბაიჯანული ენის თვითმასწავლებელი
AZERBAIJANI LANGUAGE SELF-LEARNER
AZƏRBAYCAN DİLİNİN ÖZÜÖYRƏDƏNİ



НОВѢЙШІЙ

САМОУЧИТЕЛЬ

ТАТАРСКАГО ЯЗЫКА

ИЛИ

[illegible] научиться безъ помощи учителя читать, писать [illegible] по татарски.

[illegible] упражненія [illegible] грамматическимъ [illegible] разъ.

[illegible]

ТАТАРСКАЯ КНИГА ДЛЯ ЖИТЕЛЕЙ НА КАВКАЗѢ.

Султанъ-Мелекъ Гаджи.

ПОЛНѢЙШІЙ САМОУЧИТЕЛЬ

ТАТАРСКАГО ЯЗЫКА

КАВКАЗСКО-АДЕРБЕДЖАНСКАГО НАРѢЧІЯ

ВЪ 4-ХЪ ЧАСТЯХЪ.

ЧАСТИ 1-я и 2-я:

ЧТЕНІЕ, ПИСЬМО И ГРАММАТИКА.

ИЗДАНІЕ 3-е.

исправленное и дополненное.

اصطلاح آذربایجان

ترکی قافقاز دیلینی اوکرنمکن اوچون برهان و دستور دور

مؤلفی

سلطان مجید غنی زاده

اوچنجی چاپ

تفلیس ده • عزت • عرکلی مطبعه‌سنده

ТИФЛИСЪ.

Тип. „Гоз ГЕЙРАТЪ" Воронцовская, 47.

1907.

17.512
3

САМОУЧИТЕЛЬ

ТАТАРСКАГО ЯЗЫКА

Часть III.

РУССКО-ТАТАРСКІЙ

СЛОВАРЬ,

[illegible] 5060 [illegible], выясняющихъ [illegible] русскаго [illegible] Гаджи.

СОСТАВЛЕНЪ

Султанъ-Мелекомъ Гаджи.

ИЗДАНІЕ ПЕРВОЕ.

ТИФЛИСЪ.

[illegible]



T 12 029
3

თავი VI
FƏSİL VI
CHAPTER VI



თბილისი – აზერბაიჯანის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადების ადგილი

1917 წლის თებერვლის რევოლუციამ და ცარიზმის დამხობამ რუსეთის იმპერიის მთელ სივრცეზე და მათ შორის, სამხრეთ კავკასიაში მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცვლილებები გამოიწვია.

გაუქმდა მეფისნაცვლის ინსტიტუტი, ჟანდარმერია, ოხრანკა და ძველი მთავრობის სხვა ინსტიტუციები. პეტროგრადში შექმნილმა რუსეთის დროებითმა მთავრობამ თბილისში თავისი რწმუნებული და მხარის სამოქალაქო მმართველობის უმაღლესი ორგანო – ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტი (ოზაკომი) ჩამოაყალიბა. ოზაკომის თავმჯდომარედ კადეტთა პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, რუსი ვასილი ხარლამოვი დაინიშნა, წევრებად კი ადგილობრივი სატიტულო ერების – ქართველების, სომხებისა და აზერბაიჯანელთა წარმომადგენლები შეიყვანეს, კერძოდ, რუსეთის IV სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატები - აკაკი ჩხენკელი, მიქაელ პაპაჯანოვი და მამედ ჯაფაროვი. ოზაკომის კიდევ ერთი წევრი კიტა აბაშიძე მალევე გარდაიცვალა, ხოლო სხვები 1918 წლიდან თავთავიანთი დამოუკიდებელი სახელმწიფოების საკვანძო ფიგურებად მოგვევლინენ. მაგალითად, ჩხენკელი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის, ხოლო ჯაფაროვი აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრები გახდნენ.

დროებითი მთავრობის შემადგენლობა რამდენჯერმე შეიცვალა. 1917 წლის 1 სექტემბერს რუსეთი რესპუბლიკად გამოცხადდა, გამოიცა სოციალური ხასიათის არაერთი კანონი და სხვა, მაგრამ განაპირა ერების თვითგამორკვევისათვის ხელისუფლებას არაფერი უღონია.

1917 წლის 25 ოქტომბერს პეტროგრადში სახელმწიფო გადატრიალება განხორციელდა. ძალაუფლებას ბოლშევიკური პარტია დაეუფლა, რომელმაც რუსეთში საბჭოთა წყობილება – პროლეტარიატის დიქტატურა დაამყარა.

სამხრეთ კავკასიის ძირითადმა პოლიტიკურმა პარტიებმა არ ცნეს ოქტომბრის გადატრიალება, იგი ავანტიურად მიიჩნიეს და გაემიჯნენ საბჭოთა მთავრობას. მათ, ძალადაკარგული ოზაკომის ნაცვლად, 1917 წლის 15 ნოემბერს თბილისში დროებითი რეგიონული მმართველობის ახალი ორგანო – ამიერკავკასიის კომისარიატი დააფუძნეს ევგენი გეგეჭკორის თავმჯდომარეობით. აზერბაიჯანელთაგან კომისარიატში შედიოდნენ: ფათალი ხან-ხოისკი (სახალხო განათლების კომისარი), მამედ ჯაფაროვი (ვაჭრობისა და მრეწველობის კომისარი), ხუდადა-ბეგ მელიქ-ასლანოვი (გზათა კომისარი) და ხალილ-ბეი ხასმამედოვი (კონტროლის კომისარი).

მას შემდეგ, რაც ბოლშევიკებმა რუსეთის დამფუძნებელი კრება გარეკეს, ამიერკავკასიის კომისარიატმა ადგილობრივ გავლენიან პოლიტიკურ პარტიებთან შეთანხმებით, შექმნა მხარის საკანონმდებლო ორგანო – ამიერკავკასიის სეიმი. სეიმში რუსეთის დათხოვნილი დამფუძნებელი კრების ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი დეპუტატები გაერთიანდნენ. ასე რომ, სამხრეთ კავკასიელ პოლიტიკოსებს საქმიანობა ერთმანეთის გვერდით ამიერკავკასიის სეიმშიც მოუწიათ, რომელიც ასევე თბილისში, 1918 წლის 10 თებერვალს ჩამოყალიბდა და ამიერკავკასიის დემოკრატიულ ფედერაციულ რესპუბლიკაშიც, რომელიც 1918 წლის 22 აპრილიდან იმავე წლის 26 მაისამდე არსებობდა. ურთულესი საგარეო ვითარებისა თუ შიდა წინააღმდეგობათა გამო, ამ პოლიტიკურმა წარმონაქმნმა დიდხანს ვერ გასძლო, მაგრამ იგი ცივილიზებული ფორმით დაიშალა და დარჩა, როგორც მოკლე ეტაპი სამი ახალი სახელმწიფოს – საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკების წარმოშობის გზაზე (O. Janelidze, ESSAYS FROM THE HISTORY OF GEORGIA (XIX-XXI Centuries), New York, 2021, p. 175-176).

ქართულ-აზერბაიჯანული თანაცხოვრების ერთი საინტერესო ეპიზოდი 1918 წლის მაისში თბილისში აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსებაში გამოიხატა. მთელს

აღმოსავლურ მუსლიმურ სამყაროში ამ პირველი რესპუბლიკის დაბადება საერთაშორისო საზოგადოებას თბილისიდან ემცნო, რადგან მისი ხელისუფლების ადგილსამყოფელი გარკვეული დროით ეს ქალაქი იყო.

ამიერკავკასიის უკვე თვითლიკვიდირებული სეიმის აზერბაიჯანელმა დეპუტატებმა 1918 წლის 27 მაისს თავი აზერბაიჯანის დროებით ეროვნულ საბჭოდ გამოაცხადეს და თავმჯდომარედ მუსავატის პარტიის ლიდერი მამედ რასულზადე აირჩიეს (Дж. Гасанлы, Русская революция и Азербайджан: Трудный путь к независимости (1917-1920), М., 2011, с. 161). საბჭომ მზადყოფნა გამოთქვა, ეტვირთა მესვეურობა აზერბაიჯანისა, რომელიც გეოგრაფიული და ეთნოლინგვისტური ტერმინიდან პოლიტიკური შინაარსის ცნებად იქცეოდა და მომავალი სახელმწიფოს სახელწოდებად უნდა დამკვიდრებულიყო.

იმდროინდელი პერიოდული პრესის ცნობით, „მაჰმადიანთა ეროვნულმა საბჭომ საცირკულიარო დეპეშა დაუგზავნა ყველა სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრებს, რომელშიც აღნიშნავს, რომ ამიერკავკასიიდან საქართველოს გამოყოფის გამო ის ადერბეიჯანს დამოუკიდებელ დემოკრატიულ რესპუბლიკად აცხადებს. რესპუბლიკაში შედის სამხრეთი და აღმოსავლეთი კავკასია“ (გაზ. „სახალხო საქმე“, 1918 წ., 30 მაისი).

აზერბაიჯანელ პოლიტიკოსთა ნაწილი, მათ შორის ფატალი ხან ხოისკი მერყეობდა და სხვებსაც ურჩევდა, ვიდრე რეგიონში სიტუაცია ბოლომდე გაირკვეოდა, თავი შეეკავებინათ დამოუკიდებლობის გამოცხადებისაგან და დაკმაყოფილებულიყვნენ აზერბაიჯანის სრულუფლებიანი მთავრობის შექმნით, რომელიც საზავო მოლაპარაკებათა გამართვის პრეროგატივით იქნებოდა აღჭურვილი (А. Балаев, Мамед Эмин Расулзаде (1884-1955), М., 2009, с. 116). იყვნენ აზერბაიჯანის ოსმალეთთან შეერთების მომხრენიცა და სხვ. მამედ რასულზადეს სიტყვით: „მარჯვნიდან ჩვენ გვეუბნებოდნენ, რომ აზერბაიჯანიზმის ლოზუნგის წამოყენებით, ჩვენ ვანაწევრებთ მუსულმანობას, აზერბაიჯანიზმის დროშის აღმართვით ჩვენ ვარღვევთ ისლამის საფუძვლებს. მარცხნიდან კი ბრალს გვდებდნენ იმაში, რომ აზერბაიჯანის ავტონომიის მოთხოვნით ჩვენ ხელს ვუწყობთ ერთიანი დემოკრატიული ფრონტის დაშლას“ (M. Məmmədzadə, Milli Azərbaycan hərəkatı, Bakı, 1992, s. 114).

მიუხედავად ამისა, 1918 წლის 28 მაისს, ეროვნული საბჭოს სხდომაზე 24 ხმით (ორმა თავი შეიკავა) მიღებულ იქნა გადაწყვეტილება აზერბაიჯანის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადების თაობაზე. დამოუკიდებლობის აქტში აღნიშნული იყო: „ამიერიდან აზერბაიჯანის ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და აზერბაიჯანი, რომელიც შედგება აღმოსავლეთ და სამხრეთ ამიერკავკასიისაგან, სრულფასოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა“ (Г. Гасанов, На пути к первой республике, Очерки истории Азербайджана с февраля 1917 года до мая 1918 года, Баку, 2016, с. 428). მთავრობის შექმნა ფატალ ხან ხოისკის დაევალა (M.Yamraşov, XX yardya Azyarbayanda milli-azadliq shyaryakaty, Bakı, 2009, s. 133-134. http://anl.az/el/alf7/em_XX.pdf).

აზერბაიჯანის ეროვნული საბჭოს ეს ისტორიული სხდომა, რომელსაც მუსლიმთა ეროვნული საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ჰასან-ბეკ აგაევი უძღვებოდა, თბილისში, შოთა რუსთაველის გამზირზე მდებარე ყოფილი მეფისნაცვლის სასახლეში გაიმართა (ორი დღით ადრე აქვე გამოცხადდა საქართველოს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის განახლება და დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნაც). შენობაზე დღეს შესაბამისი მემორიალური დაფებია განთავსებულია.

აზერბაიჯანის სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას ქართული პოლიტიკური სპექტრი კმაყოფილებით შეხვდა და მიესალმა, თუმცა გაჩნდა გარკვეული შიშიც, რომ ერთ ქალაქში სამი მთავრობის ფუნქციონირების გამო (იმავე დღეებში თბილისში ჩამოყალიბდა ასევე სომხეთის რესპუბლიკაც) ქართველი ერის სუვერენული უფლებები შეილახებოდა (O. Janelidze, Three States in One City,„Pro Georgia“, Warshav, 2017, # 27). ზოგიერთი ბეჭდური გამოცემა საქართვე-

ლოს მთავრობისაგან სათანადო ზომების მიღებასაც მოითხოვდა, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ პრესაში იბეჭდებოდა ლოიალური და მხარდამჭერი ხასიათის პუბლიკაციებიც. მაგალითად, ერთ-ერთ სტატიაში ნათქვამი იყო: „ჩვენ არ ვიქნებით ღირსი თავისუფლების, თუ სხვის ტკივილებს ვერ ვიგრძნობთ. ...ჩვენი ვალია, არა მარტო დემოკრატიული, არამედ უბრალო ადამიანური, ნამდვილი ძმური ხელი გავუწოდოთ მეზობელ ერებს და მივიღოთ ყოველი ზომები, შევამსუბუქოთ მათი მდგომარეობა“ (გაზ. „ერთობა“, 1918 წ., 28 მაისი).

1918 წლის 16 ივნისს აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ფატალი ხან-ხოისკის თავმჯდომარეობით ქალაქ ელიზავეტოპოლში გადავიდა, რომელსაც 30 ივლისიდან თავისი ძველი სახელი – განჯა დაუბრუნდა (История Азербайджана, Баку, 1995, с. 355). მთავრობა ბაქოში მხოლოდ 1918 წლის 17 სექტემბრიდან დამკვიდრდა (Р. Векилов, История возникновения Азербайджанской Республики, Баку, 1998, с. 18, 22) მას შემდეგ, რაც ოსმალეთის არმიის დახმარებით, იგი ბოლშევიკთაგან განთავისუფლდა.

საქართველომ და აზერბაიჯანმა დე ფაქტო ცნეს ერთმანეთის სუვერენიტეტი. საქართველოს ოფიციალურ წარმომადგენლად აზერბაიჯანში ნიკოლოზ ქარცივაძე დაინიშნა. სრულუფლებიანი ელჩის პოსტზე იგი ჯერ გერასიმე მახარაძემ, შემდეგ კი გრიგოლ ალშიბაიამ შეცვალეს. აზერბაიჯანის დიპლომატიური წარმომადგენლობა თბილისში თავიდან მინდობილი ჰქონდა მამედ ჯაფაროვს (Cəfərov Məmməd Yusif Hacıbaba oğlu), შემდეგ კი ფარის ბეი ვექილოვს (Vəkilov Faris bəy İbrahim ağa oğlu) (C. Həsənli, Azərbaycan Xalq Cümhuriyyətinin Xarici Siyasəti (1918-1920), Bakı, 2009, s. 428-434). სამხედრო ატაშე იყო პოდპოლკოვნიკი მამედ ალიევი. გენერალურ კონსულად ბათუმში დანიშნული იყო მაჰმუდ ბეი ეფენდიევი.

მეზობელი რესპუბლიკების პოლიტიკურ ურთიერთობაში სრულად იყო დაცული დიპლომატიური ეტიკეტი. მთავრობები და საკანონმდებლო ხელისუფლების ორგანოები თითოეული ერის სახელმწიფოებრივი ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენასთან დაკავშირებით მისასალმებელ ადრესებს, მილოცვის დეპეშებს უგზავნიდნენ ერთმანეთს და სხვ.

საქართველოსა და აზერბაიჯანის ურთიერთობის ხასიათზე საგარეო ფაქტორების გარდა (მსოფლიო ომი და მისგან გამომდინარე შედეგები), გავლენას ახდენდა რუსეთის მძიმე კოლონიური მემკვიდრეობა, განსაკუთრებით, ურთიერთგაუმიჯნავი და მოუწესრიგებელი საზღვრები.

გეოსტრატეგიული ინტერესები, სამეურნეო და ეკონომიკური საჭიროებანი საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკებს ურთიერთდაახლოებისა და პარტნიორობისაკენ უბიძგებდა. ბაქოს ნავთობი საქართველოსათვის შეუცვლელი იყო, აზერბაიჯანისთვის კი საქართველო დასავლურ სამყაროსთან დამაკავშირებელ უმოკლეს გზას წარმოადგენდა. ამ გარემოებებს ორივე ქვეყანაში ანგარიში ეწეოდა. 1918 წლის დეკემბერში დაიდო ხელშეკრულება, რომელიც აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის თავისუფალ – უბაჟო ტრანზიტს აწესებდა, 1920 წელს გაფორმებული შეთანხმება კი საქონლის ურთიერთგაცვლის პროცედურათა გამარტივებას ითვალისწინებდა.

მეტად მნიშვნელოვანი იყო აზერბაიჯანისა და საქართველოს თანამშრომლობა თავდაცვის სფეროში, რაც 1919 წლის ივნისში ამ სახელმწიფოთა სამხედრო ხელშეკრულებით დაგვირგვინდა. ხელმომწერი მხარეები ვალდებულებას კისრულობდნენ, საგარეო საფრთხისა და აგრესიის შემთხვევაში თავიანთი შეიარაღებული ძალებით ერთად გამოსულიყვნენ ორივე რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ან ტერიტორიული ხელშეუხებლობის დასაცავად. საქართველოს დამფუძნებელ კრებაში ხსენებული ხელშეკრულება ერთხმად იქნა რატიფიცირებული, აზერბაიჯანის პარლამენტში კი მისი დამტკიცების წინააღმდეგ მხოლოდ ბოლშევიკები გამოვიდნენ.

ორი სუვერენული სახელმწიფოს კეთილმეზობლური და პარტნიორული ურთიერთობა შეწყდა 1920 წლის აპრილის ბოლოს, როდესაც წითელი არმიის ნაწილებმა ბაქო დაიკავეს,

დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობას ბოლო მოუღეს და აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნა გამოაცხადეს. ბოლშევიკთაგან დევნილმა აზერბაიჯანის დამხობილი ხელისუფლების წარმომადგენლებმა პოლიტიკური თავშესაფარი ერთხანს თბილისში ჰპოვეს.

TBILISI – THE PLACE OF DECLARATION OF THE STATE INDEPENDENCE OF AZERBAIJAN

The February Revolution of 1917 and the overthrow of Tsarism brought significant social and political changes throughout the Russian Empire, including the South Caucasus.

The institute of the Caucasus Viceroyalty, the Gendarmerie, Okhranka, and other institutions of the old government were abolished. The Russian Provisional Government in Petrograd set up its trustee and supreme civil governing body in the region - the Transcaucasian Commissariat (Ozacom). One of the leaders of the Party of Cadets, Russian by nationality, Vasily Kharlamov, was appointed as a chairman of Ozacom, and the members were from title nations – Georgians, Armenians, and Azerbaijanis – joined by the members of Russia's IV State Duma – Akaki Chkhenkeli, Mikhail Papajanov, and Mamed Jafarov. Another member of Ozakom, Kita Abashidze, died soon after, while others became key figures in their independent states from 1918. For example, Chkhenkeli became the foreign minister of the Democratic Republic of Georgia and Jafarov the foreign minister of the Democratic Republic of Azerbaijan.

The composition of the Provisional Government changed several times, on September 1, 1917, Russia declared a republic, and a number of social laws were issued, etc., but the government did nothing for the self-determination of the peripheral nations.

On October 25, 1917, a coup d'état took place in Petrograd. Power was taken over by the Bolshevik Party, which established the Soviet rule in Russia – the dictatorship of the proletariat.

The major political parties in the South Caucasus did not recognize the October coup, considered it an adventurous event, and distanced themselves from the Soviet government. Instead of the ousted Ozacom, they established a new body of temporary regional government in Tbilisi on November 15, 1917 - the Transcaucasian Commissariat, headed by Evgeni Gegechkori. The Azerbaijanis included Fatali Khan-Khoisky (commissioner of public education), Mammad Jafarov (commissioner of trade and industry), Khudada-beg Melik-Aslanov (commissioner of roads building), and Khalil-bey Khasmamedov (commissioner of control).

After the Bolsheviks ousted the Constituent Assembly of Russia, the Transcaucasian Commissariat, in agreement with local influential political parties, established the party's legislature – the Transcaucasian Seimas.

Georgian, Armenian, and Azeri deputies of the dismissed founding assembly of Russia joined the Seim. Thus, the South Caucasian politicians worked side by side in the Transcaucasian Seim, which was also formed in Tbilisi on February 10, 1918, and in the Transcaucasian Democratic Federal Republic, which existed from April 22, 1918, to May 26, 1918. Due to the difficult external situation or internal contradictions, this political formation did not last long, but it disintegrated in a civilized way and remained as a small step on the path of the emergence of three new states – The republics of Georgia, Azerbaijan, and Armenia (O. Janelidze, Essays from the History of Georgia (XIX-XXI Centuries), New York, 2021, p. 175-176).

One of the most interesting episodes of Georgian-Azerbaijani cohabitation was the establishment of the Democratic Republic of Azerbaijan in Tbilisi in May 1918. The whole Eastern Muslim world and the international community were informed from Tbilisi about the birth of this first republic, with Tbilisi as the seat of its government for some time.

On May 27, 1918, the Azerbaijani deputies of the already self-liquidated Seim of the Transcaucasia, proclaimed the Provisional National Council of Azerbaijan and elected Mammad Rasulzade, the leader of the Musavat party, as its chairman (Дж. Гасанлы, Русская революция и Азербайджан: Трудный путь к независимости (1917-1920), М., 2011, с. 161). The Council expressed its readiness to assume the

sovereignty of Azerbaijan, which from a geographical and ethnolinguistic term became a concept of political content and was to be introduced as the name of the future state.

According to the periodical press of the time, "the National Council of Muslims sent a circular telegram to the foreign ministers of all states, stating that due to the secession of Georgia from the Caucasus, it declares Azerbaijan an independent democratic republic. The republic includes the South and East Caucasus " (newspaper the " People's Affairs ", May 30, 1918).

One part of Azerbaijani politicians, including Fatal Khan Khoyski, were hesitant and advised others to refrain from declaring independence before the situation in the region became clear and settle for a full-fledged government of Azerbaijan, which would be equipped with the prerogative of holding peace talks (А. Балаев, Мамед Эмин Расулзаде (1884-1955), М., 2009, с. 116). There were also supporters of Azerbaijan's unification with the Ottomans and others. According to Mammad Rasulzadeh: "In the right ear we were told that by promoting of the slogan of Azerbaijanizm, we are dividing Islam, by raising the flag of Azerbaijanizm, we are violating the foundations of Islam. In the left ear, we heard accusation for the disintegration of the united democratic front by demanding the autonomy of Azerbaijan "(M. Məmmədzadə, Milli Azərbaycan hərəkatı, Baku, 1992, p. 114).

Nevertheless, on May 28, 1918, at a meeting of the National Council, by 24 votes (two abstentions), a decision was made to declare the state independence of Azerbaijan. The Act notes that "From now on, the people of Azerbaijan is the bearer of sovereign rights and Azerbaijan, consisting of Eastern and Southern Transcaucasia is a full-fledged independent state" (G. Hasanov, On the way to the first republic, Essays on the history of Azerbaijan from February 1917 to May 1918, Baku, 2016, p. 428).

The formation of the government was entrusted to Fatal Khan Khoyski (M. Yamraşov, XX yardya Azyarbayanda milli-azadliq shyaryakaty, Bakı, 2009, s. 133-134. http://anl.az/el/alf7/em_XX.pdf).

This historic meeting of the National Council of Azerbaijan, chaired by Deputy Chairman of the National Council of Muslims Hasan-Bek Agayev, was held at the Palace of the former Caucasus Viceroy on Shota Rustaveli Avenue in Tbilisi (two days before, the renewal of Georgia's state sovereignty and the creation of a democratic republic were announced here). Relevant memorial plaques are placed on the building today.

The Georgian political spectrum welcomed the state independence of Azerbaijan with pleasure, although there were some fears that the sovereign rights of the Georgian nation would be violated due to the functioning of three governments in one city (the Republic of Armenia was formed in Tbilisi on the same days) (O. Janelidze, the Three States in One City, Pro Georgia, Warsaw, 2017, # 27). Some publications also demanded from the Georgian government to take appropriate actions; however, it should be noted that the Georgian press also published articles of loyal and supportive content. For example, one article stated: "We will not be worthy of freedom if we do not feel the pain of others. ... "It is our duty, not only to be democratic but also to be humane, to give a genuine brotherly hand to the neighboring nations and to take every measure to alleviate their plight" (newspaper "Ertoba" May 28, 1918.)

On June 16, 1918, the government of the Democratic Republic of Azerbaijan, headed by Fatal Khan-Khoisky, moved to the city of Elizavetopol, which returned to its old name – Ganja on July 30 (История Азербайджана, Baku, 1995, p. 355). The government was established in Baku only on September 17, 1918 (R. Vekilov, History of the Azeri Republic of Azerbaijan, Baku, 1998, pp. 18, 22), after which, with the help of the Ottoman army, the city was liberated from the Bolsheviks.

Georgia and Azerbaijan recognized each other's sovereignty de facto. Nikoloz Kartsivadze was appointed the official representative of Georgia in Azerbaijan. He was replaced by Gerasime Makharadze and then Grigol Alshibaia as the Ambassador Extraordinary and Plenipotentiary. Mammad Jafarov was initially entrusted to the diplomatic mission of Azerbaijan in Tbilisi (Cəfərov Məmməd Yusif Hacıbaba

oğlu), after came Faris bey Vekilov (Vəkilov Faris bəy İbrahim ağa oğlu) (C. Həsənli, Azərbaycan Xalq Cümhuriyyətinin Xarici Siyasəti (1918-1920), Bakı, 2009, s. 428-434). The military attaché was Lieutenant Colonel Mammad Aliyev. Mahmud Bey Efendiev was appointed as the Consul General in Batumi.

Diplomatic etiquette was fully maintained in the political relations of the neighboring republics. Governments and legislative bodies sent welcome addresses and congratulatory telegrams to each other on important events in the state life of each nation etc.

In addition to external factors (World War I and its aftermath), the nature of Georgian-Azerbaijani relations was influenced by Russia's heavy colonial heritage, especially its not demarcated and disorganized borders.

Geostrategic interests, agricultural and economic needs pushed the Republics of Georgia and Azerbaijan towards rapprochement and partnership relations. Baku oil was irreplaceable for Georgia, and for Azerbaijan, Georgia was the shortest way to connect with the Western world. These circumstances were reported in both countries.

In December 1918, an agreement was signed between Azerbaijan and Georgia establishing free of duty and free transit, and the agreement signed in 1920 provided for the simplification of exchange procedures.

The cooperation between Azerbaijan and Georgia in the field of defense was very important, and it was crowned in June 1919 by the military agreement between these states. The signatories undertook to come out with their armed forces in case of external threat and aggression to protect the state independence or territorial integrity of both republics. The abovementioned treaty was unanimously ratified by the Constituent Assembly of Georgia, and only the Bolsheviks opposed its approval in the Parliament of Azerbaijan.

Good-neighborly and partnership relations between the two sovereign states stopped in late April 1920, when Red Army units occupied Baku, ended the existence of a democratic republic, and declared the creation of the Soviet Socialist Republic of Azerbaijan. Representatives of the ousted Azerbaijani authorities, sued by the Bolsheviks, for some time found their political asylum in Tbilisi.

TBİLİSİ – AZƏRBAYCANIN DÖVLƏT MÜSTƏQİLLİYİNİN ELAN EDİLDİYİ YER

1917-ci ilin fevral inqilabı və çarizmin devrilməsi Rusiya İmperiyasının bütün məkanında və o cümlədən, Cənubi Qafqazda əhəmiyyətli ictimai və siyasi dəyişikliklərə səbəb olmuşdur.

Çar canişini institutu, jandarmeriya, oxranka və köhnə hökumətin digər institusiyaları ləğv edilmişdir. Petroqradda yaradılmış müvəqqəti Rusiya hökuməti Tbilisidə öz müvəkkili və diyarın ali mülki idarəetmə orqanını – Xüsusi Zaqafqaziya Komitəsini (Ozakom) formalaşdırmışdır. Ozakomun sədri olaraq kadetlər partiyasının liderlərindən biri, rus Vasili Xarlamov təyin edilmiş, üzvləri olaraq isə yerli titullu millətlərin – gürcülərin, erməni və azərbaycanlıların nümayəndələri, o cümlədən, Rusiyanın IV Dövlət Dumasının deputatları Akaki Çxenkeli, Mikael Papacanov və Məmməd Cəfərov daxil edilmişdir. Ozakomun daha bir üzvü Kita Abaşidze tezliklə vəfat etmiş, digərləri isə 1918-ci ildən etibarən öz müstəqil dövlətlərinin əsas fiqurlarına çevrilmişlər. Məsələn, Çxenkeli Gürcüstan Demokratik Respublikasının, Cəfərov isə Azərbaycan Demokratik Respublikasının xarici işlər nazirləri olmuşlar.

Müvəqqəti hökumətin tərkibi bir neçə dəfə dəyişmiş, 1 sentyabr 1917-ci il tarixində Rusiya respublika olaraq elan edilmiş, sosial xarakterli bir çox qanun və sair dərc edilmiş, lakin ətrafdakı millətlərin öz müqəddəratının təyin edilməsi üçün hakimiyyət heç nə etməmişdir.

25 oktyabr 1917-ci il tarixində Petroqradda dövlət çevrilişi həyata keçirilmişdir. Bolşevik partiyası hakimiyyəti ələ keçirmiş və Rusiyada sovet quruluşunu - proletariatın diktaturasını qurmuşdur.

Cənubi Qafqazın əsas siyasi partiyaları oktyabr çevrilişini tanımamış, onu avantüra hesab etmiş və sovet hökumətindən ayrılmışlar. Onlar qüvvəsini itirmiş Ozakom əvəzinə, 15 noyabr 1917-ci il tarixində Tbilisidə Yevgeni Qeqeçkorinin sədrliyi ilə yeni müvəqqəti regional idarəetmə orqanını - Zaqafqaziya Komissarlığını təsis etmişlər. Azərbaycanlılardan Komissarlığa Fətəli xan Xoyski (xalq təhsili komissarı), Məmməd Cəfərov (ticarət və sənaye komissarı), Xudadat bəy Məlik-Aslanov (yollar komissarı) və Xəlil bəy Xasməmmədov (nəzarət komissarı) daxil oldular.

Bolşeviklər Rusiyanın təsisetmə yığıncağını qovduqdan sonra Zaqafqaziya Komissarlığı yerli nüfuzlu siyasi partiyalar ilə razılaşaraq diyarın qanunvericilik orqanını - Zaqafqaziya Seymini yaratmışdır. Seymdə Rusiyanın istefaya göndərilmiş təsisetmə yığıncağının gürcü, erməni və azərbaycanlı deputatları birləşdilər. Belə ki, Cənubi Qafqazın siyasətçiləri həmçinin Tbilisidə, 10 fevral 1918-ci il tarixində formalaşdırılmış Zaqafqaziya Seymində də və 22 aprel 1918-ci il tarixindən həmin ilin mayın 26-na qədər mövcud olmuş Zaqafqaziya Demokratik Federativ Respublikasında da bir-biri ilə yan-yana fəaliyyət göstərməli olmuşlar. Olduqca çətin xarici vəziyyət və ya daxili qarşıdurmalar səbəbindən bu siyasi təşkilat uzun müddət dayana bilməmiş, lakin o, sivil formada dağılmış və üç yeni dövlətin - Gürcüstan, Azərbaycan və Ermənistan Respublikalarının yaranması yolunda qısa bir mərhələ olaraq qalmışdır (O. Janelidze, Essays from the History of Georgia (XIX-XXI Centuries), New York, 2021, p. 175-176).

Gürcüstan-Azərbaycanın birgə yaşamasının bir maraqlı epizodu 1918-ci ilin may ayında Tbilisidə Azərbaycan Demokratik Respublikasının təsis edilməsində ifadə edilmişdir. Bütün şərqi müsəlman dünyasında bu ilk respublikanın doğulması barədə beynəlxalq cəmiyyətə Tbilisidən xəbər verilmişdir, çünki onun hakimiyyətinin yerləşdiyi yer müəyyən bir zaman ərzində bu şəhər idi.

Artıq özünü ləğv etmiş Zaqafqaziya Seyminin azərbaycanlı deputatları 27 may 1918-ci il tarixində özlərini Azərbaycanın Müvəqqəti Milli Şurası kimi elan etmiş və sədri olaraq Müsavat partiyasının lideri Məmməd Rəsulzadəni seçmişlər (Дж. Гасанлы, Русская революция и Азербайджан: Трудный путь к независимости (1917-1920), М., 2011, с. 161). Şura Azərbaycana himayəçilik etməyə hazır olduğunu bildirdi, hansı ki, coğrafi və etnolinqvist termindən siyasi məzmunlu bir anlayışa çevrilirdi və gələcək dövlətin adı kimi formalaşmalı idi.

O dövrün dövri mətbuatının məlumatına əsasən, "Müsəlman Milli Şurası bütün dövlətlərin xarici işlər nazirlərinə sirkulyar depeşasını göndərmiş və onda qeyd etmişdir ki, Gürcüstanın Zaqafqaziyadan ayrılması səbəbindən o, Aderbeycanı müstəqil Demokratik Respublika olaraq elan edir. Respublikaya Cənubi və Şərqi Qafqaz daxildir" ("Xalq işi" qəzeti, 30 may 1918-ci il).

Azərbaycanlı siyasətçilərin bir hissəsi, o cümlədən, Fətəli xan Xoyski tərəddüd edirdi və başqalarına da məsləhət görürdü ki, regionda vəziyyət sonuna qədər aydınlaşdırılana qədər müstəqilliyi elan etməkdən çəkinsin və sülh danışıqlarını keçirmək preroqativi ilə təchiz edilmiş olacaq Azərbaycanın tamhüquqlu hökumətinin yaradılması ilə qane olsunlar (А. Балаев, Мамед Эмин Расулзаде (1884-1955), М., 2009, с. 116). Azərbaycanın Osmanlı İmperiyası ilə birləşməsinin tərəfdarları da var idi və s. Məmməd Rəsulzadənin dediyinə görə: "Sağ tərəfdən bizə deyirdilər ki, Azərbaycanizm şüarını irəli sürməklə biz müsəlmanları parçalayırıq, Azərbaycanizm bayrağını ucaltmaqla biz islam əsaslarını pozuruq. Sol tərəfdən isə bizi ittiham edirdilər ki, Azərbaycanın muxtariyyatını tələb etməklə biz vahid demokratik cəbhənin dağılmasına dəstək oluruq" (M. Məmmədzadə, Milli Azərbaycan hərəkatı, Bakı, 1992, s. 114).

Buna baxmayaraq, 28 may 1918-ci il tarixində Milli Şuranın iclasında 24 səs ilə (iki nəfər bitərəf qaldı) Azərbaycanın dövlət müstəqilliyinin elan edilməsi barədə qərar qəbul edilmişdir. Müstəqillik aktında aşağıdakılar qeyd edilmişdir: "Bu gündən etibarən Azərbaycan xalqı suveren hüquqların daşıyıcısıdır və Şərqi və Cənubi Zaqafqaziyadan ibarət olan Azərbaycan tamdəyərli müstəqil bir dövlətdir" (Г. Гасанов, На пути к первой республике, Очерки истории Азербайджана с февраля 1917 года до мая 1918 года, Баку, 2016, с. 428). Hökumətin yaradılması Fətəli xan Xoyskiyə tapşırılmışdır (M.Yamraşov, XX yardya Azyarbayanda milli-azadliq shyaryakaty, Bakı, 2009, s. 133-134. http://anl.az/el/alf7/em_XX.pdf).

Müsəlman Milli Şurasının sədr müavini Həsən bəy Ağayevin rəhbərlik etdiyi Azərbaycan Milli Şurasının bu tarixi iclası Tbilisidə, Şota Rustaveli prospektində yerləşən keçmiş çar canişininin sarayında keçirilmişdir (iki gün bundan əvvəl elə buradaca Gürcüstan dövlət suverenliyinin yenilənməsi və demokratik respublikanın yaradılması da elan edilmişdir). Bu gün binanın üzərində müvafiq memorial lövhələr yerləşdirilib.

Gürcü siyasi spektri Azərbaycanın dövlət müstəqilliyini məmnunluqla qarşıladı və alqışladı, lakin müəyyən bir qorxu da yarandı ki, bir şəhərdə üç hökumətin fəaliyyət göstərməsi səbəbindən (həmin günlərdə Tbilisidə eləcə də Ermənistan Respublikası da formalaşmışdır) gürcü xalqının suveren hüquqları pozula bilərdi (O. Janelidze, Three States in One City,,Pro Georgia", Warshav, 2017, # 27). Bəzi çap nəşrləri Gürcüstan hökumətindən müvafiq ölçülərin götürülməsini də tələb edirdi, lakin qeyd edilməlidir ki, gürcü mətbuatında loyal və dəstəkləyici xarakter daşıyan publikasiyalar da çap edilirdi. Məsələn, məqalələrdən birində deyilirdi: "Əgər biz başqasının ağrılarını hiss edə bilməzsək, azadlığa layiq ola bilmərik". ...Bizim borcumuzdur ki, qonşu xalqlara təkcə demokratik deyil, eləcə də sadə insan, həqiqi qardaş əlini uzadaq və onların vəziyyətini yüngülləşdirmək üçün bütün ölçüləri götürək" ("Birlik" qəzeti, 28 may 1918-ci il).

16 iyun 1918-ci il tarixində Azərbaycan Demokratik Respublikasının hökuməti Fətəli xan Xoyskinin sədrliyi ilə Yelizavetpol şəhərinə köçmüşdür ki, hansının öz qədim adı - Gəncə iyulun 30-dan qaytarılmışdır (История Азербайджана, Баку, 1995, с. 355). Hökumət Bakıda yalnız 17 sentyabr 1918-ci il tarixində (Р. Векилов, История возникновения Азербайджанской Республики, Баку, 1998, с. 18, 22), o, Osmanlı ordusunun köməyi ilə bolşeviklərdən azad edildikdən sonra yerləşmişdir.

Gürcüstan və Azərbaycan bir-birinin suverenliyini de fakto tanımışlar. Gürcüstanın Azərbaycandakı rəsmi nümayəndəsi olaraq Nikoloz Kartsivadze təyin edilmişdir. Onu tamhüquqlu səfir vəzifəsində öncə Qerasime Maxaradze, sonra isə Qriqol Alşibaia əvəz etmişlər. Azərbaycanın Tbilisidəki diplomatik nümayəndəliyi öncə Məmməd Cəfərova (Cəfərov Məmməd Yusif Hacıbaba oğlu), sonra

isə Faris bəy Vəkilova (Vəkilov Faris bəy İbrahim Ağa oğlu) həvalə edilmişdir (C. Həsənli, Azərbaycan Xalq Cümhuriyyətinin Xarici Siyasəti (1918-1920), Bakı, 2009, s. 428-434). Hərbi attaşe podpolkovnik Məmməd Əliyev olmuşdur. Batumidə baş konsul olaraq Mahmud bəy Əfəndiyev təyin edilmişdir.

Qonşu respublikaların siyasi münasibətlərində diplomatik etiketə tam olaraq riayət edilirdi. Hökumətlər və qanunvericilik hakimiyyətinin orqanları hər bir xalqın dövlətçilik həyatının əhəmiyyətli hadisəsi ilə əlaqədar olaraq bir-birinə salamlayıcı adresləri, təbrik depeşalarını göndərirdilər və s.

Gürcüstan ilə Azərbaycanın münasibətlərinin xarakterinə xarici amillərdən (dünya müharibəsi və ondan irəli gələn nəticələr) əlavə, Rusiyanın ağır kolonial irsi, xüsusilə, bir-birindən ayrılmamış və qaydaya salınmamış sərhədləri təsir göstərirdi.

Geostrateji maraqlar, təsərrüfat və iqtisadi ehtiyaclar Gürcüstan və Azərbaycan Respublikalarının bir-biri ilə yaxınlaşması və tərəfdaşlığına təkan verirdi. Bakı nefti Gürcüstan üçün əvəzolunmaz idi, Azərbaycan üçün isə Gürcüstan qərbi dünya ilə əlaqələndirən ən qısa yol idi. Hər iki ölkədə bu hallar nəzərə alınırdı. 1918-ci ilin dekabr ayında Azərbaycan ilə Gürcüstan arasında azad - rüsumsuz tranziti təyin edən müqavilə bağlanılmış, 1920-ci ildə rəsmiləşdirilmiş razılaşma isə malların qarşılıqlı mübadilə prosedurlarının sadələşdirilməsini nəzərdə tuturdu.

Azərbaycan ilə Gürcüstanın müdafiə sahəsində əməkdaşlığı olduqca əhəmiyyətli idi ki, bu da 1919-cu ilin iyun ayında həmin dövlətlərin hərbi müqaviləsi ilə nəticələnmişdir. İmzalayan tərəflər öhdəlik götürürdülər ki, xarici təhlükə və aqressiya təqdirində öz silahlı qüvvələri ilə birlikdə hər iki respublikanın dövlət müstəqilliyini və ya ərazi toxunulmazlığını müdafiə etməyə çıxacaqlar. Gürcüstanın Təsisetmə Yığıncağında qeyd edilən müqavilə yekdilliklə ratifikasiya edilmiş, Azərbaycan Parlamentində isə onun təsdiq edilməsinin əleyhinə yalnız bolşeviklər çıxış etmişlər.

İki suveren dövlətin mehriban qonşuluq və tərəfdaşlıq münasibətləri 1920-ci ilin aprelin sonunda, qızıl ordunun hissələri Bakını tutduqdan, Demokratik Respublikanın mövcudluğuna son qoyduqdan və Azərbaycan Sovet Sosialist Respublikasının yaradılmasını elan etdikdən sonra kəsilmişdir. Bolşeviklər tərəfindən təqib edilən Azərbaycanın devrilmiş hakimiyyətinin nümayəndələri siyasi sığınacağı bir müddət Tbilisidə tapmışlar.



თავი VII
FƏSİL VII
CHAPTER VII

აზერბაიჯანელები საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკურ ცხოვრებაში

საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ცხოვრების განახლების გზაზე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი 1917 წლის ნოემბერში გადაიდგა, როდესაც პოლიტიკური პარტიების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, კულტურულ-საგანმანათლებლო, კომერციულ და სხვა დაწესებულებათა დელეგატები, დასავლეთ თუ აღმოსავლეთ საქართველში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები თბილისში ეროვნულ ყრილობაზე შეიკრიბნენ. ყრილობამ აირჩია ეროვნული საბჭო, რომელსაც, ფაქტობრივად, ქვეყნის გაძღოლის ამოცანა დაეკისრა.

სწორედ ამ ყრილობაზე შექმნილმა ეროვნულმა საბჭომ, 1918 წლის 26 მაისს დაამტკიცა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, გამოაცხადა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა და ჩამოაყალიბა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა.

საქართველოს ეროვნული საბჭოს ამ სხდომას ესწრებოდა აზერბაიჯანელთა წარმომადგენელი, აზერბაიჯანის ეროვნული საბჭოს წევრი ფატალი ხან ხოისკი. იგი მიესალმა ქართველი ერის ისტორიულ გადაწყვეტილებას და სუვერენულ საქართველოს წარმატება და განვითარება უსურვა.

ამ დროისათვის, საერთო აღწერის მონაცემთა თანახმად, თბილისში 62 377 ქართველი მკვიდრობდა, თათარი მოსახლეობა კი 7 613 კაცს მოითვლიდა (ჟურნ. „ჩვენი ქალაქი“, 1920, # 4-5, გვ. 44; 46). დედაქალაქში და ქვეყნის მასშტაბით სხვა არაერთი ეროვნებისა და ეთნოსის წარმომადგენლებიც მრავლად ცხოვრობდნენ. ამიტომაც, ახლად შექმნილ ქართულ სახელმწიფოში ეროვნული უმცირესობების, როგორც მაშინ უწოდებდნენ, „ნატეხი ერების“, უფლებათა განსაზღვრისა და დამკვიდრების პრობლემა ერთ-ერთ პრიორიტეტულ ამოცანად იქცა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მმართველმა პოლიტიკურმა ძალამ, სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ეროვნულ უმცირესობათა მიმართ ტოლერანტული კურსი აირჩია. ნოე ჟორდანიას სიტყვით, საქართველოში „ყველა ერის ინტერესებს თანასწორად ვიცავდით, ჩვენთვის არ იყო ელინი და ბარბაროსი, ყველას ელინებად ვრაცხდით“ (ნ. ჟორდანია, ჩემი წარსული, თბ., 1990, გვ. 104). საქართველოში ბინადარი არაქართველებისადმი შემწყნარებლური იყო ოპოზიციური პოლიტიკური სპექტრის დამოკიდებულებაც. „ნატეხ ერებს“ ქართველებთან ჰარმონიული თანაცხოვრების, თავისუფალი სოციალური, ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესაძლებლობა მიეცათ. ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ეროვნულ უმცირესობათა სრულყოფილი ინტეგრაციის პრობლემა ხელისუფლებისათვის მუდმივი ყურადღების საგანი იყო.

„საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქეობის დებულებით“, რომელიც ჯერ კიდევ 1918 წლის ივლისში ეროვნულმა საბჭომ შეიმუშავა, მოქალაქეობა მიენიჭა ქვეყნის ყველა მკვიდრს, ვინც რესპუბლიკის გამოცხადების დროს საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრობდა. განსხვავებით საქართველოში მცხოვრები რუსი და სომეხი მოსახლეობის ნაწილისაგან, რომლებიც ბოიკოტით შეხვდნენ მოქალაქეობის კანონს (მ. კვარაცხელია, ქალაქ თბილისის თვითმმართველობა (1917-1921 წწ.), ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად შესრულებული სადოქტორო ნაშრომი, თბ., 2014, გვ. 69; 78), ადგილობრივი მუსლიმური თემის მხრიდან ამ ნიადაგზე რაიმე უკმაყოფილება არ გამოთქმულა.

დამფუძნებელი კრების მიერ 1919 წლის 27 მაისს დამტკიცებულმა კანონმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქეობის შესახებ მოქალაქის სტატუსის მიღება კიდევ უფრო გაამარტივა.

ეროვნულ უმცირესობათა ძირითადი სამოქალაქო უფლებები, როგორიცაა გამოხატვის თავისუფლება, მშვიდობიანი შეკრებისა და გაერთიანების, რწმენის თავისუფლება და სხვა

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში არა მხოლოდ დეკლარირებული იყო, არამედ – დაცულიც. სამართლებრივ აქტებში გაცხადებული დაპირებები თანმიმდევრულად ხორციელდებოდა პრაქტიკაში. სახელმწიფო უზრუნველყოფდა უმცირესობათა იდენტობის (რელიგიის, ენის, ტრადიციებისა და კულტურული მემკვიდრეობის) დაცვასა და შენარჩუნებას. შეუზღუდავი იყო რელიგიური კონფესიების, კულტურულ და საგანმანათლებლო დაწესებულებათა საქმიანობა. მაგალითად, როდესაც საქართველოს პარლამენტმა 1918 წლის 26 ნოემბერს მიიღო კანონი „საღვთო სჯულის სწავლების გაუქმების შესახებ“ და რესპუბლიკის ყველა ტიპის, როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სკოლაში აკრძალა ამ საგნის სწავლება გააუქმა მისი მასწავლებლების თანამდებობა (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული. 1918-1921, თბ., 1990, გვ. 110), მუსლიმურ სასწავლებლებს ეს შეზღუდვა არ შეხებია (საქართველოს პარლამენტი. სტენოგრაფიული ანგარიში, 1918 წ. 26 ნოემბრის სხდომა). მეტიც, იგეგმებოდა საქართველოს მუსლიმი სასულიერო წოდების სამმართველოს შექმნა, რათა ისლამის აღმსარებელი მოსახლეობის ნაწილს თავი გარიყულად არ ეგრძნო (საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1863, ანაწ. 1, საქმ. 846, ფურც. 6).

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში მარტო 31 თათრული სკოლა ითვლებოდა, რომელთაგან თითქმის მესამედი თბილისში ფუნქციონირებდა. აღსანიშნავია, რომ ამ სკოლათა მნიშვნელოვანი ნაწილი სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდებოდა. მათში, ისე როგორც ეროვნულ უმცირესობათა სხვა სკოლებში ისწავლებოდა ქართული ენაც, საქართველოს ისტორია და გეოგრაფია (საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1935, ანაწ. 1, საქმ. 84, ფურც. 26). საგულისხმოა ისიც, რომ მთავრობა ზრუნავდა ამ სკოლების პედაგოგთა მომზადებაზეც. გაზეთ „საქართველოს“ ინფორმაციით, „მუსულმან მასწავლებელთათვის კურსების გახსნის შესახებ ამ დღეებში სახალხო განათლების სამინისტრო სათანადო მოხსენებას წარადგენს“ (გაზ. „საქართველო“, 1919 წ., 21 იანვარი).

თბილისის აზერბაიჯანელი მოსახლეობა წარმოდგენილი იყო ქალაქის თვითმმართველობაში, რომლის კომპეტენციაში შედიოდა: ბეგარა-გადასახადების აკრეფა და განკარგვა, ქალაქის უძრავი და მოძრავი ქონების მართვა, საპოლიციო ზედამხედველობის განხორციელება, სასწავლო დაწესებულებების დაფინანსება, ჯანმრთელობის დაცვა, მრეწველობის, ვაჭრობისა და საკრედიტო საქმის განვითარებაზე ზრუნვა, მოქალაქეთა სურსათ-სანოვაგით მომარაგება და სხვ. 1917 წლის 30 ივლისს საქალაქო სათათბიროს ხმოსანთა არჩევნებში მუსლიმურმა ორგანიზაციამ 3 ხმოსანი გაიყვანა (საქართველოს ეროვნული არქივი. საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 192, ანაწ. 4, საქმ 120, ფურც. 189-190). რაც შეეხება თბილისის ხმოსანთა საბჭოს (ასე დაერქვა დედაქალაქის სათათბიროს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ), რომლის არჩევნებში 1919 წლის 2 თებერვალს გაიმართა, საქართველოს მუსლიმთა საბჭომ სათანადო ხმები ვერ შეაგროვა და ხმოსნის გარეშე დარჩა (გაზ. „ერთობა“, 1919 წ., 5 თებერვალი; გაზ. „საქართველო“, 1919 წ., 5 თებერვალი).

თვითმმართველობის ეს არჩევნები სხვა მხრივაც არის საყურადღებო. 1. დედაქალაქის გამგეობამ მუსლიმი აღმსარებლობის მდედრობითი სქესის ამომრჩეველს არჩევნებში მონაწილეობისათვის კომფორტული პირობა შეუქმნა და 2. თბილისის მაზრის ერობის ხმოსნად არჩეული იქნა აზერბაიჯანელი მუსლიმი ქალბატონი.

ითვალისწინებდა რა მუსლიმ ქალთა რელიგიური და ოჯახური ცხოვრების სპეციფიკას, თბილისის გამგეობამ, 1919 წლის 2 თებერვალს, საქალაქო საბჭოს ხმოსანთა არჩევნებისას, მუსლიმებით დასახლებულ დედაქალაქის ნაწილში (მეხუთე კომისარიატი, უბანი # 17), უბნის თავმჯდომარედ ქალბატონი (ხურამოვიჩი) დანიშნა, ხოლო მუსლიმი ამომრჩეველი ქალებისათვის ბიულეტენების ჩასაყრელად ცალკე ყუთი დადგა (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ., 31 იანვარი) (სავარაუდოდ, ქალაქის ამ გამოცდილებას გაითვალისწინებდა დამფუძ-

ნებელი კრების ცენტრალური საარჩევნო კომისია და იმავე წესს გამოიყენებდა ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს არჩევნებშიც, რომელიც სულ რაღაც ორი კვირის შემდგომ გაიმართა).

რუსეთში მეფის მთავრობის დამხობის შემდეგ ქალთა ემანსიპაციის საკითხი უფრო აქტუალური გახდა. ამ პროცესმა მუსლიმი ქალებიც მოიცვა. 1918 წლის შემოდგომაზე ქართული პერიოდული პრესა მკითხველს საყურადღებო ინფორმაციას აწვდიდა, წერდა: „აღსანიშნავია ერთი ფრიად სამხიარულო მოვლენა; ხმოსანთა რიცხვში შედის ყარაიაზის ოლქიდან წამოყენებული მუსულმანელი ქალი, პარი-ხანუმ სოფიევი". გაზეთი ამ ამბავს საგანგებოდ გამოჰყოფდა, როგორც მნიშვნელოვან სიახლეს რეგიონის მუსლიმი საზოგადოების ცხოვრებაში. შესაძლოა მაშინ საქართველოში არ სცოდნოდათ, მაგრამ თანამედროვე კვლევებით დადასტურებულია, რომ მუსლიმი ქალების საზოგადოებრივი აქტივობა ყოფილი იმპერიის სხვა კუთხეებშიც შეინიშნებოდა. მაგალითად, 1917 წელს მუსლიმი მომღერალი ქალი აბრუი საიფი აირჩიეს ქალაქ უფის სათათბიროს ხმოსნად. ის ასევე გახდა ერთადერთი ქალი, რომელიც შედიოდა ეროვნულ საკანონმდებლო ორგანოში – მილეტ მეჯლისში. იმავე წელს მოსკოვში გამართულ სრულიად რუსეთის მუსლიმთა კონგრესზე, მუხლისა ბუი ყადად აირჩიეს, რაც პირველი შემთხვევა იყო ისლამის ისტორიაში (Л. Габдрафикова, В начале XX века татарки были наиболее эмансипированными среди всех мусульманок России. https://realnoevremya.ru/articles/25438).

სამხრეთ კავკასიის მუსლიმ ქალთა ცხოვრებაში ამ მხრივ გამორჩეულია თბილისის მაზრის სოფელ ყარაიაზის საარჩევნო ოლქი. ძირითადად ეთნიკური აზერბაიჯანელებით დასახელებულ ამ სოფელში არჩევნებში გამარჯვებისათვის ერთმანეთს ეცილებოდნენ გავლენიანი პოლიტიკური პარტიების სოციალ-დემოკრატების, ფედერალისტების, ეროვნულ-დემოკრატებისა და სხვების კანდიდატები. ამ ჭიდილში გაიმარჯვა უპარტიო კანდიდატმა, აზერბაიჯანელი ეროვნების მუსლიმმა ქალმა ფარი-ხანუმ სოფიევამ, რომელმაც თბილისის სამაზრო ერობის ხმოსნის მანდატი მოიპოვა.

ფარი-ხანუმი თავისი სოფლის და მხარის აღიარებულ ლიდერად ჩამოყალიბდა, რომელიც ძირფესვიანად ამსხვრევდა ტრადიციულ საზოგადოებაში მუსლიმი ქალის შესაძლებლობების შესახებ არსებულ სტერეოტიპს (ი. ხვადაგიანი, ყარაიაზის მატრიარქი – ფარი-ხანუმ სოფიევაhttp://archive.ge/ka/blog/9).

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში თითქმის ყველა ეროვნულ უმცირესობას, მათ შორის აზერბაიჯანელებს, შექმნილი ჰქონდათ საკუთარი ეროვნული საბჭოები და სარგებლობდნენ კულტურული ავტონომიის უფლებებით. უმცირესობათა წარმომადგენლებს სპეციალური კვოტით ადგილი დაეთმოთ საქართველოს ეროვნულ საბჭოში, რომელიც 1918 წლის ოქტომბრიდან საქართველოს პარლამენტად გარდაიქმნა. ეროვნული უმცირესობები საქართველოს პარლამენტში ჯამში 26 მანდატს ფლობდნენ, რომელთაგან 4 აზერბაიჯანელი ეთნოსის (თათრების) წარგზავნილებს ეკუთვნოდათ (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული. 1918-1921, თბ., 1990, გვ. 62). ესენი იყვნენ: 1. აბდურაჰიმ ბეი ასადბეკის ძე ახვერდოვი (ჰახვერდიევ), 2. ალი ჰაიდარ ქერიმის ძე კარაევი, 3. აბდულ აზიზ შარიფოვი (შარიფ)და 4. ჰუსეინ ჰასან ზადე.

აბდურაჰიმ ახვერდოვი (1870-1933) - აზებაიჯანელი მწერალი და პოლიტიკური მოღვაწე იყო. იგი შუშაში, ღარიბი აზნაურის ოჯახში დაიბადა. იქვე სწავლობდა რუსულ-თათრული დაწყებით სკოლასა და რეალურ სასწავლებელში. შემდეგ საცხოვრებლად თბილისში გადმოვიდა, დაამთავრა ქალაქის რეალური სასწავლებელი და 1891 წელს პეტერბურგს გაემგზავრა, სადაც სწავლა რკინიგზის ინჟინერთა ინსტიტუტში განაგრძო. გატაცებული იყო თეატრით და ასევე, თავისუფალი მსმენელის რანგში, ლექციებს პეტერბურგის საიმპერატორო უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზეც ესწრებოდა. შეისწავლა სპარსული და არაბული

ენები, აღმოსავლეთის ხალხთა ლიტერატურა და სხვ. ორივე უმაღლეს სასწავლებელში წარმატებით ჩააბარა გამოცდები და რკინიგზის ინჟინრის დიპლომთან ერთად, აღმოსავლური ფილოლოგის დიპლომსაც დაუფლა.

1892 წელს გამოიცა მისი პირველი პიესა „Yeyərsən qaz ətini, görərsən ləzzətini" („თუ ბატის ხორცს მიირთმევთ, გემოს იგრძნობთ"), რომელმაც სწრაფად მოუტანა აღიარება. ახვერდოვის შემოქმედებაზე დიდი გავლენა მოახდინა ცნობილი აზერბაიჯანელი მწერლის მირზა ფათალი ახუნდოვის მხატვრულმა მემკვიდრეობამ. მისი დრამატურგიული ნაწარმოებები ხშირად იდგმებოდა სცენაზე და პოპულარობით სარგებლობდა მაყურებლებში.

მწერლობის პარალელურად, აბდურაჰიმ ახვერდოვი ჩაბმული იყო საზოგადოებრივ და პოლიტიკურ საქმიანობაში. 1904 წელს აირჩიეს ხმოსნად მშობლიურ შუშის ქალაქის საბჭოში, ხოლო 1906 წელს – რუსეთის პირველი მოწვევის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატად ელიზავეტპოლის გუბერნიიდან. სათათბირო მალევე დაითხოვეს და აზერბაიჯანელი დეპუტატიც სამშობლოში დაბრუნდა.

1906 წელს, თბილისში ახლად დაარსებული აზერბაიჯანული დემოკრატიული მიმართულების სატირული ჟურნალის „მოლა ნასრედინის" რედაქტორმა ჯალილ მამედყულიზადემ დრამატურგი სათანამშრომლოდ მიიწვია და ახვერდოვიც გამოცემის ერთ-ერთი აქტიური ავტორი გახდა. აქვეყნებდა მოთხრობებს, ფელეტონებს, პუბლიცისტურ წერილებს, დაუნდობლად აკრიტიკებდა ბიუროკრატიულ სახელმწიფო სისტემის მანკიერებებს, მემამულეთა სიხარბეს, სასულიერო პირების რელიგიურ ფანატიზმს. ამ პერიოდში დაიწერა მისი ისეთი ცნობილი მოთხრობები და ნოველები, როგორიცაა „მამა და შვილი", „შეიხ შაბანი", ასევე კომედიები „ფანტაზია", „ერის მეგობრები", „ვინ არის დამნაშავე?", დრამატული ნაწარმოები ისტორიულ თემაზე „აღა მაჰმად ხან ყაჯარი" და სხვ. მან დიდი ძალისხმევა გასწია სახალხო მომღერალთა - აშუღების შემოქმედების პოპულარიზაციისთვის, რითაც ხელი შეუწყო ეროვნული მუსიკალური კულტურის განვითარებას. როდესაც 1908 წლის იანვარში, ბაქოს თეატრში დაიდგა ოპერა „ლეილი და მაჯნუნი", ის იყო პირველი აზერბაიჯანელი დირიჟორი, რომელიც ხელმძღვანელობდა გუნდსა და ორკესტრს (А. Багиров, Знатный Карабахский интеллигент. https://irs-az.com/new/files/2017/213/2720.pdf).

1917 წლის თებერვლის რევოლუციის დროიდან აბდურაჰიმ ახვერდოვი თბილისში ცხოვრობდა და ჩართული იყო საქართველოში ჩამოყალიბებულ მუსლიმთა ეროვნული საბჭოს საქმიანობაში, შედიოდა ასევე, თბილისის მუშათა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის შემადგენლობაში და გარკვეული დროით იყო ბორჩალოს მაზრის კომისარიც. 1918 წლის შემოდგომაზე, საქართველოს პარლამენტში აზერბაიჯანელთათვის გამოყოფილი კვოტით, ის გახდა პარლამენტის წევრი.

1919 წლიდან მუშაობდა აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროში. იყო კონსული საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, მთიელთა რესპუბლიკასა და სომხეთის დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

აზერბაიჯანის საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ აბდურაჰიმ ახვერდოვი ემიგრაციაში არ წასულა. ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტში კითხულობდა ლექციებს აზერბაიჯანულ ლიტერატურაში. ეწეოდა მთარგმნელობით საქმიანობას. მის მიერ თარგმნილი უილიამ შექსპირის, ფრიდრიხ შილერის, ვალტერ სკოტის, ემილ ზოლას, მაქსიმ გორკის, ანტონ ჩეხოვისა და სხვა ნაწარმოებთა თარგმანები დღემდე თარგმნილი ლიტერატურის მაღალხარისხოვან ნიმუშებად ითვლება.

აბდურაჰიმ ახვერდოვი იყო აზერბაიჯანის მწერალთა კავშირის აღმასრულებელი მდივანი (1931-1932), მინიჭებული ჰქონდა „აზერბაიჯანის სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის" საპატიო წოდება.

აღსანიშნავია აბდურაჰიმ ახვერდოვის გამოსვლა საქართველოს პარლამენტში 1918 წლის

17 დეკემბერს, როდესაც საქართველო სომხეთის ჯარების თავდასხმას იგერიებდა. დეპუტატმა ერთმნიშვნელოვნად დაუჭირა მხარი საქართველოს რესპუბლიკას და აღნიშნა: როდესაც პარლამენტში შემოვედით, ჩვენს დეკლარაციაში განვაცხადეთ, რომ საქართველოს მუსლიმები ყოველგვარი შესაძლებელი ზომებით დაიცავენ თავიანთ სამშობლოს, ყველასაგან, ვინც არ უნდა იყოს მისი მტერი. და დღეს ამასვე ვაცხადებთ და ზეიმით ვიმეორებთ, როცა საჭიროა სიტყვიდან საქმეზე გადასვლა. უკვე შემდგარია ბორჩალოელ მუსლიმთა რაზმი, სიხარულით მიდის მათ წინააღმდეგ, ვინც ლამობს ფეხქვეშ გათელოს საქართველოსა და ამიერკავკასიის თავისუფლება (გაზ. „შრომა“, 1918 წ., 20 დეკემბერი).

საქართველოს პარლამენტის აზერბაიჯანელი წევრი ალი ჰაიდარ ქერიმის ძე კარაევი (1896-1938) – პოლიტიკური მოღვაწე, სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია „ჰუმეტის“ ერთ-ერთი ლიდერი, პუბლიცისტი და სხვადასხვა პერიოდული გამოცემის რედაქტორი იყო.

ქ. შემახაში, წვრილი ვაჭრის ოჯახში დაბადებული ალი ექვსი წლის ასაკში სასულიერო სკოლაში შეიყვანეს, შემდეგ კი სწავლა რეალურ სასწავლებელში განაგრძო, რომელიც 1915 წელს დაამთავრა. აქტიურ მონაწილეობას იღებდა კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოება „ნიჯათ“-ის შემახის განყოფილების მუშაობასა და რევოლუციურ პროპაგანდაში.

უმაღლესი განათლებისათვის საჭირო ფულის დასაგროვებლად, ალი კარაევი ბაქოში გადავიდა და მასწავლებლობა დაიწყო. 1916 წელს ის ნოვოჩერკასკში დონის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი გახდა, დაუახლოვდა სოციალ-დემოკრატიულ მიმდინარეობას და ჩაება სტუდენტურ მოძრაობაში. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ კარაევი შემახაში დაბრუნდა და ქმედით მონაწილეობას იღებდა კულტურულ, საგანმანათლებლო და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საქმიანობაში.

შემახის მაზრის გლეხობამ იგი ამიერკავკასიის გლეხთა დეპუტატების სამხარეო ყრილობის დელეგატად წარგზავნა, რომელიც 1917 წლის ივნისში თბილისში გაიმართა. აქ იგი რეგიონის გლეხთა დეპუტატების საბჭოს ერთ-ერთ ხელმძღვანელად აირჩიეს. კარაევი შეუერთდა ორგანიზაცია „ჰუმმეტის“ თბილისის ორგანიზაციას, იყო აზერბაიჯანული გაზეთის „ალ ბაირაღის“ („წითელი დროშა“) სარედაქციო კოლეგიის წევრი, ხოლო შემდეგ თბილისშივე გამოსცა სატირული ჟურნალი სახელწოდებით „ტარტან-პარტანი“ („სისულელე“) (უსახსრობის გამო ჟურნალის მხოლოდ ერთი ნომერი გამოვიდა).

1918 წლის ოქტომბერში 22 წლის ალი კარაევი, აზერბაიჯანელთათვის გამოყოფილი კვოტით, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის წევრი გახდა, თუმცა აქ დიდხანს არ უმოღვაწია – მალევე სადეპუტატო უფლებამოსილების შეჩერება მოითხოვა (საქართველოს პარლამენტი. სტენოგრაფიული ანგარიში, 56-ე სხდომა. 1918 წ. 5 ნოემბერი, გვ. 1), რადგანაც არ იცოდა ქართული ენა და ვერ იღებდა მონაწილეობას კანონშემოქმედებით მუშაობაში. მისივე განცხადებით, არ უნდოდა მოეტყუებინა ის ადამიანები, ვინც პარლამენტის წევრად დაასახელა (ი. ირემაძე, კარაევი ალი ჰაიდარ ქერიმის ძე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921). ენციკლოპედია-ლექსიკონი, თბ., 1918, გვ. 215).

ალი კარაევი 1918 წლის ბოლოდან აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოს დეპუტატია, გაერთიანებულია პარლამენტის სოციალისტურ ფრაქციასა და სხვადასხვა კომისიაში. იყო ბაქოში უნივერსიტეტის გახსნის თავგამოდებული მხარდამჭერი. მემარცხენე პოზიციაზე მდგარი კარაევი 1919 წლის თებერვლიდან ბოლშევიკთა რიგებში გადავიდა, რედაქტორობდა ან თანამშრომლობდა ადგილობრივ ბოლშევიკურ პრესაში, რომელთა ერთი ნაწილი ლეგალურად, მეორე კი არალეგალურად იბეჭდებოდა. აზერბაიჯანის გასაბჭოების შემდგომ მას ეკავა სხვადსხვა დარგის სახალხო კომისრის პოსტი. რეპრესირებულია 1938 წელს.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტში შედიოდა ასევე, აზერბაიჯანელი მწერალი, ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე აბდულ აზიზ შარიფოვი (შარიფ) (1895-

1988). იგი წარმოშობით ნახიჩევანიდან იყო, იქვე დაამთავრა დაწყებითი სკოლა, ხოლო საშუალო განათლება მიიღო თბილისში, სადაც მამის მეგობარს, აზერბაიჯანელ მწერალსა და პუბლიცისტს ჯალილ მამედყულიზადეს გახსნილი ჰქონდა სკოლა-პანსიონი. შარიფის პირველი ნაწერები სწორედ მამედყულიზადემ გამოაქვეყნა ჟურნალ „მოლლა ნასრედდინის" ფურცლებზე 1910 წელს.

1915 წელს აზიზ შარიფი მოსკოვში გაემგზავრა და სწავლა კომერციულ ინსიტუტში განაგრძო. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ იგი თბილისში დაბრუნდა და აქტიურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და საგანმანათლებლო საქმიანობას შეუდგა. იყო აზერბაიჯანული სოციალ-დემოკრატიული პარტიის „ჰუმეტის" წევრი. 1917 წლის ბოლოს ნახიჩევანში ჩამოაყალიბა „წითელი გვარდია", რომელიც ადგილობრივი მუშებისა და გლეხებისგან შედგებოდა. 1918 წლის იანვარში აირჩიეს ნახიჩევანის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარედ. მუსლიმთა ეროვნული საბჭოს საქველმოქმედო ფონდის მეშვეობით დახმარებას უწევდა მუსლიმ ლტოლვილებს.

აზიზ შარიფი კარგად იცნობდა ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გარემოს, რამაც განაპირობა მისი წარდგენა საქართველოს პარლამენტის დეპუტატად ეთნიკური უმცირესობის კვოტით. იგი ჩინებულად ფლობდა ქართულ ენას და მოგვიანებით აზერბაიჯანულ ენაზე თარგმნა ეგნატე ნინოშვილის მოთხრობები და სხვ.

აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ შარიფი ჩაება ანტისაბჭოთა საქმიანობაში, რისთვისაც 1921 დააპატიმრეს კიდეც, თუმცა მალევე გაანთავისუფლეს.

იმ დროს წითელი არმიის მიერ დაკავებული ნახიჩევანი გამოცხადებული იყო ნახიჩევანის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად (იარსება 1923 წლამდე, როდესაც გარდაიქმნა ნახიჩევანის ავტონომიურ რესპუბლიკად აზერბაიჯანის სსრ-ს შემადგენლობაში) და თავისი დიპლომატიური მისიები ჰყავდა მეზობელ ქვეყნებში. აზიზ შარიფი 1922 წელს იყო ნახიჩევანის სსრ წარმომადგენელი საქრთველოში (E. Kəlbizadə, İ. Hacıyev, Naxçıvanlı diplomatlar. Naxçıvan:Əcəmi, 2017, s. 62-63; 117-119).

1943 წელს დაამთავრა მოსკოვის მაქსიმ გორკის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტი. დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „ჯალილ მამაყულუზადეს ცხოვრება და მოღვაწეობა", მუშაობდა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობისა და მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტებში. იყო მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი. კითხულობდა ლექციებს ამიერკავკასიის ხალხთა ლიტერატურისა და ისტორიის შესახებ (ი. ირემაძე, შარიფოვი (შარიფ) აბდულ აზიზ. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921). ენციკლოპედია-ლექსიკონი, თბ., 1918, გვ. 480). აზიზ შარიფი არის მრავალი წიგნის ავტორი, მათ შორის: „მოლა ნასრედინის დაბადება", ბაქო, 1968 (რუსულ ენაზე); Keçmiş günlərdən, Atam və mən. Bakı: („გარდასული დღეებიდან. მამა და მე"), ბაქო, 1983 და სხვ. მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის აზერბაიჯანული მემუარისტიკის განვითარებაში.

საქართველოს მუსლიმთა ეროვნულმა საბჭომ საქართველოს პარლამენტის წევრობა აზერბაიჯანელთა კიდევ ერთ წარმომადგენელს – მირზა ჰუსეინ ჰასან ზადეს (1869-1948) მიანდო. ცნობები ჰუსეინ ზადეს ბიოგრაფიის შესახებ ძალიან მწირია. ცნობილია, რომ იგი იყო პედაგოგი. დამთავრებული ჰქონდა გორის სასულიერო სემინარია. 1912 წელს გამოსცა სახელმძღვანელო სახელწოდებით „თათრული ანბანი". მუშაობდა მასწავლებლად თბილისის ისტორიულ უბანში – ხარფუხში არსებულ თათრულ სკოლაში. აზერბაიჯანელ მოსახლეობაში სარგებლობდა პატივისცემითა და ავტორიტეტით. 1920 წელს ჰუსეინ ზადეს „სახალხო მასწავლებლის" წოდება მიანიჭეს. იგი ფართოდ იყო ჩართული საზოგადოებრივ საქმიანობაში, თუმცა არ წარმოადგენდა არც ერთ პარტიას. ეროვნულ უმცირესობათა სხვა წარმომადგენლების მსგავსად, საქართველოს პარლამენტის დეპუტატის მანდატი მანაც 1918 წლის ოქტომბერში მიიღო (საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი

1836, ანაწ. 1, საქმ. 109, 119).

როდესაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკურ ცხოვრებაში აზერბაიჯანელთა მონაწილეობაზე ვსაუბრობთ, აუცილებელია აღინიშნოს, რომ იმავე პერიოდში აზერბაიჯანის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ქმედითად იყო ჩართული ბაქოში არსებული ქართული ეროვნული საბჭო. ამ საბჭოს სახელით აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის წევრები იყვნენ ჯერ გრიგოლ ცხაკაია, ხოლო შემდეგ ვლადიმერ ბაქრაძე (Э. Калибзаде, Грузины в парламенте АДР. https://kaspiy.az/news.php?id=82972#.YiJA0OhBzIU). ამასთან, არაერთი მაღალი რანგის ქართველი ოფიცერი მონაწილეობას იღებდა აზერბაიჯანის სამხედრო მშენებლობაში და სხვ.

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოღვაწეობდნენ ეთნიკური ნიშნით აღმოცენებული პოლიტიკური ორგანიზაციები თუ გაერთიანებები. მაგალითად, „მუსულმანთა ეროვნული საბჭო“ და „ბორჩალოს მაზრაში მცხოვრები მუსულმანთა ჯგუფი“ საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს არჩევნებში მონაწილეობდნენ, როგორც დამოუკიდებელი პოლიტიკური სუბიექტები. აზერბაიჯანელი აბდულ რაჰიმ ახვერდოვი, როგორც ამ ორგანიზაციების („თათართა ბლოკის“) წარმომადგენელი ცენტრალურ საარჩევნო კომისიაშიც შედიოდა (საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1834, ანაწ. 2, საქმ. 74).

საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნებში მონაწილეობისათვის „მუსულმანთა ეროვნულმა საბჭომ“ 50 ათასი ბიულეტენი დაბეჭდა, „ბორჩალოს მუსულმანთა ჯგუფმა“ კი 83 ათასი (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ., 31 იანვარი).

„მუსულმანთა ეროვნული საბჭოს“ საკანდიდატო სია (# 6) ხუთ ადამიანს აერთიანებდა: 1. ბაირამოვი ალაიბეკ ასლან აღა ოღლი (ეროვნული საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე), 2. ხან ახმედოვი აბბას კული ჯაბბარ ოღლი, 3. ბაირამოვი კასუმ აბას ოღლი, 4. ნარიმანოვი ალი მირზა მოლლა მაგომედ ოღლი (მასწავლებელი) 5. ხალილოვი ისმაილ ისა ოღლი. ხუთი კანდიდატი იყო დასახელებული ამავე ორგანიზაციის დამატებით სიაშიც (საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალურ საისტორიო არქივი, ფონდი 1834, ანაწ. 2, საქმ. 83).

„ბორჩალოს მუსულმანთა ჯგუფის“ - საკანდიდატო სიაც (# 12) ხუთ კანდიდატს აერთიანებდა. ესენი იყვნენ: 1. ახუნდოვი ბეიუკ ბეკ ალანბეკ ოღლი, 2. ალიაზადე მირზა რიზა მაჰმუდ ალი ოღლი, 3. მამედოვი მოლლა აბბას აჯიმ კაზი ოღლი, 4. მურსაკულოვი იბრაგიმ ბეკ აჯი აღა ოღლი, 5. კურბან ასან ოღლი (საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალურ საისტორიო არქივი, ფონდი 1834, ანაწ. 2, საქმ. N84; გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ., 1 თებერვალი; პირველი საყოველთაო დემოკრატიული არჩევნები დამოუკიდებელ საქართველოში, თბ., 2017, გვ. 31).

ვერც ერთმა ამ ორგანიზაციამ საქართველოს დამფუძნებელი კრების ვერც ძირითად და ვერც დამატებით არჩევნებში სადეპუტატო მანდატისათვის საჭირო ხმების მოგროვება ვერ შეძლო. ამის მიუხედავად, აზერბაიჯანელები ქვეყნის უმაღლეს კანონშემოქმედებას მოწყვეტილნი არ ყოფილან. ეთნიკურად აზერბაიჯანელი სოციალ-დემოკრატი ჰუსეინ ყული-მამედ ოღლი მამედოვი საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი გახდა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის # 1 სიით.

1875 წელს, აზერბაიჯანელი გლეხის ოჯახში დაბადებულმა ჰუსეინმა, რომელსაც მცირე საოჯახო განათლება ჰქონდა მიღებული, 1903 წლიდან საკუთარი ბედი რსდმპ-ს დაუკავშირა. 1904 წელს მან აქტიური მონაწილეობა მიიღო ამ პარტიის მუსლიმური ფრაქცია „ჰუმეთის“ დაფუძნებაში. „ჰუმეთი“ ქართველ სოციალ-დემოკრატ მენშევიკებთან თანამშრომლობდა, განსაკუთრებით რუსეთის 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდგომ. ამ დროიდან მამედოვიც აქტიურად ჩანს ჩართული საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, იგი არჩეული იყო იორმუღანლოს თემის თავმჯდომარედ.

როგორც ნოე ჟორდანია გვიმოწმებს, საქართველოს სოციალ-დემოკრატიაში შედიოდნენ „საქართველოს სომხები, თათრები, რუსები და ამათ გვერდით შემოდიოდნენ აზერბაიჯანის და სომხეთის სოციალ-დემოკრატები“ (ნ. ჟორდანია, ჩემი წარსული, თბ., 1990, გვ. 106). არაერთმა აფხაზმა, ოსმა, რუსმა, ებრაელმა, სომეხმა, ბერძენმა თუ გერმანელი ეროვნების მოქალაქემ სოციალ-დემოკრატიული პარტიის სიით სადეპუტატო მანდატები საქართველოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში – დამფუძნებელ კრებაშიც მიიღო. მათ შორის იყო ჰუსეინ მამედოვიც (სიაში დასახელებული იყო მე-40 ნომრად).

საინტერესოა, რომ მამედოვი შედიოდა დამფუძნებელი კრების მიერ 1919 წლის მარტში შექმნილ დროებით კომისიაში, რომელსაც იმ დროს ახალციხეში შექმნილი კრიტიკული ვითარება უნდა შეეწსწავლა და დასკვნაც მოემზადებინა (საქართველოს დამფუძნებელი კრება. სხდომის ოქმები. ტ. I, 1919 წლის 12 მარტი – 27 მაისი, თბ., 2019, გვ. 51). მისი რამდენიმე წერილი დაიბეჭდა გაზეთში „ერთობა“. ცდილობდა მოსახლეობის პრობლემები მიეტანა ხელისუფალთა ყურამდე და უანგაროდ ზრუნავდა მათ გადასაჭრელად. შეიძლება ითქვას, რომ ჰუსეინ მამედოვი მუსლიმი მოსახლეობის ხმა იყო საქართველოს პარლამენტში.

საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაციის შემდეგ ემიგრაციაში არ გახიზნულა, დარჩა საქართველოში, თუმცა მისი შემდგომი ცხოვრება-საქმიანობის შესახებ ინფორმაცია არ მოგვეპოვება (ი. ხვადაგიანი, საქართველოს დამფუძნებელი კრება 1919, თბ., 2016, გვ.).

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის აზერბაიჯანელ მოქალაქეთა წარმომადგენლებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს საქართველოს კონსტიტუციის პროექტის იმ ნაწილის განხილვაში, რომელსაც ქვეყანაში ეროვნულ უმცირესობათა უფლებანი უნდა განესაზღვრა. დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიამ საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა საბჭოებს წინადადებით მიმართა, თავიანთი შეხედულებანი ამ საკითხზე პროექტების სახით წარმოედგინათ. კომისიამ 7 სხვადასხვა პროექტი მიიღო, რომლებზეც მსჯელობას, მათივე წარმდგენთა მონაწილეობით, 1920 წლის მარტში რამდენიმე სხდომა მიეძღვნა.

კომისიაში ერთი ასეთი პროექტი აღმოსავლეთ საქართველოს მუსლიმთა (აზერბაიჯანელთა) სახელით იყო წარდგენილი. პროექტი ითხოვდა მუსლიმთათვის ერთი მინისტრისა და ორი მინისტრის მოადგილის არჩევის უფლებას; მუსლიმურ დასახლებებში მოსამართლეებად, გამომძიებლებად და ადმინისტრაციულ თანამდებობებზე პიროვნებათა არჩევა და დანიშვნა მუსლიმთაგან უნდა მომხდარიყო; ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში მუსლიმებს ადგილები მოსახლეობის პროპორციის შესაბამისად უნდა მისცემოდათ და ამ ადგილებზე კანდიდატებს თავად მუსლიმი მოსახლეობა აირჩევდა პოლიტიკური პარტიების მონაწილეობის გარეშე (საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1833, ანაწ. 1, საქმ. 181, ფურც. 112; მ. მაცაბერიძე, საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია: შემუშავება და მიღება, სახელმწიფოს მოწყობის კონცეფცია, თბ., 2021, გვ. 300). 1921 წლის 21 თებერვალს მიღებულ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციაში ეროვნულ უმცირესობებს 9 მუხლისაგან შემდგარი მთელი თავი დაეთმო, (თავი 14), რომელიც უფლებათა ფართო სპექტრს მოიცავდა.

ეროვნულ უმცირესობათა უფლებების აღიარების, დაცვისა და პატივისცემის პარალელურად, ქართული სახელმწიფო მათგან გარკვეულ მოვალეობათა შესრულებასაც მოითხოვდა. უპირველესად ეს იყო სამხედრო ბეგარა: 20-დან 40 წლამდე ასაკის რესპუბლიკის ყოველ მოქალაქეს, მათ შორის ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებსაც, შეეიარაღებულ ძალებში (მუდმივ ჯარში ან ლაშქარში) სამსახური ეკისრებოდა. სახელმწიფოსადმი ლოიალურად განწყობილი რესპუბლიკის არაქართველი ეროვნების მოქალაქენი ამ ბეგარას პატიოსნად იხდიდნენ და ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაში თავიანთი წვლილიც შეჰქონდათ. მაგალითად, 1918 წლის ბოლოს, სომხეთ-საქართველოს ომის მსვლელობისას,

ბორჩალოელმა მუსლიმებმა ოპერატიულად შეადგინეს შეიარაღებული რაზმი და ფრონტზე გაგზავნა ითხოვეს. რაზმის მეთაურის სიტყვით: „საქართველოს მიწა-წყალზე მცხოვრები მაჰმადიანები თავის წმინდა მოვალეობად სთვლიან იარაღით ხელში სამშობლო საქართველო უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დაიცვან“ (გაზ. „საქართველო“, 1919 წ., 1 იანვარი). მსგავსი პოზიცია გამოხატა საქართველოს პარლამენტში მუსლიმთა წარმომადგენელმა აბდურაჰიმ ახვერდოვმა, რომელმაც დაარწმუნა ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი დაწესებულება, რომ მუსლიმები ხალისით მიდიან მათ წინააღმდეგ საბრძოლველად, ვინც ლამობს „ფეხქვეშ გათელოს საქართველოს თავისუფლება და თავისუფლება ამიერკავკასიისა (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1918 წ., 19 დეკემბერი).

1921 წლის თებერვალში, როდესაც საქართველოს საზღვრებში საბჭოთა რუსეთის წითელი არმიის ნაწილები შემოიჭრნენ, ბორჩალოელი მუსლიმების დელეგაცია წარუდგა მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიას და განუცხადა, რომ „მთელი მუსულმანობა მზად არის სისხლით დაიცვას საქართველოს მიწა-წყალი ვერაგ მტრისაგან“ და ითხოვა: ყველანი, ვისაც კი ხელში თოფის დაჭერა შეუძლია, ფრონტზე გაგვინვიეთო (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1921 წ., 18 თებერვალი). ეს რომ ლიტონი სიტყვები არ იყო, მოწმობს კონკრეტული ფაქტი: მეორე დღეს, პოლკოვნიკ ედიგაროვის მეთაურობით, შეიკრიბა ბორჩალოელ და თბილისელ მუსლიმთა 200-კაციანი რაზმი (გაზ. „საქართველო“, 1921 წ., 19 თებერვალი), რომელმაც დედაქალაქის მისადგომებთან მონაწილეობა მიიღო წითელი არმიის წინააღმდეგ ბრძოლაში.

1918-1921 წლები საქართველოს ეროვნული უმცირესობებისათვის ერთგვარი ტესტი აღმოჩნდა ქართველებთან მათი თანაცხოვრების სიმტკიცეზე. ზოგმა უორგულა თავისუფალ ქართულ სახელმწიფოს, მასში ცხოვრება აღარ ისურვა, დაპირისპირება და სეპარატიზმი აირჩია. ნაწილმა აჯანყებებით ქვეყნისაგან ჩამოშორებაც დააპირა, თუმცა უშედეგოდ. მათგან განსხვავებით, აზერბაიჯანელებმა გამოცდა წარმატებით ჩააბარეს. საქართველოს მკვიდრმა, მათ შორის, თბილისელმა აზერბაიჯანელებმა თავი დემოკრატიული რესპუბლიკის სრულუფლებიან მოქალაქეებად აღიქვეს და მისადმი სრული ლოიალობა შეინარჩუნეს. ამას აზერბაიჯანელების მხრიდან სახელმწიფოს მიმართ პასუხისმგებლობა, მოქალაქეობრივ ვალდებულებათა შესრულება და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართულობა-მონაწილეობაც ადასტურებს.

AZERBAIJANIS IN THE POLITICAL LIFE OF THE DEMOCRATIC REPUBLIC OF GEORGIA

One of the most important steps towards the renewal of the independent state life of Georgia was taken in November 1917, when delegates from political parties, public organizations, cultural-educational, commercial and other institutions, representatives of ethnic minorities living in western or eastern Georgia gathered at the National Congress in Tbilisi. Congress elected a National Council, which was tasked with leading the country.

The National Council established at this congress, on May 26, 1918, approved the Act of Independence of Georgia, declared the restoration of the state independence of Georgia, and established the Democratic Republic of Georgia.

The sitting of the National Council of Georgia was attended by the representative of the Azerbaijanis, a member of the National Council of Azerbaijan Fatali Khan Khoisky. He welcomed the historic decision of the Georgian nation and wished them success and development of sovereign Georgia.

At that time, according to the general census, there were 62,377 Georgians living in Tbilisi, while the Tatar population numbered 7,613 (Journal of Our City, 1920, # 4-5, pp. 44; 46). Many people of many other nationalities and ethnicities lived in the capital and across the country. Therefore, in the newly created Georgian state, the problem of defining and establishing the rights of national minorities, as they were then called, "fragmented nations", has become one of the priority tasks.

The ruling political force of the Democratic Republic of Georgia, the Social Democratic Party, chose a tolerant course towards national minorities as soon as it came to power. According to Noe Jordania, in Georgia "we defended the interests of all nations equally, for us there was no Hellenic and Barbaric, we considered everyone Hellenic" (N. Jordania, My Past, Tbilisi, 1990, p. 104). The attitude of the opposition political spectrum towards non-Georgians living in Georgia was also tolerant. The "broken nations" were given the opportunity of harmonious coexistence with Georgians and free social, economic, and cultural development. The problem of the perfect integration of national minorities into the public life of the country was a subject of constant attention for the government.

According to the "Statute of Citizenship of the Democratic Republic of Georgia", which was drafted by the National Council in July 1918, citizenship was granted to all citizens of the country who lived on the territory of Georgia at the time of the proclamation of the Republic. Unlike the part of the Russian and Armenian population living in Georgia, who boycotted the law on citizenship (M. Kvaratskhelia, Tbilisi self-government (1917-1921), doctoral dissertation for the degree of Doctor of History, Tbilisi, 2014, p. 69; 78), no dissatisfaction was expressed on this ground by the local Muslim community.

The Law on Citizenship of the Democratic Republic of Georgia, approved by the Constituent Assembly on May 27, 1919, further facilitated the acquisition of citizenship status.

The basic civil rights of national minorities, such as freedom of expression, peaceful assembly and association, freedom of religion, and others, were not only proclaimed but also protected in the Democratic Republic of Georgia. The promises made in the legal acts were consistently implemented in practice. The state ensured the protection and preservation of the identity of minorities (religion, language, traditions, and cultural heritage). The activities of religious denominations and cultural and educational institutions were unlimited. For example, when the Parliament of Georgia passed the Law on the Abolition of the Teaching of the Divine Law on November 26, 1918, and prohibited the teaching of this subject in all types of schools, both public and private, and abolished the position of its teachers (Collection of Legal Acts of the Democratic Republic of Georgia. 1918-1921., 1990, p. 110), Muslim schools were not affected by this restriction (Parliament of Georgia. Shorthand Report, sitting of November 26, 1918).

Moreover, it was planned to create a division of the Muslim religious officials in Georgia, so that the

part of the population professing Islam would not feel excluded from the life of the country (National Archive of Georgia, Historical Central Archive, Fund 1863, part. 1, case. 846, sheet. 6).

There were only 31 Tatar schools in the Democratic Republic of Georgia, almost a third of which operated in Tbilisi. It should be noted that a significant part of these schools was funded from the state budget. Georgian language, history, and geography of Georgia were taught in them, as well as in other schools of national minorities (National Archives of Georgia, Central Historical Archive, fund 1935, ref. 1, cas. 84, p. 26). It is also noteworthy that the government also took care of the training of teachers in these schools. According to the newspaper Sakartvelo, "the Ministry of Public Education will present a relevant report on the opening of courses for Muslim teachers these days" (Newspaper Sakartvelo, January 21, 1919).

The Azerbaijani population of Tbilisi was represented in the city self-government, which was responsible for: collecting and disposing of taxes, managing the city's real and movable property, overseeing police, financing educational institutions, health care, and taking care and developing industry, commerce, and credits, food supplies for the population, etc. On July 30, 1917 elections of the City Council, the Muslim organization withdrew 3 votes (National Archives of Georgia, Central Historical Archive, fund 192, ref. 4, cas. 120, pp. 189-190). As for the Tbilisi Voters' Council (so-called after the declaration of independence of the Duma of the capital), which was elected on February 2, 1919, the Muslim Council of Georgia failed to collect proper votes and was left without a vote (Newspaper Ertoba, February 5, 1919; Newspaper Sakartvelo, 1919, February 5).

These self-government elections are also noteworthy in other respects. 1. The City council of the capital created a comfortable environment for female voters of the Muslim faith to participate in the elections; An Azerbaijani Muslim woman was elected to vote in for the Tiflis Uyezd community.

Taking into account the specifics of the religious and family life of Muslim women, the Tbilisi Council, on February 2, 1919, during the city council elections in a Muslim-populated part of the capital (Fifth Commissariat, Precinct # 17), appointed Mrs. (Khuramovichi). And a separate box for ballot papers for Muslim women voters was set up. (Newspaper Sakartvelos Respublika, January 31, 1919) (presumably, the city's experience was taken into account by the Central Election Commission of the Constituent Assembly, and the same rule was used in the country's supreme legislative elections just two weeks later).

After the overthrow of the Tsarist government in Russia, the issue of women's emancipation became more relevant. This process also involved Muslim women. In the autumn of 1918, the Georgian periodical press provided the reader with interesting information, writing: "One very funny event is noteworthy; "Among the speakers is a Muslim woman from the Karayaz district, Paris-Khanum Sofiev." The newspaper singled out this story as important news in the life of the Muslim community in the region. They may not have known it in Georgia at the time, but modern research showed that the social activism of Muslim women was observed in other parts of the former empire as well. In 1917, for example, Muslim singer Abru Saif was elected to the Ufa City Council. She also became the only woman to enter the national legislature - the Millet Majlis. The same year, at the Congress of All-Russian Muslims in Moscow, Mukhlisa Bubi was elected as a Qadi which was the first case in the history of Islam (L. Gabdrafikova, At the beginning of the 20th century, Tatar women were the most emancipated among all Muslim women in Russia. https://realnoevremya.ru/articles/25438).

In the life of Muslim women in the South Caucasus, the constituency of the village of Karayazi in the Tbilisi region stands out in this respect. In this predominantly ethnic Azerbaijani village, candidates from influential political parties, the Social Democrats, the Federalists, the National Democrats, and others, competed to win elections. The non-partisan candidate, Fari-Khanum Sofieva, a Muslim woman of Azerbaijani nationality, won this seat and won the mandate of the Tiflis Uyezd Council.

Fari-Khanum has emerged as a recognized leader of its village and region, radically shattering stereotypes about the capabilities of Muslim women in traditional society (I. Khvadagiani, Patriarch of Karayaz - Fari-Khanum Sofieva http://archive.ge/ka/blog/)

In the Democratic Republic of Georgia, almost all national minorities, including Azerbaijanis, formed their national councils and enjoyed the rights of cultural autonomy. Minority representatives were given a seat by a special quota in the Georgian National Council, which was transformed into the Parliament of Georgia in October 1918. National minorities held a total of 26 seats in the Parliament of Georgia, 4 of which belonged to the delegates of the Azerbaijani ethnos (Tatars) (Collection of Legal Acts of the Democratic Republic of Georgia. 1918-1921, Tbilisi, 1990, p. 62). They were: 1. Abdurahim Bey Asadbek Akhverdov (Hakhverdiyev), 2. Ali Haidar Karim Karaev, 3. Abdul Aziz Sharifov (Sharif) and 4. Hussein Hassan Zade.

Abdurahim Akhverdov (1870-1933) was an Azerbaijani writer and political figure. He was born in Shusha, in a family of impoverished aristocrats. He also studied at a Russian-Tatar primary school and a real school. He then moved to Tbilisi, graduated from the city's real school, and in 1891 moved to St. Petersburg, where he continued his studies at the Institute of Railway Engineers. He was fascinated by theater and also, as a free listener, attended lectures at the Faculty of Oriental Languages of the Imperial University of St. Petersburg. Studied Persian and Arabic languages, literature of the peoples of the East, etc. He successfully passed the exams in both higher education institutions and, in addition to a diploma in railway engineering, also obtained a diploma in oriental philology.

His first play, Yeyərsən qaz ətini, görərsən ləzzətini ("If you eat goose meat, you will feel the taste of it") published in 1892, quickly gained recognition. Akhverdov's work was greatly influenced by the artistic legacy of the famous Azerbaijani writer Mirza Fatali Akhundov. His dramatic works were often staged and enjoyed popularity among the audience.

In parallel with writing, Abdurahim Akhverdov was involved in public and political activities. In 1904 he was elected to the Shushi City Council, and in 1906 - a member of the State Duma of the first convocation of Russia from the province of Elizavetpol. The Duma was soon dismissed and the Azerbaijani MP also returned to his homeland.

In 1906, Jalil Mamedkulizade, the editor of the newly founded Azerbaijani satirical magazine Mullah Nasruddin, invited a playwright to work in Tbilisi, and Akhverdov became one of the active authors of the publication. He published stories, feuilletons, and publicist letters ruthlessly criticized the vices of the bureaucratic state system, the greed of the landlords, and the religious fanaticism of the clergy. During this period, he wrote such famous short stories and novels as "Father and Son", "Sheikh Shaban", as well as comedies "Fantasy", "Friends of the Nation", "Who is to blame?", Dramatic works on the historical theme "Agha Mohammad Khan Qajar", and so on. He made great efforts to popularize the works of folk singers – Ashughs, thus contributing to the development of national musical culture. When the opera "Layla and the Majnun" was staged at the Baku Theater in January 1908, he was the first Azerbaijani conductor to lead a choir and orchestra (A. Bagirov, Noble Karabakh intellectual. Https://irs-az.com/new/files/2017 /213/2720.pdf).

Since the February Revolution of 1917, Abdurahim Akhverdov lived in Tbilisi and was involved in the activities of the National Council of Muslims established in Georgia. He was also a member of the Executive Committee of the Tbilisi Workers' Council of Deputies and for some time was also a commissioner of the Borchaly Uyezd. In the autumn of 1918, he became a member of parliament with a quota for Azerbaijanis in the Georgian parliament.

From 1919 he worked in the Ministry of Foreign Affairs of the Democratic Republic of Azerbaijan. Was the Consul in the Democratic Republic of Georgia, the Mountainous Republic of the Northern Caucasus, and the Democratic Republic of Armenia.

Abdurrahman Akhverdov did not emigrate after the establishment of the Soviet government in Azerbaijan. He lectured on Azerbaijani literature at Baku State University. Was engaged in translation activities. The translations of William Shakespeare, Friedrich Schiller, Walter Scott, Emile Zola, Maxim Gorky, Anton Chekhov, and others are considered to be the highest quality works of translated literature to date.

Abdurahim Akhverdov was the Executive Secretary of the Writers' Union of Azerbaijan (1931-1932) and was awarded the title of "Honored Art Worker of the Azerbaijani SSR".

Abdurahim Akhverdov's speech in the Georgian Parliament on December 17, 1918, when Georgia repulsed the attack of the Armenian troops, is noteworthy. The MP unequivocally supported the Republic of Georgia and noted: When we entered the Parliament, we declared in our declaration that the Muslims of Georgia will protect their homeland by all possible measures, from all whoever is its enemy. And today we say the same thing and repeat it with celebration when it is necessary to move from words to actions. A detachment of Borchalo Muslims has already been formed, happily going against those who want to trample on the freedom of Georgia and the Transcaucasia (Newspaper Shroma, December 20, 1918).

Ali Haidar Kerim Karaev (1896-1938), an Azerbaijani member of the Georgian Parliament, was a political figure, one of the leaders of the Social-Democratic organization Humet, a publicist and the editor of various periodicals.

Born into a small merchant family in Shemakha, Ali was admitted to a theological school at the age of six and then continued his education at a real school, graduating in 1915. He took an active part in the work of the Shemakhi branch of the Cultural-Educational Society "Nijat" and the revolutionary propaganda.

To raise money for higher education, Ali Karaev moved to Baku and began teaching. In 1916 he became a student at the Donetsk Polytechnic Institute in Novocherkassk, became acquainted with the Social-Democratic movement, and became involved in the student movement. After the February Revolution of 1917, Karaev returned to Shemakha and took an active part in cultural, educational, and socio-political activities.

The peasants of the Shemakhi district sent him as a delegate to the regional congress of the Transcaucasian peasants' deputies, which was held in June 1917 in Tbilisi. Here he was elected one of the heads of the Council of Peasants of the Region. Karaev joined Hummet's Tbilisi branch, was a member of the editorial board of the Azerbaijani newspaper Al Bairagh (Red Flag), and later published a satirical magazine in Tbilisi called Tartan-Partan (Nonsense) (the only issue of the magazine due to lack of funds).

In October 1918, Ali Karaev, who was 22 at that time, became a member of the Parliament of the Democratic Republic of Georgia with a quota allocated to Azerbaijanis, but did not stay here long - he soon demanded the suspension of his parliamentary mandate (Parliament of Georgia. Shorthand Report, 56th Sitting. November 5, 1918, p. 1), because he did not know the Georgian language and could not take part in legislative work. According to him, he did not want to deceive the people who nominated him as a member of parliament (I. Iremadze, Karaev Ali Haidar Kerim, Democratic Republic of Georgia (1918-1921). Encyclopedia-Dictionary, Tbilisi, 1918, p. 215).

Ali Karaev was a member of the legislature of the Democratic Republic of Azerbaijan since the end of 1918, united in the Socialist faction of parliament and various commissions. Was a staunch supporter of the opening of a university in Baku. Karaev, a leftist, joined the Bolsheviks in February 1919, editing or collaborating with the local Bolshevik press, some of which were published legally and some illegally. After the socialization of Azerbaijan, he held the post of People's Commissar in various fields. Repressed in 1938.

The Parliament of the Democratic Republic of Georgia also included the Azerbaijani writer, journalist, and public figure Abdul Aziz Sharifov (Sharif) (1895-1988). He was originally from Nakhichevan, where he graduated from primary school and received his secondary education in Tbilisi, where his father's friend, Azerbaijani writer and publicist Jalil Mammadkulizade, had opened a boarding school. The first writings of Sharif were published by Mamedkulizade in the magazine "Mullah Nasruddin" in 1910.

In 1915, Aziz Sharif left for Moscow and continued his studies at the Commercial Institute. After the February Revolution of 1917, he returned to Tbilisi and became involved in socio-political and educational activities. He was a member of the Azerbaijani Social Democratic Party "Humet". At the end of 1917, a formed "Red Guard" in Nakhichevan, consisting of local workers and peasants. In January 1918, he was elected Chairman of the Executive Committee of the Nakhichevan Workers' and Soldiers' Council of Deputies. The National Council of Muslims provided assistance to Muslim refugees through a charity fund.

Aziz Sharif was well acquainted with the Georgian socio-political environment, which led to his nomination as a member of the Georgian Parliament with an ethnic minority quota. He was fluent in Georgian and later translated Egnate Ninoshvili's stories into Azerbaijani.

After the establishment of Soviet rule in Azerbaijan, Sharif became involved in anti-Soviet activities, for which he was arrested in 1921, but was soon released.

Occupied by the Red Army at the time, Nakhichevan was declared the Nakhichevan Soviet Socialist Republic (it existed until 1923 when it was transformed into the Nakhichevan Autonomous Republic within the Azerbaijani SSR) and had its diplomatic missions in neighboring countries. Aziz Sharif was the representative of the Nakhichevan SSR in Georgia in 1922 (E. Kəlbizadə, H. Hacıyev, Naxçıvanlı diplomatlar. Naxçıvan: Əcəmi, 2017, pp. 62-63; 117-119).

In 1943 he graduated from the Maxim Gorky Institute of Literature in Moscow. He defended his doctoral dissertation on "The Life and Work of Jalil Mamakuluzade", and worked at the Institutes of Oriental Studies and World Literature of the USSR Academy of Sciences. Was a professor at Moscow State University. He lectured on the literature and history of the Transcaucasian peoples (I. Iremadze, Sharifov (Sharif) Abdul Aziz. Democratic Republic of Georgia (1918-1921). Encyclopedia-Dictionary, Tbilisi, 1918, p. 480). Aziz Sharif is the author of many books, including: "Birth of Mullah Nasruddin", Baku, 1968 (in Russian); Keçmiş günlərdən, Atam və mən. Bakı: ("From the Past Days. Father and I"), Baku, 1983 and others. He made a significant contribution to the development of Azerbaijani memoirs.

The National Council of Muslims of Georgia entrusted the membership of the Parliament of Georgia to another representative of the Azerbaijanis – Mirza Hussein Hasan Zade (1869-1948). Information on the biography of Hussein Zadeh is very scarce. It is known that he was a teacher. He graduated from Gori Theological Seminary. He published a textbook entitled "Tatar Alphabet", worked as a teacher at a Tatar school in the historic district of Tbilisi - Kharpukhi, and enjoyed the respect and authority of the Azerbaijani people. Like other members of national minorities, he was elected to the Parliament of Georgia in October 1918 (National Archives of Georgia, Central Historical Archive, fund 1836, ref. 1, cas. 109, 119).

When we talk about the participation of Azerbaijanis in the political life of the Democratic Republic of Georgia, it is necessary to mention that at the same time the Georgian National Council in Baku was actively involved in the public and political life of Azerbaijan. On behalf of this council, first Grigol Tskhakaia was a member of the Parliament of the Democratic Republic of Azerbaijan, and then Vladimer Bakradze (E. Kalibzade, Georgians in the ADR Parliament. https://kaspiy.az/news.php?id=82972#.YiJA0OhBzIU). In addition, several high-ranking Georgian officers took part in the military construction of Azerbaijan and others.

Ethnic political organizations or unions operated in the Democratic Republic of Georgia without any

restrictions. For example, the National Council of Muslims and a group of Muslims living in Borchaly Uezd participated in the elections of the highest legislative body of Georgia as independent political entities. Abdul Rahim Akhverdov from Azerbaijan, as a representative of these organizations ("Tatar bloc"), was also a member of the Central Election Commission (National Archives of Georgia, Central Historical Archive, fund 1834, ref. 2, cas. 74).

The National Council of Muslims printed 50,000 ballot papers for the elections to the Constituent Assembly of Georgia, while the Muslim Group of Borchalo printed 83,000 ballots (Newspaper Sakartvelos Respublika, January 31, 1919).

The list of candidates for the National Council of Muslims (# 6) consisted of five people: 1. Bairamov Alaibek Aslan Agha Oghli (Deputy Chairman of the National Council), 2. Khan Akhmedov Abbas Kuli Jabbar Oghli, 3. Bairamov Kasum Abbas Oghli, 4. Narimanov Ali Mullah Magomed Oghli (Teacher) 5. Khalilov Ismail Isa Oghli. Five candidates were nominated in the additional list of the same organization (National Archives of Georgia, Central Historical Archive, fund 1834, ref. 2, cas. 83).

"The Borchalo Muslim Group's" candidate list (# 12) also included five candidates. These were: 1. Akhundov Beyuk Bek Alanbek Oghli, 2. Aliazade Mirza Riza Mahmud Ali Oghli, 3. Mamedov Molla Abbas Ajim Kazi Oghli, 4. Mursakulov Ibragim Bek Aji Agha Oghli, 5. Kurban Asan Oghli (National Archives of Georgia, Central Historical Archive, fund 1834, ref. 2, cas. 84; Newspaper Sakartvelos Respublika, February 1, 1919; The First Universal Democratic Elections in Independent Georgia, Tbilisi, 2017, p. 31).

None of these organizations was able to get the votes needed for the mandate of a member of the Constituent Assembly of Georgia, nor in the by-elections. Nevertheless, Azerbaijanis have not been disconnected from the country's highest legislative body. Ethnic Azerbaijani Social Democrat Hüseyn Faiq oğlu became a member of the Constituent Assembly of Georgia as the # 1 on the list of the Georgian Social-Democratic Party.

Born in 1875 to a peasant family in Azerbaijan, Hussein, who had received little family education, linked his destiny to the RSDLP in 1903. In 1904, he took an active part in founding the party's Muslim fraction, "Humet". "Humet" cooperated with the Georgian Social Democrat Mensheviks, especially after the Russian Revolution of February 1917. From that time on, Mammadov also seems to be actively involved in public and political life, he was elected chairman of the Yormughanlo community.

